
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University

სახელმწიფო მეცნიერებათა
აკადემია
№4 (61), 2014

ART SCIENCE STUDIES
№4 (61), 2014



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი – 2014

UDC(უაკ) 7(051.2)
ს-364

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №4 (61), 2014

სარგებლივი საბჭო

**ნაფო გეგიური
მაია გოგაძე
ზვიად დოლიძე
ნინო სანალიძე**

ლიტერატურული
რედაქტორები
**მარიამ იაშვილი
მარიამ
მამაცავილი**

გარეკანის დიზაინი
ლევან დადიანი

დაკაბალონება
**მპატერინე
ოქროპაიონე**

გამომცემლობის
ხელმძღვანელი
მაკა გასაძე

ინგლისური ტექსტის
რედაქტორი:
**მარიამ გარეკანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

კრებულისათვის მოწოდებული
მასალა უზრუნველყოფილი უნდა
იყოს შესაბამისი სამეცნიერო
აპარატით. თან უნდა ახლდეს
მონაცემები ავტორის სამეცნიერო
კვალიფიკაციის შესახებ ქართულ
და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე
ნაშრომის ინგლისურენოვანი
რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა
ეგზაგნება სხვადასხვა
საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვაწოდეთ და
ცნობებისათვის მოგვმართეთ:
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის
გამზირი №40, საქართველოს შოთა
რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი,

II კორპუსი.
ტელ/ფაქსი: +995 (32) 29 43728
მობ: +995 (77) 288 762
+995 (77) 288 750

E-mail: mariamiashvili@yahoo.com
Web: www.tafu.edu.ge

Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

Art Science Studies №4 (61), 2014

Editorial Group

NATO GENGIURI
MAIA GOSHADZE
ZVIAD DOLIDZE
NINO SANADIRADZE

Materials supplied for the volume should be provided with corresponding scientific appliance. Paperwork concerning author's academic qualification and summary of work should be attached in Georgian and English languages.

Literary Editor

MARIAM IASHVILI
MARIKA
MAMATSASHVILI

Printed version of the volume is sent out to various international research centers.

Cover Design

LEVAN DADIANI

Works should be supplied under the following contact:

0102, Tbilisi, Davit
Agmashenebeli Avenue №40
Shota Rustaveli Theatre and
Film Georgian State University
Second Block

Head of Publishing House

MAKA VASADZE

Tel/Fax: +995 (32) 29 43728

Mob: +995 (77) 288 762

+995 (77) 288 750

E-mail: mariamiashvili@yahoo.com

Web: www.tafu.edu.ge

The editor of English

Text:

MARIAM
SKHIRTLADZE



სარჩევი

VII სამეცნიერო პოლიტიკური დაგენერაციის თავისუფალი სექციის გასაღები

პიროვნეულობები

დავით გუჯაძე	
რატიკული გამოსახულების პირობითობა	11
ოლია ნატროშვილი	
სამკუთხედი, რომელიც მსოფლიო შეცვალა	22

მედიოლოგია

რეზო ჭიჭინაძე	
დამოუკიდებელობა და შემდგომ დემოკრატია	28

სალოვანა ათავოვოფეობა

ნინო გოდერძიშვილი	
ცალირობის სცენა საფარის სამრეკლოს რელიეფზე	40
შილენა ფშაველაძე	
ორგანიზი პოლი ქართველ არსტმოდერნისტებთან - ირაკლი ფარჯიანი	49
გუატერინე ჯონსაძე	
რელიგიიში თემა საბჭოთა კარიოლის ქართულ ლიტერატურაში	56

ქორეოლოგია

ანანი სამსონაძე	
ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესრულების ტყაროვანი	77

მემორიალის კულტურია

ნატალია დილმულაშვილი	
საგანითაშორისი გავშირების მნიშვნელობა სტუდენტების სწავლებაში	89

გორგი სავანელი	
ბრძანების მეთოდით მსახიობის ოსტატობის	
სტაციულანის შტრიხები –	
„ჩვენების“ მეთოდის გამომუშავება	97
 მინიჭებინალი	
დილაგორდის დაფინანსირები	
გლობალიზაცია და საქართველო	107
ნინო სანადირაძე	
კულტურული იდეუსტრიის ფუნქციების	
ეპონომიკური და სივრცობრივი	118
ვოროვაძი	
ანა მარგელაშვილი	
კულტურის რესურსების აღწერა -	
მუნიციპალური კულტურის განვითარების	
დაგეგმვისათვის	134
გორგი ფშაველაძე	
ვანდრაიზიზი - არასამეტარმარ	
(არაპომილციული) ორგანიზაციების ფინანსური	
უზრუნველყოფის საინტერესო	
ინსტრუმენტი	144
ნარა ლევაშვილი	
საქართველოს რეგიონები პოლიტიკა	
ტურიზმის სფეროში	155
მალხაზ ლეინიკვილა	
მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია და მისი	
როლი საერთაშორისო ტურიზმში	159
ლოლო ჭუბურევა	
ტანმობას პროცესები და კულტურის სფეროს	
თავისებურებები	169

CONTENTS

FILM STUDIES

Davit Gujabidze

CONDITIONALITY OF THE OPTICAL IMAGE 181

Ilia Natroshvili

TRIANGLE HAS CHANGED THE WORLD 182

MEDIA STUDIES

Revaz Tchitchinadze

INDEPENDENCE AND THEN DEMOCRACY 184

ART STUDIES

Nino Goderdzishvili

THE SCENE OF HUNTING OF THE RELIEF OF
SAPARA BELL TOWER 186

Shorena Pkhakadze

DUAL CODE IN GEORGIAN POSTMODERNISM:
IRAKLI PARJANI 187

Ekaterine Jokhadze

A RELIGIOUS TOPIC ON GEORGIAN METAL SCULPTURE
OF THE SOVIET PERIOD 188

CHOREOLOGIST

Anano Samsonadze

SOURCES TO STUDY CHOREOGRAPHIC FOLKLOR
CREATIVITY PEDAGOGICS 189

CREATIVITY PEDAGOGICS

Natalia Digmelashvili

VALUE OF INTERDISCIPLINARY TIES IN
TEACHING STUDENTS 192

Giorgi Savaneli

ELEMENTS OF TEACHING IN ACTING BY BRECHT'S
THEATRICAL METHOD – ACQUIRE OF THE
“DEMONSTRATIVE” METHOD 193

MANAGEMENT

Dilavardisa Davituliani

GLOBALIZATION AND GEORGIA 195

Nino Sanadiradze

ECONOMICAL AND SPATIAL FORMS FOR THE CULTURAL
INDUSTRY - THE EXAMPLE OF
REGIONAL RESOURCES 196

Ana Margvelashvili

MAPPING OF MUNICIPAL CULTURE RESOURCES -FOR THE
DEVELOPMENT OF CULTURAL SERVICES 198

George Pkhakadze

FUNDRAISING – INTERESTING TOOLS FOR NON PROFIT
(NON- COMMERCIAL) ORGANIZATIONS
FOR FINANCIAL PROVIDING 199

Naira Ghvedashvili

REGIONAL POLITICS OF GEORGIA IN THE
FIELD OF TOURISM 200

Malkhaz Gvinjilia

WORLD TOURISM ORGANIZATION AND ITS ROLE
IN INTERNATIONAL TOURISM 201

Dodo Tchumburidze

PRODUCING PROCESSES AND FEATURES OF
CULTURAL SPHERE 201

VII სამეცნიერო
პრცემრანცის
თავისუფალი სექციის
გასაღები

პიროვოდნეობა

დავთ გუჯაბიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ოპერის გამოსახულების პირობითობა

სიტყვა „პირობითობა“ აზრობრივად ჩანაცვლებას და ფილტრაციას მოიცავს. მას მაშინ ვიყენებთ, როცა რამე მოვლენის ან საგნის შესახებ თვისებათა გარკვეული ერთობლიობების გამოკვეთა და აქცენტირება გვჭირდება. სახვითი ხელოვნება კი (მიუხედავად უანრისა და სტილისა) სწორედ ისეთი სფეროა, სადაც პირობითობა მოთხოვნაა. ყოველი კონკრეტული გამოსახულება, იქნება იგი პირველყოფილი ადამიანის მიერ გამოქვაბულის კადელზე დახატული ბიზონი, ძველეგვაბტური ბარელიეფი, გოთიკის ეპოქის ევროპული წიგნის მინიატურა, ჩინური და იაპონური შუასაუკუნეების ფერწერა, ევროპული კლასიციზმის, იმპრესიონიზმის თუ პოსტიმპრესიონიზმის ნიმუშები, მაყურებლისაგან მოითხოვს გარკვეული აზრობრივი წინაპირობების ცოდნას, რომელთა გარეშეც ნაწარმოების აზრის სწორად გაგება შეუძლებელია.

ხელოვნებათმცოდნე ანრი ვართანოვის დაკვირვებით, ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო პარადოქსი ისაა, რომ, ერთი მხრივ, უმთავრესი ესთეტიკური ჭეშმარიტებაა,



როცა ხელოვნებაში ასახული ცხოვრება – სინამდვილის, ხოლო მხატვრული სახე მისი პროტოტიპის არაიდენტურია, მეორე მხრივ კი, ხელოვნების ნიმუში ყველაზე მეტად სწორედ ნატურასთან მსგავსებით

ფასობს. სწორედ მსგავსების სტილითა და ელემენტებით განისაზღვრება ის კრიტერიუმები, რომელებითაც მაყურებელი მსგავსებას პოულობს საგანსა და მის გამოსახულებას შორის. გამოსახულება – პირობითი მოვლენაა. მისი შექმნის და განვითარების ისტორია სწორედ ამას ადასტურებს. თვით პირველყოფილი მხატვრების მიერ შექმნილი გამოქვაბულის კედლებზე არსებული გამოსახულება ერთგვარი დაშიფრული შეტყობინებაა, რომელშიც კონტურის ხაზი პირობითად გადმოგცემს ცხოველის სხეულის ფორმას, ფერადი ლაქა კი – მისი ბეწვის ფერს.

გარდა სხეულის ფორმისა და ფერისა, გამოსახულების შემქმნელები ცდილობდნენ აესახათ მანძილი გამოსახულ საგნებს შორის და მასშტაბები. სხვადასხვა ეპოქაში ამ ამოცანას სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში, აბსოლუტურად რეალისტური ქანდაკების პარალელურად პირობითი გრაფიკა და ფერწერა არსებობს. ადამიანის ფიგურის ნაწილები გამოსახულია ისეთი შეთავსებით, რომლითაც ცხოვრებაში არ გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ, თითოეული ნაკვთი თუ კიდური გამოსახულია ფორმის მხრივ უკიდურესად მომგებიანი რაკურსებით: სახე, ხელები (მტევნები) და ფეხები პროფილში, ტორსი – ანფასში. უფრო მეტიც, ერთ-ერთ პაპირუსზე აუზი და მის ორგვლივ მდვარი ხეები ასახულია ზედხედიდან – სქემატური ნახაზის პრინციპით, თუმცა პირობითობას ქმნის აუზიდან სხვადასხვა მიმართულების მქონე ხეების შტაბები.




პირობითობა ამა თუ იმ პროცესში სხვა პროცესის კანონზომიერების თვალთახედვით გააზრებასაც მოიცავს. როგორც ცნობილია, ადამიანის თვალის მკვეთრად ხედვის კუთხე დაახლოებით $3,5^{\circ}$ -ია, ხოლო გარემოს აღქმისას ადამიანის ხედვა-აღქმის სისტემის მუშაობა მოიცავს თვალის მიერ დანახული საგნის „სკანირებას“ და აკრეფილი ვიზუალური ინფორმაციით მთლიანი სურათის აწყობას გონებაში. მოცემულ სურათზე ნაჩვენებია, თუ მოძრაობების როგორი მიმდევრობით აღიქვამს თვალი დანახულ სურათს.

უძრავი სხეულის მიმართ თვალის მოძრაობის მოვლენა მხატვრებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ

თავიანთი სათქმელი


მ ნ ა ხ ვ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს
გარკვეული „მონტაჟური რიგით“ მიეწოდებინათ
და დროში მიმდევრობით

დალაგებული რიგით სურათის სხვადასხვა ელემენტისაგან (ისევე, როგორც სიტყვებისაგან) გარკვეული აზრით ჩამოყალიბებული სათქმელი („ნახატი-წინადაღება“) გასაგებად



წარმოებინათ. ე.ი. ასეთი „სინტაქსური“ წარმოდგენით, მხატვარმა ისე უნდა განალაგოს სურათის სიბრტყეზე თავისი სიტყვა-ელემენტები, რომ მნახველის თვალს უბიძოს მიმართულება და თავისი ჩანაფიქრის მიხედვით სათქმელი წინადაღებასავით წააკითხოს.

სურათის აღქმისას თვალი მიჰყვება კომპოზიციური ელემენტების მიერ მინიშნებულ მარშრუტს. ევროპელი მხატვრები, ეყრდნობოდნენ რა ევროპელი ადამიანისათვის





ტრადიციულ ტექსტის
წაკითხვის პრინციპს —
მარცხიდან მარჯვნივ,
ზემოდან ქვემოთ, — იმგვარად
„შიოტრავინენ“ სურათს, რომ
მნაცვლს იგი წინასწარ
გათვლილი და დალაგებული
რიგით „წაკითხა“. ამგვარი
სურათები გარკვეული
დინამიკით აღვიწერს
არამარტო ერთ რამე
სურათს, არამედ კონკრეტულ
ამბავსაც გვიყვება, რომლის
ვიზუალურ „წაკითხვას“

რიგითობის თავისი წესი აქვს.

ვიზუალური მსატვრული სახის ენას, სხვა ნებისმიერი
ენის მსგავსად, თავისი გრამატიკა — თავისი ფონეტიკა და
სინტაქსი გააჩნია. და იმისათვის, რომ ამ ენაზე გამართულად
გადმოვცეთ აზრი, საჭიროა, მისი შესწავლისას აღამასს
გამოუმუშავდეს ენის გარკვეული აღქმა და შევრმნება,
რომელიც თეორიულ ცოდნას უკრძალობა.

ძალზე საინტერესო აზრებამდე მიყვავართ მსატვრობის
ისტორიაში მოძრაობის დაფიქსირების მცდელობებს. როგორც
ვიცით, ჯერ კიდევ გამოქვაბულის მსატვრმა ანტილოპას ოთხის
ნაცვლად 8 ფეხი დაუხატა და გაქცეული ცხოველის დინამიკური
გამოსახულება შექმნა. შეა საუკუნებშივე ეხვდებით გარემოს
აღქმის, ასე ვთქვათ, კინემატოგრაფიული სედვის ნიმუშებს,
როცა ფერწერული ტილოს აღქმისას მაყურებლის თვალის
მოძრაობის წარმართვით იქმნება არამარტო შიგაკადრული,
არამედ (ასე ვთქვათ) კამერის მოძრაობის და თვით ზუმით
მიახლოების და დაშორების „ტრანსფორმული“ ეფექტი.
მხედველობაში გვაქვს გერმანელი მსატვრის აღტდორულერის
სურათი „აღექსანდრე მაკეონელის ბრძოლა დარიოსთან“
(Alexanderskrieg).

სურათი 1529 წელსაა შექმნილი, ზომით – არც ისე დიდია – 158X120 სმ. ამ სურათში გასაოცარია ერთ სიბრტყეზე პარმონიულად დალაგებული უამრავი ხედვის კუთხე, რომლებიც უწყვეტად და შეუმჩნევლად გადადიან ერთმანეთში – პერსპექტიულ ღერძთა ერთობლიობა, რომელიც ლამის ყოველ წერტილს განსხვავებული აქვს; აქ პარმონიულად გადადიან ერთმანეთში უკანა პლანზე განთავსებული ქალაქის ხედი და კიდევ მის იქთ მდებარე პერზაჟი, რომელიც უკუპერსპექტივთაა



მოცემული, თუმცა თითოეულ ლოკალურ ფართობზე ზუსტადაა დაცული ხაზოვანი პერსპექტივა. ბრძოლის ველის ცალკეული მონაკვეთები „ტელეობიექტივთაა“ დანახული, ხოლო მთელი სურათი – ზეფართოკუთხიანი ოპტიკით – მორგალული პორიზონტით და



ცაზე (ერთდღოულად) მზით და მთვარით.

ეს კი უკვე ტრანსფორმირია – ცვლადი ფოკუსური მანძილის მქონე ობიექტივი, რადაც გარდაიქმნება სურათის მაყურებელი ადამიანის თვალი, და თანაც ისეთი ობიექტივი, რომლის „ტექნიკურ მონაცემებს“ დღეს არსებული ვერანაირი ტექნიკა ვერ შეედრება, და საერთოდაც საეჭვოა ოდესმე შეიქმნას, რადგან, ყველაფრის მიუხედავად, ეს სურათი მაინც ფერწერაა და არა კინოკადრი. კინო ამავე ამოცანებს სივრცული ფრაგმენტების (ეპიზოდების) დროში განლაგებით წყვეტს. კინემატოგრაფის თავისი ხერხები აქვს, თუმცა, როგორც ხელოვნების ნებისმიერი დარგი, ისიც მხოლოდ იმას გადმოსცემს, რაც ადამიანშია, რაც მისთვის ახლობელია, მისგან ნანახი და განცდილი.

ოპტიკური მხატვრობა – ფოტოგრაფია და კინემატოგრაფი (იგივე ტელევიზიაც) – მიუხედავად მისი შექმნის ტექნიკური ბუნებისა და მასში თავიდანვე ჩადებული იძულებითი ნატურალიზმისა, აგრეთვე მოიცავს გარკვეულ პირობითობებს, რომელთა შორის უმთავრესია ფაქტი, რომ ორგანზომილებიან სიბრტყეზე სამგანზომილებიანი სივრცის აღეკვატი იქმნება. ამ თვალსაზრისით, ოპტიკური გამოსახულება შუა საუკუნეების ევროპული ფერწერის მემკვიდრედ გვევლინება, რომლის მთავარი ინსტრუმენტი კომპოზიციის პერსპექტიული აგებაა.

როგორც ბრიტანელი კინო-ტელე ოპერატორი პიტერ უორდი წერს, ყოველი გამოსახულება გარკვეული შეტყობინებაა. ამ შეტყობინების აზრი გადმოიცემა ობიექტივის ფოკუსური მანძილის, მისი განთავსების სიმაღლის და დახრილობის შერჩევით; აგრეთვე – შუქითი ნახატის ფორმის აგებით, ფერითი აქცენტების განაწილებით, მოძრაობით კადრში, კამერის მოძრაობით და ა.შ. კინოოპერატორები თავიანთი ნამუშევრების შექმნისას ამ ტექნიკური ხერხებით მანიპულირებენ. მაგრამ მიუხედავად სტანდარტული აღჭურვილობისა, ზოგიერთი კინოპერატორი ახერხებს კინოხელოვნების უნიკალური ნიმუშის შექმნას, რომელიც წარმოების საერთო ფონზე მკვეთრად გამოირჩევა.

კინემატოგრაფში ხშირად ვწვდებით პირობითობის ტრაფარეტებად ქცეულ ფორმებს. თავის დროზე რომელიმე მნიშვნელოვანი მსატვრული ხერხი, რომელმაც აღიარება მოიპოვა, ხშირი გამეორების შედეგად გარკვეულ სტერეოტიპად იქცევა მასობრივ აუდიოვიზუალურ პროდუქციაში. ტექნიკურმა ხერხმა, რომლითაც კონკრეტულმა ავტორმა მოახერხა მსატვრული სახის შექმნა, სხვა ავტორებთან შეიძლება სათანადოდ ვერ იმუშაოს. მაგალითად, ცნობილი საბჭოთა ფილმის, „მიფრინავენ წეროები“ ფანტასტიკური წარმატების შემდეგ ბევრმა ოპერატორმა დაამაგრა ხელის კამერაზე ფართოეუთხიანი ოპტიკა და დაიწყო „სირბილი“ ამწედან ურიკაზე, მაგრამ უმეტესობამ ვერ მიაღწია იმგვარ მსატვრულ ზემოქმედებას, რაც ურუსევსკის კამერამ მოახდინა ფილმში „მე ვარ კუბა“.

როგორც ცნობილი ოპერატორი პიტერ უორდი აღნიშნავს, კომპოზიციის აგების ზოგი მეთოდი მუდმივია (საბაზისო), სხვები კი დამოკიდებულია არსებულ მოდაზე... ამა თუ იმ მსატვრული ხერხის გამოყენებას განაპირობებს კულტურული გარემო, მოდა და დროთა განმავლობაში იცვლება. სიახლესა და ორიგინალობას შეუძლია მიიპყროს ყურადღება, მაგრამ როცა საუბარია მასობრივ აუდიტორიაზე, უნდა გავითვალისწინოთ მისი გემოვნება და მოლოდინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შოკისმომგვრელი სიახლე არათუ არ მიიზიდავს მაყურებელს, არამედ პირიქით, აუდიტორიას ინტერესს დაუკარგავს. ფსიქოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებან, რომ ადამიანი ვერ აღიქვამს ინფორმაციას, რომლის გაგებაც არ შეუძლია. შეტყობინების გადაცემის შედეგი უშუალოდაა დამოკიდებული აუდიტორიის ყურადღების მიმართულებაზე. ამდენად, მსატვრული ფენომენის სრულფასოვანი შეგრძნების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა მისდამი ერთგვარი „მიჩვევა“. ადამიანი სიახლესთან შეხებისას შოკს, ან დისკომფორტს არ უნდა განიცდიდეს (როგორც სტერეოკინოს ზოგიერთ

ფორმატში) და მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი ადეკვატურად აღიქვას და შეაფასოს.¹

პირობითობის განსაკუთრებულ ფორმასთან გვაქვს საქმე მოცულობით კინემატოგრაფში, ფაქტია, რომ სამგანზომილებიანი გამოსახულება ტექნიკური ატრაქციონიდან ჩვენ თვალწინ იქცევა ყოველდღიურობად, 3D სტერეო ტელევიზორების სახით, ხოლო კინოპროდუქციის რაოდენობა წლიდან წლამდე გეომეტრიული პროგრესით იზრდება. ხდება ორგანზომილებიანი ფილმების სამგანზომილებიანი ვარიანტების დამზადება. ამისდა მიუხედავად, მხატვრული სახის შექმნა 3D სტერეო ფორმატში გაცილებით პრობლემური აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივი 2D.

რატომ უნდა იყოს ასე? ერთი შეხედვით ხომ მოცულობითი კინემატოგრაფი ქმნის გარე სამყაროს მხატვრულ შესატყვისს, ანუ ისეთს, როგორსაც ამ სამყაროს ბინოკულარული მზერის აპარატის მქონე ადამიანი აღიქვამს. რატომ ხდება, რომ ამ მოზღვავებულ სტერეო-კინოპროდუქციაში ხელოვნებასთან შეხვედრის ღელვა ჯერ კიდევ იშვიათად ეუფლება მაყურებელს?

პიტრ უორდს თავისი წიგნის ეპიგრაფად მოჰყავს ერნსტ გომბრიხის მოსაზრება მისი ნაშრომიდან „გამოსახულება და თვალი“:

„რაოდენ ზუსტიც უნდა იყოს გამოსახულება, რომლის მისანიც ვიზუალური ინფორმაციის გადმოცემა, იგი მუდამ ატარებს თავის თავში ერთი მხრივ, ოსტატის მსოფლიმსედველობის ანარეკლს, და მეორე მხრივ, კონცეფციას, რომლის ამ მხატვრულ სახეში ჩადება უნდოდა ოსტატს“?²

საფიქრებელია, რომ რაკიდა ადამიანის მიერ გარემოს აღქმა ერთობ ინდივიდუალური მოვლენაა, რისი ადეკვატურობის შესაბამის ვიზუალურ „ენაზე თარგმნას“ რაღაცნაირად მიგვაჩვია

¹ Peter Ward, Picture Composition for Film and Television, Focal Press, Boston, London, 1996

² Peter Ward, Picture Composition for Film and Television, Focal Press, Boston, London, 1996

კინემატოგრაფმა, ორი თვალის შესაბამისი კომუნიკატორული სისტემა გაცილებით ძნელი ასაგებია ადამიანისათვის კარგად ნაცნობი გარემოს მხატვრული ტრანსფორმირებისათვის. ხოლო ის, თუ რაოდენ „სახათაბალოა“ რეალისტური გარემოს მოცულობითად გადაღება, თავის თავზე იწვნია ჯერ კიდევ ალფრედ ჰიჩკოკმა, რომელმაც მხოლოდ ერთადერთხელ გადაიღო მოცულობითი ფილმი და მეტკერ აღარც უცდია.

ფილმი „დაურევეთ მკვლელს ნომერზე M“ (1954) კლასიკური ჰიჩკოკისული დეტექტივია ინტელექტუალური დამნაშავით, მიმნდობი მსხვერპლით, გამჭრიახი გამომძიებლითა და ა.შ. ფილმში, როგორც ყოველთვის ჰიჩკოკთან, დახვეწილი მშვიდი მანერით შესანიშნავად თამაშობენ მსახიობები, უმაღლესი სიზუსტით მოძრაობს კამერა, კინოწარმოების ტექნოლოგიური მოთხოვნები ზედმიწევნითად დაცული. ფილმი ჩვეულებრივ ტრადიციულ ფორმატშიც შესანიშნავი სანახავია და უნდა ითქვას, რომ მხატვრული ზემოქმედება „მონო“ ვარიანტს უფრო მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არა აქვს. სწორედ ამიტომ არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, მოცულობითი იქნება ამ ფილმის გამოსახულება თუ არა – მისი დრამატურგიისა და რეჟისორული მანერისათვის ეს მართლაც სულ ერთია. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა – რა საჭიროა გაცილებით რთულად შესაქმნელი მოცულობითი ტექნოლოგიის გამოყენება იქ, სადაც იმავე სათქმელს შესანიშნავად ამბობს 2D?

ამავე აზრით, იყივე „ავატარი“, ან მოცულობითად „გა-3D-ვებული“ „ტიტანიკი“ ეფექტური ტექნოლოგიის ნიმუშებია – და აქ თავდება მათი მხატვრული ზემოქმედების ზღვარი.

ამდენად, მივდით მთავარ მოთხოვნამდე – საჭიროა მოცულობითი გამოსახულების შესაბამისი დრამატურგია. ეს დრამატურგია, ლიტერატურული საფუძვლის გარდა, აუცილებლად უნდა მოიცავდეს გადმოცემის ისეთ ვიზუალურ მხატვრულ ამოცანას, რომლის განხორციელებაც 2D-ში უმკველად არასრულფასოვნი იქნება.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კინოფილმმა „გრავიტაცია“

საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, სოციალურ ქსელებში მაყურებელთა რეაქციებით შეიძლება დაგასკვნათ, რომ მათ დიდ ნაწილს ვერ გაუგია, რა არის ამ კინონამუშევრის მხატვრული ღირსება, იქ ხომ „10 წუთის გარდა, სულ სპეციფებია“...

დიახ, ასეა. მაგრამ აქ სპეციფები დრამატურგისთვის შესაბამისადაა გამოყენებული და არა გამაოცებელი ტექნოლოგიური ეფექტისათვის. კოსმოსური სადგურის გამლილი სივრცე იქნება თუ კაფსულის ვიწრო ინტერიერი, მოცულობითობა დრამატურგიულ დატვირთვას ატარებს, სივრცის მოცულობითობა მოქმედ მხატვრულ ელემენტად გვევლინება და არა მხოლოდ განხორციელების ფორმად. კოსმოსი რიგითი მაყურებლისათვის ჯერჯერობით რეალობისა და ფანტასტიკის ზღვარზე მდგარი სივრცული გარემოა და იქ მაყურებლის ფანტაზიას ფართო გასაქანი აქვს. ამიტომაც სწორედ რომ ნიშანდობლივია ზემოთ მოყვანილი დაკვირვება მხატვრული სახის შექმნისას „ერთი მხრივ, ხელოვნებისა და ცხოვრების, მხატვრული სახისა და მისი წინაპირობის არაიდენტურობა, მეორე მხრივ კი, ხელოვნების ნაწარმოების უმაღლესი შეფასებაა მისი მსგავსება ნატურასთან“. ამის გამოა, რომ ამ ფილმში დედამიწის კადრები, მხატვრული თვალსაზრისით, ყველაზე ნაკლებ შთამბეჭდავია.

მოცულობითი კინოს განვითარებისათვეს, მის სრულფასოვან კინემატოგრაფიულ ენანტად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სპეციფიკური დრამატურგიის შექმნა. კინემატოგრაფს ახსივს მსგავსი პერიოდები, როცა ხმოვანი კინო „ხმებდამატებული“ მუნჯი კინო იყო, ხოლო ფერადი კინოგამოსახულება – „გაფერადებული“ შავ-თეთრი. ორივე ტექნოლოგიამ – ხმამაც და ფერმაც თავისი სრულფასოვანი ადგილი მხოლოდ მას შეძლებ დაიკავა, როცა მათი შესაბამისი დრამატურგია შეიქმნა. მოცულობით კინოსაც ეს სჭირდება და როცა იგი შეიქმნება, მაშინ 3D სტერეო კინო ნამდვილად ჩამოყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი, სრულფასოვანი მხატვრული ფენომენი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Вартанов А. «Границы искусства и современное телевидение», в сб. «Проблемы телевидения», Москва, 1976, с. 25
- Хьюбел Д. «Глаз, Мозг, Зрение», Москва, «Мир» ,1990, с, 88
- Peter Ward. Picture Composition for Film and Television, Focal Press, Boston, London, 1996
- Питер Уорд. Композиция кадра в кино и на телевидении (Перевод с английского) Москва, Издательство ГИТР, 2005

ილია ნატროშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელერეჟისურის
მიმართულების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფ. სანდრო გახტანგოვი

სამართლები, რომელმაც მსოფლიო შეცვალა

მთავარი კაპიტალი, რომელსაც სატელევიზიო არხები
ფლობებ – ჩვევაა, ჩვევის ძალა. უამრავი ადამიანი შეჩვეულია,
უფროს კონკრეტულ არხებს, მაშინ, როცა იზრდება საკაბელო
ტელევიზიის მომხმარებელთა რაოდენობაც. ამას მივამატოთ
ინტერნეტის განვითარების სისწავეც. ასე, მაგალითად:
ფინეთის მოსახლეობის 9% აღარ უყურებს „სტანდარტულ
ტელევიზორს“, არამედ იღებს ინფორმაციას პერსონალური
მოწყობილობებიდან (აიფონები; აიპადები და ა.შ.), რომელთაც
ჯიბით ატარებს. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლაში –
„ტელევიზია ინტერნეტის წინააღმდეგ“, – ამ ეტაპზე ინტერნეტი
იმარჯვებს, ხოლო მაყურებელი იკრიბება სოციალური
ქსელების და ძლიერი ინტერნეტ-კონგლომერატების გარშემო
(FB, Google, Yndex და ა.შ.). ახალი ტელემაუწყებლობა
მულტიმედია რესურსების გამოყენებით ქმნის ინდივიდუალურ
მედია სივრცეს თითოეული ადამიანისთვის.

ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ტელეარხი
არის კონკრეტული ბრენდი და მაყურებელს აქვს მოლოდინები
ამ ბრენდთან მიმართებაში. მთავარი კითხვა ასე ჟღერს:
„მაყურებელთა მოლოდინები დაკავშირებული იქნება
საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერთან თუ უფრო ახლობლად
მიიჩნევს იგი სოციალურ ქსელს?“. აღნიშნული საკითხი
საჭიროებს კვლევას და ღრმა ანალიზს.

ტელემაუწყებლობის ტრანსფორმაცია წარმოადგენს
ძლიერ ინსტრუმენტს იმ პოლიტიკური, სოციალური თუ
კულტურული რეალობის ტრანსფორმირების პროცესში,
რომელშიც ვცხოვრობთ. ამაზეა დამოკიდებული, როგორ

განვითარდება მოვლენები და როგორ შეიცვლება ის რეალობა, სადაც ჩვენ ვართ.

მულტიმედია (ინგლ. multi – ბევრი, media - medium საშუალება) ინფორმაციის (აკუსტიკური, ვიზუალური, ტექსტური და გრაფიკული) გადაცემის, შენახვისა და წარმოების სხვადასხვა საშუალების ტექნოლოგიაა, აგრეთვე, ასეთი ტექნოლოგიის მარეალიზებელი პროგრამებისა და საინფორმაციო სისტემების ერთობლიობაც.

პირველი მულტიმედიური საშუალებები პრიმიტიული სახის იყო. მომხმარებელი შეზღუდული იყო ბევრ რამეში. გამოსახულება გამოიყურებოდა ჩვეულებრივი წიგნის ფურცლის მსგავსად. არ იყო გამოსახულების სწრაფად გამოცვლის საშუალება.


ინტერაქტიული მულტიმედია მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თავად განსაზღვროს ინფორმაციის მიღების პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი დიზაინით შესრულებული მულტიმედიური პაკეტი აღჭურვილია მრავალფეროვანი ინფორმაციული ლინკებით, ანუ ბმულებით და ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება უძლევა აირჩიოს საკუთარი მეთოდი ინფორმაციის მიღება-გადამუშავებისთვის. თითოეულ ასეთ პაკეტში ბმულები და პიპერბმულები შეფერილია ინდივიდუალური ფერით და საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ადვილად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია.¹

დღეს შესოფლიოში ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი მულტიმედია საშუალებები პორტატული და ადვილად გამოყენებადია. განსაკუთრებულ უნარებს არ მოითხოვს საყოველთაო მულტიმედია ტექნოლოგიების მართვა, რაც ადვილებს ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების პროცესებს. აღნიშნულ სურათს სქემატურად თუ წარმოვედგენთ, მივიღებთ ინფორმაციის გავრცელების პიპოტეტურ წრეს, რომელიც სამ რგოლს მოიცავს: 1. პროგრამული უზრუნველყოფა (Microsoft, Linux); 2.

¹ Stewart, C. and Kowaltzke, A. 1997, Media: New Ways and Meanings (second edition), JACARANDA, Milton, Queensland, Australia. p.102.

სოციალური ქსელები FB, Twitter, Google); 3. მულტიმედია ტექნიკური მხარდაჭერა ე. წ. ინტერფეისი (Apple).

კომპანია Microsoft Corporation 1975 წლის 4 აპრილს



ბილ გეიტსმა და ბოლ ალენმა დაარსეს. Microsoft როგორც მსოფლიოს უდიდესი პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიათა სიაში, ისე მსოფლიოს გიგანტებს შორის, მოწინავე ადგილს იკავებს. მაგ., როგორებიც არიან – Apple

Inc და IBM. 2005 წლის მონაცემებით Microsoft-ის წლიურმა შემოსავალმა 39,79 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. 2011 წლის მაისში, Microsoft-ის კომპანიამ შეიძინა Skype-ის აქციები 8,5 მილიარდ ამერიკულ დოლარად, რაც დღემდე Microsoft-ის უდიდეს შენაძენად ითვლება.¹

მარკ ცუკერბერგმა კი, თავისი პროდუქტი მსოფლიო ქსელში გაუშვა 2004 წლის 4 ოქტომბერის, ჰარვარდის ერთი პატარა ოთახიდან. მარკს ამ საიტის შექმნის იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც Phillips Exeter Academy-ში ყოფნის დროს იმ ტრადიციას გაეცნო, რომელსაც სხვა სასწავლებლებშიც იყენებდნენ. ყოველწლიურად ქვეყნდებოდა სახელმძღვანელო, სადაც მოცემული იყო სტუდენტების მონაცემები და ფოტო. ამ სახელმძღვანელოს პირწიგნაკი ერქვა, საიდანაც შემდგომში მისმა შექმნილმა სოციალურმა საიტმა მიიღო სახელწოდება Facebook. პირველი პირწიგნაკი მან ჰარვარდის უნივერსიტეტისთვის შექმნა, რისთვისაც მან უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა გატეხა. ამის გამო მისი უნივერსიტეტიდან გარიცხვის საკითხიც დადგა, მაგრამ ჰარვარდის სტუდენტების მოთხოვნით, მარკმა ისევ აღადგინა ეს სერვისი და ცოტა ხანში თითქმის სტუდენტების ნახევრი დარეკილირდა. ამ საიტზე სტუდენტებს სხვადასხვა ჯგუფის თვითორგანიზებაც შეეძლოთ, რამაც ეს საიტი პოპულარული გახდა. რამდენიმე

¹ Tilly, Chris. The History of Microsoft Windows CE. HPC:Factor. Retrieved August 18, 2008.

თვეში მარკს ანალოგიური საიტის შექმნის თხოვნით მიმართეს სტენფორდის, კოლუმბისა და იელის უნივერსიტეტიდან. ცუკერბერგმა გადაწყვიტა, დასახმარებლად მიემართა თავის მეგობარ – დასტინ მოსკოვიჩისთვის, რომელთანაც ჰარვარდში ერთ ოთახში ცხოვრობდა.¹ დღეს Facebook მსოფლიო ლიდერია და ყველა იმ თანამედროვე მულტიმედია სერვისს მოიცავს, რომელსაც ყოველდღიურად მიღება როგორი ადამიანი იყენებს მსოფლიოში, მაგრამ რომ არა სტივ ჯობსი, ყოველივე ეს არ მიღებდა გიგანტურ მასშტაბებს.

სტივენ ჯობსი თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს გამომგონებლად და ნოვატორად ითვლება. მისმა ინოვაციურმა იდეებმა შეცვალეს კომპიუტერის პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის ინდუსტრია, როგორც ფუნქციონალური კომფორტულობის, ასევე დიზაინერული დაწვერილობისა და მომავალზე გათვლილი ტენდენციების სახით.

სტივენ ჯობსის ხელმძღვანელობით Apple-მა შეცვალა ადამიანების მიღობა კომპიუტერისადმი, გიგანტური, მოუხერხებელი, გაურკვეველი მოწყობილობიდან – მოსახერხებელ, ელეგანტურ და დაწვერილი დიზაინის მქონე მოწყობილობებამდე. მაგალითად, მან თავიდან შემოგვთავაზა და დანერგა ინტერფეისისა და კომპიუტერული თაგვის ტექნოლოგიები და აქცია ისინი საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტად.²

მოძრავი ნახატების მონაცემება, მუსიკა, სტერეო ხმა და ფერადი გამოსახულება ეფექტური სანახაობაა. ყველა ამ საშუალებას კარგი მულტიმედიური პროგრამა აბალონსებს, თუმცა, აქ მთავარი პრიორიტეტი ვიდეო გამოსახულებას ენიჭება. ეს არის მულტიმედიის წამყვანი საშუალება, რომლის დაწმარებითაც მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდება

¹ Carlson, Nicholas (March 5, 2010). At Last – The Full Story Of How Facebook Was Founded. Business Insider.

² Raskin, Jef (1996). Recollections of the Macintosh project. Articles from Jef Raskin about the history of the Macintosh.

ყველასათვის ადვილი და გასაგები გზით. თუმცა, მასაც აქვს ნაკლი — ვიდეოგამოსახულება დიდ ადგილს იკავებს დისკზე და მისი ჩატვირთვა დროს მოითხოვს.¹

მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია — ადვილად მოიძიოს ინფორმაცია. ამ პროცესს აადვილებს ჰიპერბმულები. ბმულზე დაწყაპუნებით მას ეკრანზე გამოაქვს საჭირო ინფორმაცია. ჰიპერბმულები მულტიმედიის განუყოფელი ნაწილია და მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ინფორმაციის დამუშავებისას დამოუკიდებლი იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი თავად ირჩევს ინფორმაციასთან გაცნობის საკუთარ გზას და ძიების სისტრაფეს, რაც მას უაღვილებს მუშაობას.

თანამედროვე პროგრამები აღჭურვილია საუკეთესო დიზაინთა და მოხმარების უადვილესი ელემენტებით. ინფორმაციის მოძიებისათვის მულტიმედიურ პროგრამებს სპეციალური საძიებო სისტემა აქვს, რომელიც ტექსტური ხასიათისაა. ტექსტის შეყვანით ადვილად შესაძლებელია როგორც ვიდეოროლების ისე ფოტომასალის მოძიება.

არავინ იცის, ხვალ რა ფორმითა და შინაარსით გააგრძელებს მსოფლიო ქსელები ჩვენს ყოველდღიურიბაში ინტეგრაციას, თუმცა დღესვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ XXI საუკუნის ადამიანის ცხოვრება მულტიმედია საშუალებების გარეშე ძნელად წარმოსადგენია. იცვლება სისტრაფე, იცვლება გარემოც და შესაბამისად, ადამიანის მიერ შექმნილი ვირტუალური რეალობა ცვლის კაცობრიობის ყოფას და თავისი კორექტივები თუ პირობები შემოაქვს ჩვენს სინამდვილეში. ტელევიზია თუ ინტერნეტი? — ერთმნიშვნელოვნად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ნაადრევია, თუმცადა, ტელევიზიების მხრიდან, მულტიმედია საშუალებების სტრაფი ინტეგრაციის გარეშე, მათი მომავალი პერსპექტივა ბუნდოვანია.

¹ Raskin, Jef (1996). Recollections of the Macintosh project. Articles from Jef Raskin about the history of the Macintosh.

გამოყენებული ლიტერატურა:

- М. Кузнецов Философия Маршалла Маклюэна и коммуникативные стратегии Интернета – М.: Институт философии РАН, <http://www.isn.ru/info/seminar-doc/Mclw.doc>
- Carlson, Nicholas (March 5, 2010). “At Last – The Full Story Of How Facebook Was Founded”. Business Insider.
- Raskin, Jef (1996). “Recollections of the Macintosh project”. Articles from Jef Raskin about the history of the Macintosh.
- Stewart, C. and Kowatzke, A. 1997, Media: New Ways and Meanings (second edition), JACARANDA, Milton, Queensland, Australia. pp.102.
- Tilly, Chris. “The History of Microsoft Windows CE”. HPC:Factor. Retrieved August 18, 2008.

გელიოლოგია

რეზო ჭიჭინაძე,

საქართველოს მოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

დამოუკიდებლობა და შემდგომ დემოკრატია

(სუკის აგენტებად შერაცხული ხელოვანები და ერთმანეთს
დაპირისპირებული ჟურნალისტები)

1998 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდგომ, საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე პრაქტიკულად კონტროლი დაკარგა. ცენტრალური კომიტეტი ერთგვარად შეეცა „რადიკალების“ მიერ პერმანენტულად ორგანიზებულ მიტინგებს, მანიფესტაციებს სახელმწიფო შენობების პიკეტირებას და ა.შ. ეროვნული მოძრაობის გავლენა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე იმდენად მაღალი იყო, რომ რესპუბლიკაში თავისებური ორხელისუფლებიანობის მსგავსი ვითარება შეიქმნა. რადიკალების წნევის გამო საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა იძულებული იყო ერთგვარად გაეზიარებინა საერთო საზოგადოებრივი ეროვნული განწყობა და შეექმნა ილუზია იმისა, რომ თავადაც იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის; იმავდროულად, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების განაწყენებას ერიდებოდა და ეროვნულ მიდრეკილებებს ღენინური „ეროვნული პოლიტიკის სქემებით“ ნიღბავდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს კი საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. უმრავლესობა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ მოიპოვა. 1990 წლის 14 ნოემბერს, უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე თავმჯდომარედ ეროვნული მოძრაობის ლიდერი – ზვიად გამსახურდია აირჩიეს.

პირველივე სესიაზე გაუქმდა სახელწოდება – „საქართველოს სირ“ და ქვეყნას „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა; დამტკიცდა რესპუბლიკის პიმი, სახელმწიფო დროშა და გერბი. საქართველოში გამოცხადდა „გარდამავალი პერიოდი“, რომელიც ზ. გამსახურდიას თავდაპირველი გეგმის მიხედვთ, ორწლიან ციკლს მოიცავდა, თუმცა მოვლენები დაგეგმილზე სწრაფად განვითარდა. ე.წ. გარდამავალი პერიოდი ხუთ თვეში დასრულდა. 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი. კითხვას: „ხართ თუ არა თანახმა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“, 98%-მა დადგითი პასუხი გასცა. სწორედ 1991 წლის რეფერენდუმის შედეგები იყო საფუძველი იმისა, რომ 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენასემა საბჭომ საგანგებო სხდომაზე დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო, რითიც საბოლოოდ გაემიჯნა კომუნისტური ხელისუფლების მიერ, 1990 წლის თებერვალში შემუშავებულ „საქართველოს სირ ეროვნული განვითარების კონცეფციას“. 1991 წლის 26 მაისს კი საპრეზიდენტო არჩევნები შედგა, სადაც ხმათა 87% ზ. გამსახურდიამ მოიპოვა.

პირველი პრეზიდენტის მიზანი საბჭოური მენტალიტეტისგან საზოგადოების გათავისუფლება იყო. ზვიად გამსახურდიასთვის დამოუკიდებლობის აღდგენის მხოლოდ დეკლარირება არ იყო საკმარისი. ეროვნული მოძრაობის ლიდერი მუდაშ საფრთხის მოღლიდინში იყო და იმ პერიოდის ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს „სუკის“ აგენტებად აღიქვამდა. ზვიად გამსახურდიას დაპრისპირება ქართველი ინტელიგენციის ცალკეულ ავტორიტეტებთან, ჯერ კიდევ დისიდენტობის წლების პერიოდში დაიწყო. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომაც, კომუნისტური ხელისუფლების დაკვითას – ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ (1977 წ.) – კატეგორიულად არავინ შეწინააღმდეგებია. მკვლევრების აზრით, სწორედ ინტელიგენციასთან კონფრონტაცია იყო ზ. გამსახურდიას მნიშვნელოვანი შეცდომა. „გამსახურდიას

ხელისუფლება ნემსის უწევში უნდა ვამძრალოფო, რათა თანამემამულე ინტელიგენციის ზედაუენასთან როგორმე თანამშრომლობისათვის მიუღწია. პირიქით მონდა. მაშინ როცა ეროვნული ხელისუფლება, გადაწყვეტილად და მიუკიბავდა კანკვნით, ცამდე მართლი იყო რადიკალურ ოპოზიციასთან, მაგრე საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა ვერ შეიმუშავა თანამემამულე ინტელიგენციასთან და ზომიერ ოპოზიციასთან ურთიერთობის მეტნაკლებად რაციონალური სტრატეგია. ვი, თუნდაც მინიმალური თანამშრომლობის მაგიერ, მწვავედ დაუკაირისაბირდა მას. ამ ძედარი სტრატეგიის (რომელიც დროთა განსაკლობაში, უაუზურების სახეს იღებდა) მთავარი ავტორი და ძეგლოვაზი ზვად ვამსახურდია აღმაჩნდა. სამწუხაროდ, მის ძლიერ, ეროვნული მუხტის მატარებელ ქარიზმას, თავდაპირველად ჯერ გურამ პეტრიაშვილისა და თემურ ქორიძის მსგავსი ერთგული ერთეულები აჰევნენ, ხოლო შეძლომში მრავალი მხარდამჭერი გაუცნობიერებლად ჩაება ინტელიგენციის უარმყოფელ კამპანიაში. . . შესაძლოა ზ. ვამსახურდა გულწრფელად ფიქრობა, რომ ინტელიგენციას ამგვარი უკომპრომისო ბრძოლით გამოაფხიზლება, ვონზე ძოიყვანდა და ეროვნულ მოძრაობაში ჩააბამდა. მაგრამ მის უკომპრომისობას მუდამ უკუმედები მოკენდა – ინტელიგენცია, უფრო სწორად, მისი ზედაუენა, გნებავთ, პრივილეგირებული კასტა, სულ უფრო მწვავედ უპირისპირდებოდა ვამსახურდიასაც, მის მხარდამჭერებსაც. თუ გავიხსენებთ ინტელიგენციისასდნი განკუთვნილ მიმართვებს, შეფასებებს, ხეწოდებებს, თითქოს აღარ უნდა იყოს ვასკვირი ელიტართა მწვავე ანტიპათია ვამსახურდიასა და მის თანამემრობილობა მიმართ. პროგრეატორი, მტრის წისქვიდაზე წყლის დამსხმელი, ავენტურა, კრემლის ავნენტი, მერცე საუკუნის შაპაბასების, ჯალაკლებინების და თემურ-ლუების მხარში აძლევომი, კოლაბორაციონისტი, ანტიეროვნული, ერის მოღალატე, ღვთის მოღალატე...”¹

¹ დიმიტრი შველიძე. პოლიტიკური დაპირისპირები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.). თბილისი, 2008. გვ. 176.

1990 წლის 28 ოქტომბერს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვების შედეგა, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ცვლილებებს ელოდა. თუმცა, შედეგმა მანც ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია როგორც მოსახლეობაში, ისე უურნალისტებს შორის. იმ პერიოდის სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამის პასუხისმგებელი რედაქტორი იხსენებს: „როდესაც 28 ოქტომბერს არჩევნები დამთავრდა და „მრგვალის მცირდამ“ გაიძირვა 29-ში დილით კამერას არ ავ ზავნიდნენ გამარჯვებულ პარტიასთან; ფიქრობდნენ რა იქნება ახლა ვივი გუბარიშე. ვთქვი, ცენტრალური კომიტეტის ძირითადა და იქნება თუ ძოუნდება (მაშინ კომენისტური პარტია იყო კერ კიდვ დაშვებული), მავრამ ის საქართველოს აღარ მართავთქმ. მეორე დღეს იყო სრული ქათა. 15 წელიან საინფორმაციო პროვრამას ძრივს ვაკონტინუირდთ. უურნალისტებმა არ იცოდნენ რა გაუცემონათ¹, იმავდროულად, უმრავლესობაში იყვნენ ის უურნალისტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები მათი მოვალენი იყვნენ. „ტელევიზიაში ძომუშვეული არ თვლიდნენ, რომ მხოლოდ ზვიადისა და ეროვნულის მოძრაობამ მოუტანა მათ დამოუკიდებლობა. ისინი თვლიდნენ, რომ ეს ცეკვამ ურთად ვაკეთუს, უბრალოდ ზვიადი და კოსტავა ლიდერები იყვნენ. ისინი (ტელევიზიაში ძომუშვეული), თავს თვლიდნენ არამხოლოდ ჯარისკაცებად, ზოგ ს თვითურის თანამდებობაზეც ჰქონდა პრეტენზია² – ამბობს მამუკა არეშიძე, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლების აქტოური მოწინააღმდეგე და უურნალისტთა აქციების ერთ-ერთი ორგანიზაციონი იყო.

„წითელი ინტელიგენციის“ (ასე მოიხსენიებდა

¹ ინტერვიუ ფისო ქათამაძესთან – საინფორმაციო პროგრამა „მოაბის“ ყოფილი პასუხისმგებელი რედაქტორი. ღოკ. ფილმი „მაღლა დაღმავალი კიბით“, სსმ-ს არქივი.

² ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან – ღოკ. ფილმი „მაღლა დაღმავალი კიბით“, სსმ-ს არქივი.

ზეთად გამსახურდია საზოგადოებაში ავტორიტეტისა და პოპულარობის მქონე პირთა დიდ ნაწილს, მათ შორის სახ-ო ტელევიზიაში მომუშავე უურნალისტების ნაწილსაც), წინააღმდეგ, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარებ და შემდგომში პირველმა პრეზიდენტმა, პროპაგანდის მანქანის ამუშავება გადაწყვიტა. ეროვნულ ხელისუფლებას საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ საკუთარი შეხედულება ჰქონდა, რაც დემოკრატის ყოველგვარ ჩარჩოს სცდებოდა და უურნალისტთა ერთი ნაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელი, მეორე ნაწილისთვის კი მისაღები და გასაგები იყო. საქართველოს ლიდერის მთავარი დევიზი იყო – „დამოუკიდებლობა და შემდგომ დემოკრატია“. ამ ტიპის ტაქტიკის არჩევის შემთხვევაში, ლიდერები სავაროდ დემოკრატის უუღებელყოფას ერიდებიან, თუმცა გამსახურდიას ხელისუფლება სტრატეგიას არათუ მაღავდა, არამედ აქტიურად ტირაუირებდა. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, თემურ ქორიძის (უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომისიის თაგმაკლომარე) განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამსახურდიას ხელისუფლებისთვის იყო რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა და სწორედ ამიტომ ყველაფერი ამ მიზანს უნდა დამორჩილებოდა. სწორედ ამ ტიპის მიდგომა გახდა ახალი მმართველობისა და საზოგადოების დიდი ნაწილის დაპირისპირების მიზეზი. ჯერ დემოკრატია თუ ჯერ დამოუკიდებლობა? რატომ არ შეიძლება ორივე ერთად? 1990 წელს ქართულ საზოგადოებაში ეს ყველაზე აქტუალური კითხვები იყო. ეროვნულ ხელისუფლებას სურდა იდეოლოგიური პროპაგანდის მეშვეობით მენტალური რევოლუცია მოეხდინა. გაეთავისუფლებინა საქართველოს მოსახლეობა კომუნისტური მენტალიტეტისგან, გაევროთიანებინა ერი ერთი იდეის – „სრული დამოუკიდებლობის“ გარშემო; დაექსევრია ძველი და შეექმნა ახალი, ჭიშმარიტად ეროვნული ფასეულობები.

ჩვენი მიზანი არ არის იმის მტკიცება, ჰქონდა თუ არა

გამსახურდიას ხელისუფლებას ჩამოყალიბებული კონკრეტული პროპაგანდისტული სტრატეგია, არამედ ის, თუ რა ტიპის გავლენა ჰქონდა ხელისუფლების პროპაგანდისტულ ნაბიჯებს საზოგადოებაზე. ასევე გავანალიზოთ ის, თუ რამდენად მართებულად იყენებდა გამსახურდია პროპაგანდის კლასიკურ ფორმებსა და მეთოდებს და რა შეცდომები დაუშვეს გამოუცდელმა იდეოლოგებმა. ეროვნული ხელისუფლების რიტორიკისა და ქმედებების გაანალიზებით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მანიპულირების რომელი ტექნოლოგიების გამოყენებას ცდილობდა გამსახურდიას ხელისუფლება. პროპაგანდის რა მეთოდები გამოიყენეს მიზნის მისაღწევად და რა გავლენა მოახდინა მან ქართულ საზოგადოებაზე. „პრობლემის შექმნა“, „დემონიზაცია“, „ისტორიის გადაწერა“, „ხელოვნურად შექმნილი საშიშროებები“, „კლასიფიკატორი“, „დასწრების ეფექტი“, „გამეორება“ და „ინფორმაციული ბლოკადა“ – ეს ის ძირითადი მეთოდებია, რის ამოქმედებასაც ახალი ხელისუფლება ცდილობდა. „მრგვალი მაგიდის“ ლიდერის ერთ-ერთი პირველი ამოცანა პროპაგანდის მანქანაზე სრული კონტროლის დამყარება იყო. ზეთად გამსახურდია, იმ დროს ერთადერთი, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ტელემაუწყებლის უურნალისტებისა და თანამშრომლების „განწყობის“ შესახებ ინფორმაციას სრულად ფლობდა და მას აფასებდა როგორც „ანტისახელმწიფოებრივს“, ამიტომ მისი გადაწყვეტილებით ტელე-რადიო დეპარტამენტის თავმჯდომარედ მისი ერთგული, თუმცა ტელესივრუცისთვის აბსოლუტურად უცნობი პიროვნება – თეომურაზ კვანტალიანი დაინიშნა. ზ. გამსახურდიას სწორედ ამ გადაწყვეტილებით გაჩნდა პირველი ბზარი ქართველ უურნალისტებს შორის და მეტად გაღრმავდა უურნალისტთა დაპირისპირება ახალი ხელისუფლების მიმართ. ო. კვანტალიანმა თავის პირველ განცხადებაში (ოფიციალურ დანიშვნამდე) აღნიშნა, რომ ტელევიზია არის გართობის საშუალება. დეპარტამენტის თავმჯდომარემ „ინფორმაციული ბლოკადის“ და „ყურადღების

გადატანის“ ხერხების ამუშავება გადაწყვიტა. კვანტალიანმა დაწურა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, მირითადი აქცენტი გასართობ გადაცემებზე გააკეთა, გაამკაცრა კონტროლი საინფორმაციო სამსახურზე, რამაც ჟურნალისტთა ერთი ნაწილის პროტესტი გამოიწვია, სხვანი კი თვლიდნენ, რომ ამგვარი ქმედებით საქართველოს სახელმწიფოებრიობა მეტად განმტკიცდებოდა. საინფორმაციო პროგრამის დიქტორი დაგით სოკოლოვი წლების შემდეგაც მიიჩნევს, რომ ცენზურა იმ პერიოდში აუცილებლად უნდა ყოფილიყო, რადგან სასწორზე სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა იდო. ჟურნალისტთა უკაყოფილება, რომლებიც ახალ რეალობასთან ერთად, სიტყვის თავისუფლებას ელოდნენ, თანდათან იზრდებოდა, თუმცა ხელისუფლება საზოგადოებით მანიპულირების ბერკეტის დათმობას არ აპირებდა. გადაცემების დაზურვისა და „ურჩ“ თანამშრომელთა დათხოვნის შემდეგ სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. მოსალოდნელი ბუნტის თავიდან ასაცილებლად 1990 წლის 25 დეკემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარებ გადაწყვიტა ტელე-რადიო დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვედროდა. ზ. გამსახურდია ტელევიზიაში თავად მივიდა (შეხვედრა პირდაპირი ეთერის რეჟიმით არ გადაიცემოდა, თუმცა სსმ-ს არქივში არსებობს შეხვედრის ვიდეოჩანანერის არასრული ვარიანტი). შეხვედრა ემოციურად დატვირთული, თუმცა კონსტრუქციული იყო. გამსახურდია ცდილობდა დეპარტამენტის თანამშრომელთა უკაყოფილება პირადი ავტორიტეტის ხარჯზე გაენიტრალებინა. „...რაც თქვენ იმ კუში არ მოვწონთ, მე ვიღებ ჩემს თავზე. გვაითხებით: მენდობით მე თუ არ მენდობით?.. დამჯერეთ, დამჯერეთ, ცოტა უხეშა, ცოტა შეიძლება ზრდაღლობაც დაღატობს, მე უკერავულს ამას მოვხსნი. იქნება, როვორც აბრუშით, რა გინდათ მეტი. არ გვერათ? არ გვერათ და გავგდით. რა გინდათ, თქვენს ხელში არ არის? არ მოვეწონებათ – გავგდეთ და მორჩა. რა პრინციპია ეს? ამის გულისთვის ახლა ჩვენ უნდა წავიჩხუძოთ? ამის გულისთვის? კვანტალიანი არ იქნება თქვენი უშუალო უფროსი, არ იქნება! თქვენ გვჩებათ

უაშეალოდ წულებისკირთან საქშე. ვინმეს შეურცებელოფა
მიაუხდა? ახელე ზღა უპავ, კიდევ ბევრს ზღავს. ვინმეს რაიმეს
უხეშად ეტვის, 10-ჯერ მეტს მიღებს. რა ვინდათ მეტი?
დაძირებული, ის ნანობს, მიხვდა შეცდომებს. მე მას საკმაოდ
კარგად ვესაუბრებ და ტონია, ყველაუერი კარგად იქნება...¹

უზენაესი საბჭოს თაგმჯდომარეს „სიტყვის თავისუფლების“
შესახებ არ უსაუბრია. შეხვედრა დეპარტამენტის
თაგმჯდომარისა და ტელემაუწყებლობის თანამშრომელთა
პირადი ურთიერთობის გარკვევას დაეთმო კვანტალიანის
დასაცავად, გამსახურდიას მხოლოდ ერთი არგუმენტი ჰქონდა –
უზენაესი საბჭოს თაგმჯდომარებ განაცხადა, რომ კანტალიანი
არის ძლიერი კაცი, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიაში არ
შემოუშვებს იმ ძალებს, რომლებიც პირადად გამსახურდიას
და ასევე ქვენის მტრები არიან. ტელევიზიის მუშაკებთან
საუბრის სტრატეგია „ცრუ ანალოგიებზე“ იყო აგბაული. არა
მხოლოდ ამ კონკრეტულ შეხვედრას, არამედ გამსახურდიას
თითქმის ყველა საჯარო გამოსვლას (როგორც მანამადე, ისე
მას შემდეგ), ერთგვარ მოტივად გაპყვებოდა ის, რომ მისი
გზა არის ჭეშმარიტი (ისე, როგორც იქსო ქრისტესი), ხოლო
დანარჩენი ყველა ვარიანტი არის ცრუ (ე.წ. ბარაბას გზა).
ასეთი ტიპის ლოგიკურ ჯაჭვს (სხვადასხვა ვარიაციით)
არგებდა გამსახურდია თითქმის ყველა სიტუაციას და სწორედ
ასეთივე ხისტი, ერთგვარად სწორხაზოვანი, პროპაგანდის
გატარება სურდა მას სახელმწიფო ტელევიზიის საშუალებით.
გამსახურდია ასევე ცდილობდა მედიის საშუალებით ე.წ.
კლასიფიკატორის ეფექტი აქტიურად აქმუშავებინა, რათა
მისი პირადი მტრები მოსახლეობის გონიერაში ავტომატურად
აღქმულიყვნენ ქვენის მოღალატეებად. ამ მეორედების
ამუშავებას კი ერთგული და, რაც მთავარია, პროფესიონალებით
და კომპლექტებული მედია საშუალება სჭირდება. საქართველოს
ახალი წელისუფლების ლიდერის უპირატესობა მდგომარეობდა
იმაში, რომ იმ პერიოდში მხოლოდ ერთი ტელემაუწყებლობა
არსებობდა. შესაბამისად, სახელმწიფო ტელევიზიის კონტროლი

¹ საჩ. მაუწყებლის არქივი

პრობლემას არ წარმოადგენდა. გამსახურდიას ასევე ჰყავდა ერთგული ადამიანებიც, თ. კვანტალიანის მსგავსად, თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა პროფესიონალიზმი და ერთმანეთს დაპირისპირებული უურნალისტები იყვნენ. ტელე-რადიოდეპარტამენტში შეხვედრის შემდეგ, სადაც ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებმა უხვად მიიღეს დაპირებები, მღელვარება ჩაცხრა, თუმცა გამსახურდიამ ყველაზე უკეთ იცოდა, – სიმშვიდე დროუბითი იყო. უზენაესი საბჭოს თ-რეზ თ. კვანტალიანის ნაცვლად დეპარტამენტის ხელმძღვანელის პისტზე ახალი კანდიდატურის ძებნა დაიწყო (რასაც გამსახურდიას მთავრობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი თემურ ქორიძე არაერთ ტელე თუ საგაზეთო ინტერვიუში ადასტურებს), თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ მან არჩევანი ერთგულებაზე გააკეთა. დაპირებების ხიბლი იმედგაცრუებაში მაღევე გადაიზარდა და უურნალისტთა ნაწილი ახალ მთავრობას უკვე ღიად დაუპირისპირდა. ცნობილი ტელესახები ოპოზიციის მიტინგებზე გამოჩნდნენ, პარალელურად კი ტელევიზიაში პროფესიონალი კადრების ერთგული კადრებით ჩანაცვლება მიმდინარეობდა და ცეზურა იზრდებოდა. შიდა დაპირისპირების პროცესი დეპარტამენტის შენობის კედლებს გასცდა. დეტალების შესახებ (რაც შესაძლოა ზოგ შემთხვევაში „ქმოციური რეზონანსის“ გამოწვევის მიზნით, გადაჭარბებულიც კი ყოფილიყო), ცნობილი უურნალისტები საჯარო საუბრობდნენ. „დღუს მე თვითონ გავხდი მამსწრე იმ ინციდენტისა, თუ როგორ იწერებოდა პროცესი „მოაბე“ (მთავარი საინფორმაციო გამოშექა). „მოაბეს“ მთავარი რეზისორი, რომელიც არის ვიზუალისტ, უცხოება მოიჩინე რეზაქტორს, რომ შემთხვევია წერილები, რაც უნდა გადაიცეს. ბაზონი ქოქაშვილი უუბნება, რომ მე ამას არ ვაღიაუცემ. ის უუბნება უნდა! ეს უუბნება არა, მე ვარ რეზაქტორი, შენ რეზისორი, რა უფლებით მაძლევ მითოუგებს!..“¹. – ასეთი ტიპის განცხადებებით გამოდიოდნენ 90-იანებში ცნობილი

¹ ვალერი კვარაცხელია მიტინგზე (უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო). სსმ-ს არქივი

ტელესახეები, რომლებიც დიდი რაოდენობის მაყურებელთა ნდობით სარგებლობდნენ. ამ მცირე განცხადებაში მკაფიოდ სჩანს რამდენიმე გზავნილი: 1. საინფორმაციო პროგრამის რეჟისორად ახალმა ხელისუფლებად დანიშნა ისეთი ადამიანი, რომელსაც ცნობილი ტელეუწურნალისტი (რომელიც წლებია მუშაობს ტელევიზიაში) არც კი იცნობს ანუ „ვინმე ჯაფარიძე“ არაკომპეტენტურია და მისია მისია არა რეჟისურა, არამედ სხვა რამაა. 2. არაპროფესიონალი ადამიანი, რომელიც რეჟისორის თანამდებობას იკავებს, როგორც ჩანს, ცენტორია, რადგან თავს უფლებას აძლევს რედაქტორს უკარნახოს – რა უნდა გავიღეს ეთერში და რა არა. 3. უურნალისტთათვის უცნობი პიროვნება დაშინებით ლობირებს „წერილების“ ეთერში გაშვებას, რაც, სავარაუდოდ, მთავრობის ინტერესშია. ამ ტიპის გზავნილებზე მთავრობა და მისი მომხრე უურნალისტები არ რეაგირებდნენ და განავრმობდნენ „ინფორმაციული ბლოკადის“ და „ყურადღების გადატანის“ მეთოდებით ბრძოლას. ახალი ხელისუფლების პროპაგანდისტული შეცდომა „ინფორმაციული ბლოკადის“ წარმოება იყო. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ქვეყნის შიდა პრობლემატური საკითხების „გადაფარვა“ და მით უფრო, დაბლოკვა – უშედეგო. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ე.წ. ორთქლის გამოშვების მეთოდის ამუშავება, თუმცა პირველი პრეზიდენტისთვის ოპოზიციურად განწყობილი პოპულარული, საზოგადოებისთვის ნაცნობი ავტორიტეტებისთვის სახელმწიფო ტელევიზიის და ეთერის დათმობა მიუღებელი აღმოჩნდა. ოპოზიციამ კი საზოგადოების ინფორმირება თბილისის ცენტრალურ გამზირებზე ე.წ. საინფორმაციო მიტინგების საშუალებით დაიწყო. ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა სტრატეგიამ გაამართლა. ახალი ამბების გასაგებად მიტინგებზე მოსახლეობის რაოდენობა დღითიდევ იმატებდა. დრამატულად განვითარდა მოვლენები 1991 წლის 2 სექტემბერს, როდესაც თბილისში „კინოს სახლთან“ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო მიტინგს დემონსტრანტების დარბევა მოჰყვა. იმავე დღეს ზ. გამსახურდიამ სახ-ო ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას.

„...ვიორვი ჭახტურია, რეზო ჩხეიძე, ვიორვი ხაინდრავა, ნორარ ნათაძე – დღეს ვითარების დესტაბილიზაციას შეუცადნენ. მათ ქადაგებს ცენტრში ვადაკუტეს ძოძრაობა, რაც არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში დაშვებული არ არის. ჩვენ თუ ამ ხერხს მივმართავდით კომუნისტურ ეპოქში, მხოლოდ მიზრომ, რომ ქვეყანას მართავდა მტერი, მათ წინააღმდეგ ყველა ხერხს მივმართავდით... და ზარალდა რამდენიმე მოქალაქე, მავრამ ვამოიძება დაადგენს ვინ რისვან და ზარალდა. მილიციელთა ჯავშან-უილუეტები ტყვით იყო დახვრუტილი. ეს ექსცესები მაზნად ისახავს საქართველოს დიპლომატიური აღიარების შეფერხებას მოჯოს მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ინსპირირებულია კურგლისა და მისი ავერტურის მიერ. ამიტომ ძოვიწოდებით საკადრისი პასუხი ვასცემ ძოლაღატებს⁴. პარალელურად სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა დაზარალებულ მილიციელთა და ტყვიებით დაზიანებული ჯავშანუილეტების კადრები. გამსახურდიამ არც ამჯერად უდალატა საკუთარ კურსს და „ინფორმაციული ბლოკადის“ გეზს არ გადაუხვია; თუმცა თბილისში თითქმის ყველა დაინტერესებულმა პირმა იცოდა, რომ ნაჩვები კადრები დადგმული იყო და მომიტინგეობან მილიციის მისამართით არავის უსვრია. სწორედ სიმართლის თქმის, „ინფორმაციული ბლოკადის“ გარღვევის სურვილით, 1991 წლის 12 სექტემბერს საქართველოში შეუქცევადი პროცესი დაიწყო. უურნალისტები ოპოზიციური აზრისთვის ალტერნატიული საათის მოთხოვნით სახელმწიფო ტელევიზიის კიბებზე დასხდნენ. 90-იანი წლების მთავარ კითხვას – ჯერ დამოუკიდებლობა თუ ჯერ დემოკრატია – ყველამ საკუთრი პასუხი მოაწეო. საზოგადოების ნაწილი უურნალისტებთან, ინტელიგენციასთან და გვარდიასთან ერთად ტელევიზიასა და კინოს სახლის შენობების მიმდებარევ სიტყვის თავისუფლებას ითხოვდნენ. მთავრობის სასახლესთან შეკრებილები კი პირველი პრეზიდენტისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ყველანაირი

¹ ზ. გამსახურდიას გამოსვლა სახ-ო ტელევიზიის ეთერში 02.09.1991. სსმ-ს არქივი

შეზღუდვის დასაწესებლად იყვნენ მზად. სამოქალაქო ომის ზღვარზე ყოფნის, დედაქალაქის პარალიზების მიუხედავად, პრეზიდენტი გამსახურდიას რიტორიკა არ შეუცვლია. 1991 წლის 22 დეკემბერს კი პროპაგანდისტული დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. გამსახურდიამ თბილისი 6 იანვარს დატოვა.

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო გოდერძიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის დოქტორანტი
ხელმძღვანელი - პროფესორი ნატო გენგიური

ნადირობის სცენა საფარის სამრეკლოს რეპიეზზე

ნადირობას ქართველთა ცნობიერებაში უძველესი დროიდან მოყოლებული საქარალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნებისმიერი ნადირობა გულისხმობს იმ საზღვრის გარკვეულ გადალახვას, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს ადამიანის მიერ ათვისებულ სივრცესა და უღრან, უსიერ ტყეს, რომელიც აწმოში პირველქმნილი ქაოსის გამოვლინებას წარმოადგენს. მონადირე ამ ქაოსს აითვისებს და მას სამყაროს სახით აყალიბებს. ნადირობა სოციალური კოსმოსის შექმნასაც ნიშნავს. მაგალითად, მითში ფარნავაზის შესახებ, ნადირობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს დაარსებასთან. საინტერესოა ამ მნიშვნელოვან პროცესში ირმის ჩართვაც, – კავშირი მონადირესა და ირემს შორის. საქართველოში მას უძველესი დროიდანვე დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.¹

შეა საუკუნეების რელიეფებში ნადირობის სცენები გვხვდება ქვა ჯვრების შემკულობაში – ოანე ნათლისმცემლის სტელა (VI-VII ს.ს.), ტაძრების საფასადო შემკულობაში – ატენის სიონის დასავლეთ ფასადი (VII ს.), მარტვილის სიონის აღმოსავლეთ ფასადი (VII ს.), კანკელის შემკულობაში – წებელდის კანკელის ფილა (VII-VIII ს.ს.), შიო მღვამის კანკელის ფილა (XI ს.), შედარებით გვიან პერიოდში სარკმლის შესამკობადაც მიმართავნ – ოშკის სარკმლის თავსართი

¹ ბ. გაციტაძე, ნადირობის ფენომენოლოგია დათაება დალის შესახებ <http://saunje.ge/index.php?id=744&lang=ka>

(X.). ნადირობის კომპოზიცია ადრეული სცენებისგან განსხვავებული ფორმით და მდებარეობით XIII საუკუნეში საფარის სამრეკლოს საფასადო შემქულობაში გამოვლინდა.

საფარის სამონასტრო კომპლექსი სხვადახვა დროს შეისწავლეს მკვლევრებმა: ვახტანგ ბერიძემ, პარმენ ზაქარაიამ, თამარ ნემსაძემ. მაგრამ მათ შრომებში აქცენტი დასმულია არქიტექტურულ თავისებურებებზე და საერთო დეკორატიულ გაფორმებაზე. სამრეკლოს შესასვლელთან გამოსახულ ნადირობის სცენაზე ცალქე კვლევა არ ჩატარებულა, იგი შეუსწავლელია. ნემსაძის პროექტის მიხედვით, დასავლეთ ფასადის ის ნაწილი, საღაც რელიეფია გამოსახული, მიწოდი დაფარული. იგი სამრეკლოს რესტავრაციის დროს გაიწმინდა.

XIII საუკუნის საფარის სამრეკლო ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ორსართულიანი ნაგებობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დაქანებულ კლდეზე დგას. თითო სარკმელი სამხრეთითა და აღმოსავლეთით თავდაპირველად ვიწრო, თაღოვანი იყო, შემდეგ გადაკეთდა რუსი ბერების მოღვაწეობის პერიოდში. მეორე სართული ფანჩატურს წარმოადგენს, კედლები 8 ვიწრო თაღოვანი მალით იხსნება. პირველი სართული კვადრატულია, ინტერიერი ფრესკებითაა შემქული, რომელზეც გამოსახულია თავად ლასურისძეთა პორტრეტები, სწორედ მათ სამკალეს წარმოადგენს სამრეკლოს პირველი სართული. საფარის დეკორს ქმნის ორნამენტებით შემქული ფანჩატურის თაღები. ქვედა სართული სადაა შემქულობის თვალსაზრისით.

პირველი სართულის სადა ფასადებიდან თვალშისაცემია ნადირობის სცენა, რომელიც წარმოდგენილია დასავლეთის სწორკუთხა შესასვლელის მარჯვენა მხარეს თითქმის მიწის ზედაპირზე. ერთან ქვის ფილაზე ბრტყელი კვეთით გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მონადირე, რომელიც მიმართულია ირმისაკენ. ირმის ზემოთ გეომეტრიული ფიგურაა გამოსახული.

მონადირის ფიგურა ფრონტალურია, პროპორციულად

ცხენის ფიგურის ზომის. ცხენს წინა ფეხები მოკეცილი აქვს, მოძრაობის მომენტშია გადმოცემული. მკრთალად იკვეთება აღვირი. მხედრისა და ცხენის ფიგურა ირმის გამოსახულებასთან შედარებით მცირე ზომისაა. მასშტაბების გაზრდით თითქოს ირგმს მეტი მნიშვნელობა ენიჭება, იგი ქვის ფილის ცენტრშია მოქცეული. ირმის ტანს ზემოთ გეომეტრიული ორნამენტია წარმოდგენილი. ოთხკუთხედში ჩასმული წრე ცენტრში გამოსახული ერთმანეთში გარდამავალი ფოთლოვანი მოტივით. ქვის ფილის დანარჩენი არე თავისუფალია. ფიგურები ფართო, ტეხილი კონტურებით იკვეთება, დაბალი რელიეფი სიბრტყულია, თითქოს მხედრის ფიგურა ირმის უკანა პლანზეა გამოსახული. კომპოზიციისთვის სიღრმის მინიჭების მცდელობა ჩანს. ფიგურები ჩაკვეთილია ქვის ფილაში. ოსტატი სადად და მარტივად ცდილობს კომპოზიციის გადმოცემას.

საფარის რელიეფისგან განსხვავებით, იოანე ნათლისმცემლის ქვასვეტზე კომპოზიცია გამოსახულია ორ რეგისტრად: ქვედა რეგისტრზე მონადირე-მხედრის ფიგურა და ზედა „სივრცეში“ – იორემი, რქებს შორის მაცხოვრის გამოსახულებით. სტელის ფორმით განპირობებული ამგარი გადაწყვეტა კომპოზიციას ღრმა მნიშვნელობას სძენს. კომპოზიცია აერთიანებს ზეციურ და მიწიერ სივრცეს, იორემი ზემოდან დაჟურებებს მხედარს, რომელსაც მშვილდე-ისარი აქვს მოზიდული. ირმის დატოტვილ რქებს შორის კი მაცხოვარია გამოსახული. აქ მოცემული გვაქვს პლაკიდას ნადირობა თავისი იკონოგრაფიული სქემით.

მხედრის სამოსელის გულდასმით გადმოცემა მოწმობს რეალური კოსტიუმის მიბაძვის, რომელიც კარგად იყო ცნობილი ოსტატისათვის. ამგარი სამოსელი გვხვდება ახლო აღმოსავლეთის ხალხებში. თავისებურია ცხენისა და მხედრის მასშტაბური შეფარდება, რაც სასანური მხატვრული ძეგლებისთვისა დამახასიათებელია.¹

საფარის რელიეფისგან განსხვავებით წებელდის კანკელის ფილასა და მარტივილის რელიეფზეც წმინდა ევსტათის ნადირობაა გამოსახული. ორივე კომპოზიცია გამდიდრებულია

¹ კამაჩაბელი, ქართული ქვაჯვარები, თბ. 19 88, გვ. 289-291

ძაღლის და ფრინველის ფიგურებით, წარმოდგენა იქმნება, თთქმის ამაღლით ნადირობს მხედარი, ორივე დეკორატიულია და ფიგურებითაა დატვირთული. საზეიმო და დიდებულ ზასიათს ატარებს, საფარასთან შედარებით ფიგურები მოცულობითი და პლასტიკურია.

ატენის სიონზე გამოსახული ნადირობის სცენა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. აქ მხედარი წარმოდგენილი არ არის სამეფო სამოსში, სადადა გადაწყვეტილი. ირმის რქებს შორის არ გვაქვს იკონოგრაფიული სქემის ნიშანი, თუმცა დაზიანებული სახით შემორჩა – ირმის რქები ჩამოტეხილია და შესაძლოა, თავდაპირველი სახით მაცხოვრის გამოსახულება ყოფილიყო.

იოანე ნათლისმცემლის, წებელდის კანკელის ფილის, მარტვილის სიონის რელიეფის წარმოგვიდგენს წმინდა პლაკიდას ნადირობას, თავისი კლასიკური იკონოგრაფიული ნიშნებით.

შედარებით გვიანი პერიოდის ოშეის ნადირობის სცენა, მანამდე არსებული სცენებისგან განსხვავებით, მეტად თავისებურია. აქ შეცვლილია მონადირის პოზა, მონადირე ქვეითად, ცალ მუხლზე დაჩოქილი მანამდე არსებულ კომპოზიციებში არ გვხვდება. იგი დამოუკიდებლად მშვილდომნის ზოდიაქოსთან ავლენს კავშირს.

მდებარეობით საფარის სცენა ოშეის მსგავსად დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ადგილთან როგორიცაა, დასავლეთის შესასვლელი კარი. ოშეის რელიეფი სარკმლის თავსამკაულს წარმოადგენს. ვინაიდან შემთხვევით არაფერს გამოსახავდნენ სასულიერო ნაგებობაზე, მდებარეობასაც თავისი სიმბოლური დატვირთვა შეგვიძლია მივანიჭოთ. ფასადზე გაჭრილი კარი, სარკმელი განასახიერებს კავშირს მიწიერ და ზეციურ სამყაროებს შორის. მათი საშუალებით ხდება ინტერიერში მოხვედრა, სულიერი კავშირი ადამიანსა და ზეციურ სამყაროს შორის.

ევსტათი პლაკიდას ნადირობის სცენას ხშირად მიმართავენ ტამრის შესამკობად, როგორც ქრისტიანობაზე მოქცევის

სიმბოლოს. „წმ. ევსტათეს“ ხილვის იკონოგრაფიულ სქემას საფუძლად უდევს ძველ აღმოსახულებოში გავრცელებული მეფის ნადირობის გამოსახულებები. ეს სქემა საქმაოდ ერთგვაროვნია: კომპოზიციის ცალ მხარეს ცხენზე ამხედრებული წმ. ევსტათი მოზიდული შშვილდით, იშვიათად შუბით, შეორე მხარეს კი ირემი, ზოგჯერ ორი, ან სამი, რომელიც გაურბის მონადირეს, თაგზე კი, რომელიც მისკენ აქვს მიტრიალებული, რქებს შორის ჯვრის ან ქრისტეს ნახევარფიგურის გამოსახულებით, ეს საქმაოდ მარტივი და ტრადიციული სქემა ზოგჯერ გამდიდრებულია ცალკეული დეტალებით – ხეების, მთების, ძალლების, ფრინველების გამოსახულებებით (მაგ., მარტვილის სიონი), ამ კომპოზიციაში, ჩადებულია სულის ხსნის მოპოვების იდეა, მთავარი სიმბოლოა, როგორც ქრისტიანობის გამარჯვება, ქრისტეს რჯულზე მოქცევა.¹

წმინდა ევსტათის მოწამეობრივი ცხოვრება ქრისტიანობაში მოთმინების, რწმენის სიმბოლოა. ქართველი ხალხი წმინდა ევსტათი პლაკიდას ხილვაში ხედავდა მეფის ნადირობას, ანუ მირიან მეფის გამოცხადებას, გაიაზრებოდა როგორც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევა, სულის ხსნის მოპოვების იდეა, უფლისკენ ლტოლვა... ამიტომ იგი ქართული სასულიერო ხელოვნების საყვარელი თემა გახდა.

წმინდა ევსტათი პლაკიდას ნადირობის გარდა, გვაძეს „ევაგრეს ნადირობა“, მაგალითად შიო მღვიმის კანკელის ფილა (XI ს.). შიომღვიმის ძეველი ნათლისმცემლის კანკელის ფილა რელიეფური სკულპტურისა და ორნამენტული დეკორის შესანიშნავ ნაწარმოებს წარმოადგენს. ოთხ ფილაზე ძველი აღთქმის სხვადასხვა სცენაა გამოსახული. მათ შორის აღსანიშნავია „წმინდა ევაგრეს მისვლა ღირს შიოსთან“.

ფიგურებით გამდიდრებული კომპოზიცია მსგავსებას ავლენს წებელდის კანკელის ფილასთან, სადაც წარმოდგენილია წმინდა ევსტათის ხილვა. წმ. ევაგრეს ნადირობის სცენის იკონოგრაფიული ნიშანია მტრედი რომელსაც ნისკარტით

¹ ქ. დიდებულიძე, „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, ლიტერატურა და ხელოვნება, №2, 1990, გვ. 197-206

ასკილი უჭირავს.

აღნიშვნული ნადირობის სცენები უკავშირდება წარმართ თავადთა მოქცევას, ნადირობისას ხდებოდა ხილვა თუ სასწაული, რომლის შემდეგ მოექცეოდნენ წარმართები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

ზ. კინაძის მიხედვით, მონადირე ახალი რეალობის აღმომჩენაა. პოენა მონადირის ბედის აუცილებელი ნაწილია, რომლის შემდეგაც განახლებული ცხოვრება იწყება. მონადირეს ორ სამყაროში უხდება ცხოვრება და საქმიანობა. ერთია სოფელი, სადაც ჰყავს ოჯახი და მეორე – მთა და ტყე, სადაც ნადირობს. მონადირე ჩაბმულია ნადირთ პატრიონთან ურთიერთობაში. მას, ხევისბერის მსგავსად, მოპოვებული აქვს სტატუსი და უფლება, – მონადიროს პირუტყვი.¹

სიმბოლოთა ღერძისკონის მიხედვით, ირემი – მზის ამოსელასთან, სინათლესთან, სისპეტაკესთან, აღორმნებასთან ასოცირდება. ხარ-ირემი სიუხვის მზიური ემბლემაა. მისი დატოტვილი რქები „ცხოვრების ხეს“ განასახიერებს, რქების ცვლის გამო – დღეგრძელობას, განახლებას აღნიშნავს.²

ე. კვაჭატაძის მიხედვით, ირემი სამყაროული ხის ფუნქციასაც ითავსებდა, იგი ყველაზე სრულად გადმოგვცემდა სამყაროს მთლიანობის იდეას, მის არს, ამავე დროს ამ სამყაროს წარმოშობას, მის გენეზის.³

მონადირის მიერ ირმის მოკვლის მოტივი კოსმოგონიის აქტის სიმბოლურ გამოხატულებად გაიაზრებოდა და ახალი სამყაროს დაბადებას უკავშირდებოდა. ხოლო ცხოველებით, მცენარეული მოტივებით და ფრინველების გამოსახულებით გამდიდრებული სცენები სამოთხის წალკოტს განასახიერებდნენ.

¹ ზ. კინაძე, მონადირის ორმაგი ცხოვრება <http://saunje.ge/index.php?id=1441&lang=ka>

² ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. II, ბაქმი, 2006, გვ. 94-95

³ ე. კვაჭატაძე, გვიანი შეა საუცნების საფარის სკულპტურის პროგრამათა ინტერპრეტაციისთვის, საქართველოს სიმველენი, 11, თბ. 2007, გვ. 178-189

ქრისტიანულ ხელოვნებაში მათი სახით „სიცოცხლის ხეთა“, მარადიოული სასუფევლის გაღმოცემის იდეაა ჩაღიბული¹.

ადრეულ პერიოდში ნადირობის სცენებს გამოსახავდნენ ქა-ჯვარზე, პირდაპირ ფასადზე რომ იშლება ან კანკელზე. შედარებით გვიან, მე-11, მე-12 საუკუნეებში წარმოადგენს ან სარქმლის თავსამკაულს, ან კარის სიახლოვეს დამოუკიდებელ კომპოზიციას. საფარის სამრეკლოზე წარმოდგენილი ნადირობის სცენა გარკვეულ თავისებურებებს ავლენს როგორც შესრულების, ისე კომპოზიციის თვალსაზრისით.

საფარის სამრეკლოს ნადირობის სცენა გამოირჩევა შემდეგი თავისებურებებით:

მდებარეობა: რელიეფი გამოკვეთილია შესასვლელი კარის გვერდით, სამრეკლოს ჭედა არეში, თითქმის მიწის ზედაპირზე. მანამდე ნადირობის სცენებს ამ სახით, სამრეკლოს ფასადზე, ან კარის სიახლოვეს არ გამოსახულენ.

გამოსახვის ფორმა: ბრტყელი კვეთის ფიგურები სადა ქვის ფილაზეა გამოსახული, მონადირის და ირმის გარდა, გეომეტრიული ფიგურაა დამატებული. განსხვავებით ადრეული სცენებისგან. მანამდე თუ ცხოველების და მცნარეული მოტივებით ამდიდრებდნენ კომპოზიციას, აქ გეომეტრიული ფიგურაა ჩასმული. სადა, ორფიგურიანი კომპოზიცია გამდიდრებულია გეომეტრიული ორნამენტით, რაც დეკორატიულობას მატებს მას. თვით ფიგურებსაც დეკორის ერთ-ერთ ელემენტად წარმოვიდგენს.

შინაარის: უჩვეულო ფორმითავა წარმოდგენილი ნადირობის სცენა აქ, არ გვაქვს პლაკიდას ნადირობის იკონოგრაფიული სქემა და არც ევაგრესი.

ამრიგად, საფარის სამრეკლოზე წარმოდგენილი რელიეფი კიდევ ერთი ვარიანტია ნადირობის სცენისა, რომელიც ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იყო გავრცელებული. მარტივი, ორფიგურიანი ნადირობის სცენის გადაწყვეტა იცვლებოდა, ოსტატები ამდიდრებდნენ სხვადასხვა მცნარეული ელემენტებით,

¹ იხ.: იქვე.

ცხოველების და ფრინველების გამოსახულებებით, რომლებსაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდათ. კომპოზიცია ეპოქის შესაბამისად იცვლიდა სახეს, თუმცა ყველა ეტაპზე იდეურად ერთ მნიშვნელობას ატარებდა და გაიაზრებოდა, როგორც ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა, უფლისკენ ლტოლვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961;
- აბზანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლითა იღუსტრირებული წარიგლოპედია, ტ. I-II, ბაკი, 2006-2007;
- ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994;
- ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეები, თბ. 1955;
- ბერიძე ვ., საფარის მონასტერი, საქართველოს სულიერი საგანმური, წიგნი I, თბ., 2005;
- ნემსაძე თ., საფარა-ახალციხის რაიონი, სამრეკლო, წინასწარი სამუშაოები, თბ., 1985;
- გულბანი ნ. მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლა წარმართული კულტების წინააღმდეგ საქართველოს მთანეთში, თბ., 2010;
- ვარსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპონი (დაღუპული მონადირის ეპონი), თბ., 1964;
- მაჩაბელი ჭ., ქართული ქვა-ჯვარები, თბ., 1988;
- სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა, ძეციერება, თბ., 1970;
- ქართული საბჭოთა წარიგლოპედია, ტ. 11, თბ., 1987;
- ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1979;
- ზაქარაია პ., ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII ს.ს., თბ., გრაფიკა, 1990;
- აბრამიშვილი გ., ირმების სიმბოლიკა ატენის სიონის ტიმპანის რელიეფზე, ნარკვევები VI, თბ., გვ. 61-67;
- ალადაშვილი ნ., VIII-IX საუკუნეების ქვაზე კვეთილი რელიეფის ადგილი შეუსაფრთხოების ქართველი სკულპტურის განვითარებაში, საქართველოს სიძველენი, №7-8, თბ., 2005;
- ალადაშვილი ნ., ქართველი მეცნიერების საქართველოში, (V-XI ს.ს.), საბჭოთა ხელოვნება, №7, 1974;

- ალადაშვილი ნ., შუა საუკუნეების ქართული მოწუმენტური და მცირე სკულპტურის „ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, სამეცნიერო შრომების კრებული, თსსა, თბ., 1988;
- დიდებულიძე მ., „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., №2, 1990;
- მაისურაძე ო., საფარა, საბჭოთა ხელოვნება, თბ., №3, 1964;
- კვაჭატაძე ე., გვიანა შუა საუკუნეების საფასაფო სკულპტურის პროგრამათა ინტერპრეტაციისთვის, საქართველოს სიმველენი, №11, თბ., 2007;
- Аладашвили Н. Монументальная скульптура Грузии, сюжетные рельеф V-XI веков, искусство. 1977;
- Салтиков А., Видение св. Евстафия Плакиди, рельефные иконы из вебелди, искусство христианского мира, М., 1996;

შორენა ფხაკაძე,

საქართველოს მოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოგნებათმცოდნეობის
მიმართულების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფ. ირინე აბესაძე

ორგაზი კოდი ქართველ პოსტმოდერნის თემათან – ირაკლი ჭავჭავაძი

წინარე კულტურათა გამოცდილების კრიტიკულმა
გადაზრუბამ წარმოქმნა მსოფლიმხელველობის ახალი ტიპი,
რომელმაც „პოსტმოდერნიზმის“ სახელწოდება მიიღო.

პოსტმოდერნიზმის წარმოშობას, როგორც წესი, XX
საუკუნის 70-იან წლებთან აკავშირებენ, ანუ შეიძლება
ითქვას, რომ ის ერთგვარად იმ მოვლენების „შთამომავალია“,
რომელთაც ადგილი პჟონდათ 60-იან წლებში.

პოსტმოდერნიზმს განსაზღვრავთ, როგორც მნიშვნელოვან
სტადიას, როგორც მთელ ეპოქას, რომელმაც შთანთქა სხვა
ტენდენციები და მოვლენები. მას განიხილავთ მოდერნიზმის
ანტიორზად და ახალ, განსაკუთრებულ მიმართულებად.¹
მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ „პოსტმოდერნიზმის“
შემოტანას ამერიკელებს მიაწერენ, როგორც მოვლენა, ის
მაიც საფრანგეთში წარმოიშვა და განვითარდა. თუმცა კი, ეს,
დიდწილად, იმ ტექნოლოგიური და საწარმოო ცვლილებების
შედეგი და ამერიკის განვითარებული მრეწველობის,
გლობალიზაციის თანამდევი ფაქტია, რომელმაც თავისი
გამოხატულება პპოვა პოსტმოდერნისტულ ხელოვნებასა
და ფილოსოფიაში. პოსტმოდერნიზმი განმტკიცდა და
დაფუძნდა საფრანგეთში თითქმის მთლიანად ფრანგული
კულტურის და განსაკუთრებით ლიტერატურის მასალების
განხილვის მეშვეობით. 80-იანი წლებისათვის ის გადაიქცა
საყოველთაო მიმართულებად, მსოფლიო მნიშვნელობის

¹ უსოვსკაია ე., პოსტმოდერნიზმი XX საუკუნის კულტურაში. შესავალი. თეატრი და ცხოვრება. №1. თბილისი 2011. გვ. 71.

ფაქტად (ყოველ შემთხვევაში, დასავლური კულტურის ჩარჩოებში): განვითარებული ფილოსოფიური პოსტმოდერნიზმი თანამედროვე ხელოვნების იმ საერთო თეორიად დამკვიდრდა, რომელიც უმთავრეს როლს ასრულებს დღემდე არსებულ თეორიებს შორის. პოსტმოდერნიზმი განიხილება, როგორც თანამედროვეობის გამომხატველი მიმართულება, რომელიც თავს ყევლა სფეროში იჩენს.¹

ისევე, როგორც ნებისმიერი ახალი მიმდინარეობა, პოსტმოდერნიზმი აღიარა მოყვარულთა მეტად მცირე ჯგუფება. ფაქტობრივად, ის მისაწვდომი და მისაღები აღმოჩნდა შეზღუდული ელიტარული კულტურული წრისათვის, შემოქმედთა მცირე ნაწილისათვის. ამასთან, აბსურდული და შემდგომში პოსტმოდერნისტული მწერლების სიუჟეტის სიმარტივებ, სიცხადემ, დეტალთა სიმწირემ, წარმოდგენის განსხვავებულობამ, „უცხოობამ“ მაღლ მიზიდა მკითხველი და მაყურებელი. განსაკუთრებით მიმზიდველი ამ ნაწარმოებების აპოლიტიკურობა აღმოჩნდა.

პოსტმოდერნიზმი რთული, მრავალგანზომილებიანი და წინააღმდევობრივი მიმართულებაა ხელოვნებაში, რომელიც ყველა ქვეყანაში ეროვნული ნიშნით ვთარდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თეორეტიკოსები მასში ორ ძირითად მოდიფიკაციას გამოჰყოფნ: ა) დასავლურს, რომელსაც ახასიათებს მჭიდრო კავშირი პოსტმოდერნისტულ თეორიასა და ფილოსოფიასთან, რომელიც გარდაიქმნება სიმულაკრების პიბრიდულ-ციტატურ ენად, ოპტიმისტური ტონი და ბ) აღმოსავლურს, რომელიც ჩამოყალიბდა დასავლური ლიტერატურის ახალი ტენდენციების შესახებ სრული ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში. იგი ვთარდებოდა და იძნდა აშკარად ეპატაჟის ხასიათს „სახელმწიფო ხელოვნების“ – სოცრეალიზმის ნორმების მიმართ.²

რას გულისხმობს საკუთარ თავში ტერმინი ორმაგი კოდი?

¹ ბერეკაშვილი თ., „პოსტმოდერნიზმი დღევანდელობის კონტექსტში. მნათობი №56. თბილისი 2000. გვ. 125.

² ქარუმიძე ზ., „პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი. არილი №4.2010.

ეს არის ცენტრა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ავტონომიური პოსტმოდერნისტული მხატვრული „ტექსტების“ სპეციფიკური ბუნება („ტექსტის“ ცენტრის ქვეშ სემიოტიკური თვალთახედვით იგულისხმება ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების სემანტიკური და ფორმალური ასპექტი). მრავალჯერადი მცდელობისას – განესაზღვრათ პოსტმოდერნიზმის სტილური თავისებურებები, როგორც კოდი, თეორეტიკოსები რეალურ სირთულეებს ეჯახებოდნენ. იმდენად, რამდენადაც ფორმალურად პოსტმოდერნიზმი ვლინდება, როგორც ხელოვნება, რომელიც გაცნობიერებულად გაურბის ყველანაირ წესს და ჩარჩოს.

ფრანგი კრიტიკოსი ბარტი ყველა მხატვრულ ნაწარმოებში გამოჰყოფს ხუთ კოდს: კულტურულს, პერმენევტიკულს, სიმბოლურს, სემიოტიკურს და ნარატიულს¹. პოსტსტრუქტურალიზმის თეორეტიკოსი და პოსტმოდერნიზმის წინამორბედი ბარტი „კოდის“ თავისეულ კონცეფციაში გასცდა ტრადიციულ განსაზღვრებებს, რაც შემდგომში პოსტმოდერნიზმის მიმდევრებმა აიტაცეს. ის ამბობდა, რომ პოსტმოდერნიზმი „კოდი“ არ უნდა გავიგოთ მისი მაცრი სამეცნიერო მნიშვნელობით. კოდს ის უწოდებდა ასოციაციურ ველს, რომელიც გვიქმნის წარმოდგენას განსაზღვრულ სტრუქტურაზე.²

პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში ცხადად იკვეთება ორი ძირითადი ტენდენცია: პირველი გვხვდება მასობრივი კულტურის ხაზში, ხოლო მეორე დაკავშირებულია სტრუქტურულ-სემიოტიკურ მიმართულებასთან და ნაკლებად გამოხატული პოსტმოდერნისტული ხასიათი აქვს. ამ ტენდენციების მიმდევრები აღიარებენ სემიოტიკურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, თითოეულ გამოსახულებაში ძეგს სხვა გამოსახულება. ირაკლი ფარჯანანი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქართველ მხატვართაგან, რომლებიც მისდევენ ამ პრინციპს.

ირაკლი ფარჯანას შემოქმედებაში სამყაროს ორმაგი აღქმა ვლინდება. ორმაგი ხედვა, ორმაგი კოდი ირაკლი

¹ Барт Р., Избранные работы: Семиотика. Поэтика, 1989, გ3 40

² იქვე, გ3 450

ფარჯიანის შემოქმედებაში გაჩნდა ქვეყანაში არსებული სტაგნაციის პერიოდში, რომლის თანამედროვეც იყო მხატვარი. მაგალითისათვის განვიხილოთ მისი ნამუშევარი, სახელწოდებით „პეზაჟი“. კომპოზიცია წარმოგვიდგება მონოტონური ფონით, რომელიც ქმნის მთლიანობის, ერთიანობის ილუზიას. იმავე დროს, იგივე მონოქრომი არის მხოლოდ ფონი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თემატურ პლასტებს.

ირაკლი ფარჯიანის შემოქმედებას არაერთი ხელოვნებათმცოდნე აანალიზებდა, მაგრამ განსაზღვრება ინდივიდუალური საავტორო ხედვის ორმაგი კოდისა ჯერ კიდევ არ ქმნაულა ცალკეული კავლების საგნად. შეგვცდებით მოვახდინოთ მხატვრის სემიოტიკური მიმართულების დეკოდირება. ფარჯიანის ტილოები იქმნებოდა იმ დროს, როდესაც პოსტმოდერნისტული მეტატექსტი ხელოვნების ყველა დარგში იყო აკრძალული მკაცრი სოციოლოგიური მეთოდოლოგიით. მაგრამ ავტორმა შეძლო ეთქვა ძალიან ბევრი თავისი დროისა და საკუთარი თავის შესახებ, ხედვის პერსპექტივასა და ოპტიმიზმზე, რომლითაც სავსეა მისი ნამუშევრები.

მისი ნამუშევრების ნაწილში ფერი ძირითადად მწვანეა, მაგრამ ეს არ არის წმინდა მონოქრომი, ის იქმნება ერთი და იმავე ფერის სხვადასხვა გრადაციით, რომელიც დამახასიათებელია XX საუკუნის 30-იანი წლების ამერიკული ფერწერისათვის, ჯაზის ეპოქისათვის, შემოქმედებითი თავისუფლების დროისათვის, როდესაც ხელოვანი მისიწრაფოდა თვითგამოხატვისაკენ. ეს ყველაფერი გვხვდება ირაკლი ფარჯიანის მნერაშიც. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა „ჩამოირეცხოს“ მკვეთრი საღებავები, რომელთა უკანაც ჩანს ძირითადი ფონი, გარდამავალი შერეულ ტონალობებში. ჩნდება ბლუზის მელოდიის ასოციაცია.

ირაკლი ფარჯიანი თავის ნამუშევრებს ქმნიდა იმ დროს, როდესაც დასავლურ ფერწერაში უკვე დიდი ხნის განვითარებული იყო ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეში გადასვლის ტექნიკა. ეს არის ტექსტის სემიოტიკური

წაკითხვის პერიოდი, მუსიკალური ტექსტის მეტატექსტური გადასცლა ფერწერაში, გრაფიკასა და არქიტექტურაში. ირაკლი ფარჯაიანთან გვხვდება პორტრეტის ან ნატურმორტის კოდის კოდირება, როგორც თეატრალური დეკორაციის, რომელიც ნაჩვენებია გაჯერებულ ფოზე. მოცემულია მეტაკომპოზიცია, რომელსაც მაყურებელი მიპყავს მხატვრული სივრცის სიღრმეში. ამ სახით ტილოს ლაიტმოტივი მოძრაობას იწყებს ცალკეულ ფრაგმენტობრივებად, რომელშიც თითოეული ფრაგმენტი შეიძლება აღვიქვათ, როგორც დამოუკიდებელი ძირითადისაგან. მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ჩნდება კოლაჟურობის განცდა. თითოეული ფრაგმენტი ემსახურება ძირითად ლაიტმოტივს და აღიქმება, იკითხება როგორც როთიანი ტექსტი.

ცალკე კვლევის საგნად შეიძლება იქცეს ირაკლი ფარჯაიანის ტილოების ორმაგი კოდირება სემიოტიკური სიმბოლოების კუთხით. ამ საკითხზე კვლევები ჯერაც მწირია ხელოვნების თეორიაში, რამდენადაც ფერწერის სემიოტიკური ანალიზი მხოლოდ ახლახანს იქცა კვლევის საგნად ხელოვნებათმცოდნეობაში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მხატვრული პრაქტიკა ბევრად უსწრებს თეორიას.

საყურადღებოა ნამუშევარი „მხატვარი და მოდელი“, სადაც ორმაგი კოდი ძალიან ცხადად არის ნაჩვენები. მხატვარი იყენებს ორმაგი სარკის გეომეტრიულ პრაქტიკას. ამ ნამუშევარში ორმაგ კოდს აქვს ასევე შიდატექსტური დონეები: ორი ფიგურის ურთიერთკავშირი, ორი ფერის თამაში. საინტერესოა ასევე მხატვრისეული გადაწყვეტა იმისა, თუ როგორ აჩვენებს მხატვრის გამოსახულებას: მისი სახე შედგება ორი სიმეტრიული ნაწილისაგან, რომლის ერთი ნაწილიც მიმართულია ტილოსაკენ, ხოლო მეორე მაყურებლისაკენ. ამ ტექსტში ჩნდება კიდევ ერთი ორმაგი კოდი: ტილოს ჩარჩო და სარკის ჩარჩო. ასევე მოცემულია სხვა ორმაგი კოდი: სარკის ჩარჩო და ტილოს ჩარჩო, რომელიც უკანა მხრიდან არის წარმოდგენილი ტილოზე და რომელთანაც დგას მხატვარი. სწორედ ამით ახდენს მხატვარი აქცენტირებას

თავის შემოქმედებით თავისუფლებაზე, ის მომავალ მნახველს უტოვეს საშუალებას, თავად წარმოიდგინოს, თავისუფალი ინტერპრეტაციის პირობებში, თუ რა არის ტილოზე.

პოსტმოდერნიზმში დასაშვებია ერთი შეხედვით შეუთავსებელი შეგრძნებების შერევა. ფარჯიანის ტილო ტოვებს პარმონიულობის შეგრძნებას მიუხედავად იმისა, რომ ტილოზე თითქოს მხოლოდ ორი ფერია. ეს ზოგადად დამახასიათებელია ფარჯიანის მანერისათვის. დიდი ხნის მანძილზე ფერწერაში ჩარჩო თთვლებოდა ტექნიკურ ელემენტად, რომელიც არ აღიქმებოდა, როგორც ტექსტის ნაწილი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელოვნების თეორიამ მიმართა ტექსტის სემიოტიკურ ანალიზს, ცხადი გახდა, რომ ჩარჩო ასრულებს სტრუქტურულ-სემიოტიკურ ფუნქციას: მხატვარი რაღაცას ტოვებს ჩარჩოს მიღმა.

საყურადღებოა ნამუშევარი „ზაქარია და ანგელოზი“. ნამუშევარი თითქოსდა გაყოფილია ორ სივრცედ, ორი სხვადასხვა კოდის მატარებელ ტექსტად. ტილოს მარცხენა მხარე წარმოდგენილია თბილ, ხოლო მარჯვენა – ცივ ფერებში. ანგელოზი, რომელსაც მოაქვს ზაქარიასთვის იმედი, არ ეხება იატაკს, ზაქარიასაგან განსხვავებით. მხატვარმა ნახატში გააერთიანა მიწიერი და ზეციური, რეალური და ტრანსცენდენტური სამყაროები.

ანალოგიურად, ზღაპრის იღუსტრაცია აერთიანებს ორ სივრცეს, სიკეთისა და ბოროტების, ბნელისა და ნათლის ერთგვარ სინთეზს, რომელიც მხატვარმა პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი მანერით წარმოგვიდგინა – ორი განსხვავებული კოდი ერთ სივრცეში. რისი სიმბოლოა წითელი ფერი, რომელიც ნამუშევრის მარჯვენა ნაწილშია წარმოდგენილი? ის, ზოგადად, ყველაზე ძლიერ ფერად ითვლება – ენერგიის, სიცოცხლის, მაგრამ ამასთანავე აგრესის ფერია. ის ასოცირდება სისხლთან, ცეცხლთან, არის მტრობის, შურისა და ომის მაჩვენებელი. საინტერესოა, რომ აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის ზოგიერთი ტომი ბრძოლის წინ ტანსა და სახეს წითელი ფერით იღებავდა.

გასაგები ხდება, თუ რატომ აირჩია მხატვარმა ბოროტი ძალის საჩვენებლად წითელი ფერი. დატვირთვის მატარებელია შავი ფერის სამისი. შავი ფერი ითვლება მისტიკურობისა და შეუცნობლობის სიმბოლოდ.

ნამუშევრის მარცხენა შხარე – დადებითი სამყარო – ნათელ ფერებშია წარმოდგენილი. თეთრი ზოგადად აბსოლუტური სინათლის ფერია. ამიტომაც უმანკოების, ჭეშმარიტების, უბიწოების და ღვთიურობის სიმბოლოა. სახარებაში თეთრი ფერი სისპეტაკის ფერადაა წარმოდგენილი, სადაც სიმბოლურად ღვთაებრივი ნათებაა გამოსახული.

ამგვარად, ორმაგი კოდი აშკარად ავლენს თავს ირაკლი ფარჯიანის შემოქმედებაში, რაც სამომავლო კვლევებში კიდევ უფრო ნათლად იქნება წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არსენიშვილი ი., ირაკლი ფარჯიანი. ქარჩხაძის გამომცემლობა. თბილისი, 2012;
 - ბერეკაშვილი თ., პოსტმოდერნიზმი დღვენდელობის კონტექსტში. მხათობი, №56, თბილისი, 2000;
 - უსოვსკაია ე., პოსტმოდერნიზმი XX საუკუნის კულტურაში. მესავალი. თეატრი და ცხოვრება. №1, თბილისი, 2011;
 - ქარუმიძე შ., პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი. არილი, №4, თბილისი, 2010.
1. Барт Р., Избранные работы: Семиотика. Поэтика 1989, № 40

ეკატერინე ჯოსაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. ნატო გენგიური

რელიგიური თეატრისა და მუსიკის ექსპრესიულ დარღვევათა განვითარები

ქართული ხელოვნების ისტორიაში საბჭოთა პერიოდი ის ეტაპია, როცა იდეოლოგია ახდენს უდიდეს გავლენას ხელოვნებაზე. იქმნება იდეოლოგიზირებული, ხელისუფლებიდან „ნაკარნახევი“ სახეები. მეორე მხრივ, საკუთრივ შემოქმედებაც არ ჩამკვდარა, ამ ეპოქაში შეიქმნა საინტერესო ხელოვნება, რომელიც ძიებებით აღინიშნება. ეს საგრძნობია ე. წ. დათბობის პერიოდში, სტალინის სიკვდილის შემდგომ ხანაში, როცა ხელოვნებაში შედარებითი თავისუფლება შეიგრძნობა. 1960-იანი წლების ძიებები ძირითადად ეხება მხატვრულ ფორმას, იმავდროულად ხდება ქართულ ეროვნულ სახელოვნებო ტრადიციებში ჩაღრმავება. ამ პროცესის ნაწილია ქართული ჭედური ხელოვნების აღზევება, რომელსაც შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში წამყვანი როლი ეჭირა.

პიროვნების კულტის, ქვის ბელადების ეპოქაში უძველესი ხელოვნების აღდგენა აღიქმებოდა არა მარტო შემოქმედებით ძიებად, არამედ იმდროინდელ „იდეოლოგიურ კულტურაზე“ უარის თქმად. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქართული ხელოვნების ყველა ჟანრში და მათ შორის მხატვრობაში, გამწვავდა ეროვნული მხატვრული მემკვიდრეობისადმი ინტერესი. გარდა ამისა, იმატა ევროპული მოდერნისტული ხელოვნებისკენ სწრაფუამ. მიუხედავდ იმისა, რომ საქართველოსა და ევროპულ მხატვრულ სამყაროს შორის რეინის ფარდა იყო დაშვებული, ქართული ხელოვნება არ იყო მოწყვეტილი მსოფლიო ხელოვნების ზოგადი განვითარების პროცესს და შეიძლება თავისებურად, განსხვავებულად,

მაგრამ მუდამ ფეხდაფეხს მიჰყვებოდა მას.¹ ქართველი ერის მხატვრულ მემკვიდრეობასთან ერთად, ევროპული მოდერნიზმის ელემენტები იყო ნიადაგი, რომელზეც განვითარდა ამ პერიოდში მოღვაწე ლითონმქანდაკებელთა შემოქმედება. გამოკვლევა ეძღვნება ამ პერიოდში მოღვაწე ლითონმქანდაკებელთა – ირაკლი ოჩიაურის, გურამ გაბაშვილის და კობა გურულის შემოქმედებაში რეილიგიური თემის განხილვას.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული თანამედროვე ჭედური ოსტატების მიერ რელიგიურ-ეკლესიურ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების შესწავლა ჯერ არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 1960-იან წლებში გაჩნდა მსგავსი ხასიათის ნიმუშები. ოსტატები ქმნილნენ ნაწარმოებებს რელიგიურ თემაზე და, შუა საუკუნეების ლითონმქანდაკებლების მსგავსად, უპირატესობას ანიჭებდნენ ქრისტიანულ წმიდანთა გამოსახულებებს: ღვთისმშობლს, მაცხოვარს, წმიდა გიორგის და სხვათა წმიდანებს. ეს ნამუშევრები, ბუნებრივია, გამოფენებზე არ იფინებოდა და შემოქმედთა სახელოსნოებში რჩებოდა.

ღვთისმშობლის სახე ქართულ შუა საუკუნეების ხელოვნებაში დიდად გავრცელებული იყო. როგორც ჩანს, საბჭოთა პერიოდში, „დათბობის“ დროს მოღვაწე ქართველი ლითონმქანდაკებლების ყურადღებაც ძველი ხელოვნების გავლენით, ღვთისმშობლის თემაზ მიიპყრო. თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების „მამად“ წოდებული ირაკლი ოჩიაურის ნამუშევრებში რელიგიურ თემაზე ბევრი კომპოზიცია აღმოვაჩინეთ. განსაკუთრებით ღვთისმშობლის თემაზე, მაგალითად, ერთ-ერთი წარმოდგნილია ოვალური ფორმის ფირფიტაზე (სურ. 1). ის ოსტატმა 1967 წელს შეასრულა. კომპოზიციაზე მოცემულია ქალის და ბავშვის სახეები და ხელის მტევანი. მართალია, ფიგურებს შარავანდედი არ მოსავს, მაგრამ ქალის თავსებურავი, გადაწყვეტილია ღვთისმშობილის

¹ მეტრეველი ნ., თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების რამდენიმე ასექტის შესახებ, თსუ უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., 2002, გვ., 125-133.

იმ საბურველების მსგავსად, რომელიც შეა საუკუნეების ხატებსა და მოხატულობებზე შეიძლება ვიხილოთ. აქედან ჩნდება ასოციაცია ძველი კომპოზიციისა „ღვთისმშობელი ყრიმი“. მხატვრული თვალსაზრისით კომპოზიცია შეკრული და კომპაქტურია, ის არ ის მოჩარჩოებული, რითაც მხატვარმა კიდევ უფრო სადა გახადა ნახატი. ფიგურები ძალიან ახლო კადრში გამოსახა და მით მაყურებელს დაუახლოვა. გამომხატველობის გაძლიერებას და გამდიდრებას ემსახურება მისი ექსპრესიული ხაზები და დამატებითი დეტალები.

მომდევნო წლებშიც, ქერძოდ 1970 წელს, ირაკლი ოჩიაური კვლავ იმეორებს ღვთისმშობლის თემას. მაგალითად, ერთ-ერთი ნაწარმოები – ღვთისმშობელი მარიამი ყრიმით ხელში (სურ. 2). აქ იგრძნობა გარკვეული ევროპული მონაბერი სიუჟეტის გადმოცემაში. მაგალითად, თვალშისაცემია სასურათე სიბრტყის ზედა მარჯვენა მხარეს გამოსახული რამდენიმე ბროწეულის ნაყოფი, რომელიც ერთი შეხედვით მოგვაგონებს კრანახის მაღინას, იქ განსხვავებით ვაშლის ნაყოფია გამოსახული.

ირაკლი ოჩიაურს შესრულებული აქვს წმ. გიორგის რამდენიმე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ნაწარმოები, რაც ცხადყოფს ოსტატის ჭედური რელიეფისადმი მრავალფეროვან მიღობაზე. ზოგან უპირატესობას ანიჭებს ფორმების პლასტიკურ, მოცულობით გადმოცემას. თუმცა მიუხედავად მაღალი რელიეფისა, ფიგურები სიბრტყობრივადაა მოცემული, რაღაცით გვაგინებს ქართულ ჭედურობას გარდამავალ ეპოქაში. ოსტატი ზოგან ლითონის ფირფიტისადმი დეკორატიულ, ორნამენტულ დამუშავებას ირჩევს. ის, როგორც ფერმწერი, წინ სწევს ხაზოვნ რიტბს, წნებთა ხშირ მონასმებს, რომელიც ექსპრესიულია. ეს კი აშკარად შეა საუკუნეების მხატვობის გავლენაა, ყველა შემთხვევაში წამოწეულია ეროვნული, ქართული საწყისი. ქართველი ფსიქოლოგის – დიმიტრი უზნაძის აზრით, ეროვნული ფორმა თავისთავად ჩნდება შემოქმედებით პროცესში, ოსტატისაგან დამოუკიდებლად და შეპირობებულია იმ კულტურული წრითა და ტრადიციით, რომლის წიაღში იგი ჩამოყალიბდა

და განვითარდა, სადაც ეროვნულ ფორმათა შეგრძნების იმპულსები სხვადასხვა ხარისხით და ოდენობით განაპირობებუნ ნაწარმოების მხატვრულ სახეს როგორც გარეგანს, ასევე შინაგანს.¹

ირაკლი ოჩიაურის წმ. გიორგის ხატებიდან გამოვყოფთ ერთ-ერთს, შესრულებულს 1975 წელს. მასზე გამოსახულია წმ. გიორგი ცხენზე ამხედრებული, რომელიც შებით განგმირავს ურჩხულს (სურ. 3). შეა საუკუნეების იკონოგრაფიაში ცნობილია წმ. გიორგის ოქმაზე შესრულებული კომპოზიციების სხვადასხვა ვარიანტი: მისი ცხოვრებისა და წამების ამსახველი სცენები, ციკლების სახით, რომლებიც ძირითადად გამოისახება ტაძრის კედლებზე, საკურთხევლისწინა და საწინამძღვრო ჯვრებზე. ხოლო ფერწერულ და ჭედურ ხატებზე მისი ცალკე გამოსახულების ორი ვარიანტია გავრცელებული: ფეხზე მდგომი და ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც განგმირავს ურჩხულს ან იმპერატორ დიოკლიტიანეს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ჩუბინაშვილის აზრით, წმიდა გიორგის მიერ ბიზანტიის იმპერატორ დიოკლიტიანეს შუბით განგმირვის მოტივი მიჩნეულია ქართული იკონოგრაფიის მახასიათებელ ნიშნად და იგი XI-XII საუკუნეებში იწყებს გავრცელებას.² თუმცა, საბჭოთა პერიოდის ოსტატები უპირატესობას ანიჭებენ ბიზანტიურ ვარიანტს და ისინი ცხენზე ამხედრებულ წმ. გიორგის ურჩხულთან ერთად გამოსახავენ. შესაძლოა მათვის სრულიად უცნობი იყო ის იკონოგრაფიული ვერსია, რომელსაც ქართულს უწოდებენ.

1980 წელს ოსტატმა შეასრულა საქართველოს უწმიდესი და უნეტარების კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს დაკვეთა – ჯვარი ორმხრივი მოჭედილობით (სურ. 4), რომელიც შემდგომ იერუსალიმში წააბრძანეს. ხატი შესრულებულია ტრადიციული მეთოდით ვერცხლზე, ის ძალიან რბილი და პლასტიკურია, რაც

¹ უზნაძე დ., წარმოსახვის ფიქოლოგია, შრომები, III-IV, თბ., 1964, გვ., 598.

² Чубинашвили Г., Грузинское чеканное искусство, «Сабчота сакартвело», Тб., 1959, ст., 370.

ზელს უწყობს ნაწარმოების ცხოველზატულ დეკორატიულობას. ამ ნაწარმოებში შეიმჩნევა მსატვრის თავისებურება, როგორც კომპოზიციაში, ისე იკონოგრაფიულ გადაწყვეტაში. ერთიან კომპოზიციად შეკრული რამდენიმე სცენა ისევა წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი ხდება მათი მთლიანობაში მიმოხილვაც და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცალ-ცალკე წაკითხვაც. შესაძლოა, იკონოგრაფიული სქემა გაუმართავია, მაგრამ – ახლებური და არა გამორჩებული. აქ ყოველი დეტალი, როგორც ყოველთვის, საგულდაგულობაა წარმოდგენილი. თვალშისაცემია ხაზის მშვიდი დინება, რიტმული აგების მკაფიოება და იმავდროულად სიდინჯე და ზომიერება; თავის არიდება გადაჭარბებული ექსპრესიულობისაგან, იქნება ეს ფიგურათა მოძრაობა, უესტიკულაცია, სამოსის ნაკეცების ნახატის დინება თუ გამონათებათა კონტრასტულობის ხარისხი და ასევე, რელიეფურობა, რომელიც ყოველთვის სხვადასხვაგვარია ირაკლი ოჩიაურის შემოქმედებაში.

იმავე პერიოდში ლითონმქანდაკებლობაში მუშაობს გურამ გაბაშვილი, რომელიც ასევე ქმნის ნაწარმოებებს რელიგიურ თემაზე. მან 1974 წელს მოჭედა პეტრე იბერის გამოსახულება (სურ. 5). კომპოზიციის მთელი აღნაგობა გამსჭვალულია მონუმენტურობით, აქ კომპოზიცია მკაფიო, გრაფიკული მანერითა შესრულებული. ყოველი დეტალი კი დეკორატიულადაა დამუშავებული. პეტრე იბერი სტატიკურ პოზაში, სამ-მეოთხედში მაყურებლისკენაა მობრუნებული, ხელთ ბიბლია უპყრია. აქ არის სწორი პროპორციები, სრულიად ბუნებრივი პოზა და უესტი, ფორმათა ელასტიკურობა, სხეულზე ზუსტად მორგებული სამოსის სტრუქტურა, სახის მშვიდი გამომეტყველება.

გურამ გაბაშვილის ინტერესი შუა საუკუნეების ჭდეური ძეგლებისადმი ძლიერ ვლინდება დეთისმობლის ხატში, შესრულებული 1975 წელს (სურ. 6). აქ ოსტატი პირადპირ მიმართავს ძველი ჭდეური ხატების იკონოგრაფიას: ცენტრალური გამოსახულება – საყდარზე დაბრძანებული ღვთისმობელი ყრმით ანალოგია XI საუკუნის ჩუკულის

„ღვთისმშობლის“ ხატისა.¹ კომპოზიციაც და დეტალებიც – საყდრის ფორმა, წერტილოვანი ფონი, ფიგურების პროპორციები, ტანისამოსის ქსოვილის ნაოჭების ხაზოვანი რიტმული განლაგება, ასევე ხაზობრივად გადმოცემული სახის ნაკვთები, წარწერა მოცემული ღვთისმშობლის თავის ორსავე მხარეს – „დედაი ღმრთისაი“, ავლენს შემსრულებლის მიერ შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის მხატვრული პრინციპებისა და ლითონის დამუშავების ტექნოლოგიურ ცოდნას და მათ მიბაძვას. თუმცა, განსხვავებაც არის: უპირველესად, XX საუკუნის ოსტატება არ გაიმეორა ძველ ხატზე ცენტრალური გამოსახულების ზედა მარჯვენა კუთხეში მოცემული ბერძნული წარწერა, რომელიც ორი ასოსაგან - MP შედგება. ასევე, კომპოზიციის ქვედა მხარეს, ღვთისმშობლის გვერდითა მხარებზე ნაწილი ასომთავრულ, ნაწილი კი ნუსხურ დამწერლობაში შესრულებული წარწერები. ასევე, გაბაშვილის მიერ შესრულებულ ხატზე განსხვავებულია მოჩარჩოებაც: თანამედროვე მხატვარმა ხატი ვიწრო ჩარჩოთი დასრულა და მასზე მარტივი ფორმის ორნამენტი დასვა, ხოლო შუა საუკუნეების ამ ხატის ორიგინალი როგორ თანამენტულ ჩარჩოშია ჩასმული, რომელიც მოიცავს ლითონშივე შესრულებულ მედალიონებს წმინდანთა ნახევარფიგურებით. თანამედროვე ოსტატის – გურამ გაბაშვილის მიერ მოჭედილ ფიგურების პლასტიკურად გააზრებული დამუშავებული სწორი პროპორციები, ტანისამოსის ქსოვილის ნაოჭების ხაზოვანი რიტმული განლაგება, კარგად მოდელირებული სახის ნაკვთები მეყველებს შემსრულებლის განვითარებული სკულპტურულობის გრძნობაზე.

გურამ გაბაშვილის მიერ 1976 წელს მოჭედილი წმიდა გიორგის ხატი (სურ. 7) შუა საუკუნეების, კერძოდ, XII საუკუნის შუა ხანების ქართული ოქრომჭედლობის მხატვრული პრინციპებისა და ლითონის დამუშავების ტექნოლოგიურ ცოდნაზე მეტყველებს. თუმცა მხატვარი არ იყენებს

¹ ალიბეგაშვილი გ., საყვარელიძე თ., ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, „ხელოვნება“. თბ., 1980, გვ., 9-10.

ჩახუჭუჭებულ ორნამენტს და ფერადოვან აქცენტებს. ხატი ხის დაფაზეა დაკრული და მასზე მხოლოდ ერთი-ორი პატარა ზომის ძვირფასი ქვა არის დასმული, რაც მთლიანობაში მის სისადავეზე მეტყველდებს.

„თამარ მეფის“ კომპოზიციას, რომელიც გურამ გაბაშვილმა შექასრულა 1977 წელს (სურ. 8), ხატის იერი აქვს. ლითონის სუფთა, ფაქიზი ზედაპირი, მასზე ფრთხილი ელასტიკური წრების მონასმი, ცხოველხატული დეკორატიულობა, ძვირფასი ლითონებისა და მათზე მოჟანგვის ლირიკული ეფექტი, მოძრავი ხაზი, გრაფიკული ელემენტების შემოტანა სათქმელის ლაკონურობას რომ უწყობს ხელს – ეს ყველაფერი ძველი ქართული ფრესკისთვის და ხატწერისთვისაა ბუნებრივი. მხატვარი კარგად იყენებს სპილენძის სირბილესა და დამყოლ თვისებებს. დედოფალი შარავანდით მლოცველის პოზაშია გამოსახული. მეფის მარცხენა მხარეს გამოსახულია ე.წ. თამარ მეფის ხელრთვა, ხოლო მთლიან ფონზე მიმოფანტულია ქართული ასომთავრული ასოები. ნახატი ძლიერ წააგავს ბეთანიის მონასტრის ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახულ ფრესკას, სადაც თამარ მეფე გიორგი III-სა და ლაშა-გიორგის შორის დგას.

ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა იმავე პერიოდში ქართულ ჭედურ ხელოვნებაში მოღვაწე ლითონმქანდაკებელი კობა გურული, რომლის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს ეროვნული მოტივებისა და ფორმების ხაზგასმული განზოგადების ცდები. მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრადალებულ ტრაგედიას მიუძღვნა ნაწარმოები „ლვოისშმობელი ყრმით“ (სურ. 9), რომელიც დინამიკურობითა და დრამატიზმით გამოირჩევა. ფონზე, ფიგურებზე გამოსახულია ცრემლები, რაც მხატვრის უდიდესი ტკივილის გამოვლინებაა. ოსტატი თავის სათქმელს გამოხატავს თვეებისა და ლითონის სიბრტყის ურთიერთქმედებით, სადაც ერთმანეთის მიმდევარი დარტყმების რიტმი, ჭდების ფორმა, გამობურცული ან ჩაჭერილი წერტილების განფენილობა მაყურებელს გარკვეულ განწყობას უქმნის.

განზოგადებულია 1990 წელს კობა გურულის მიერ შესრულებული მეორე ღვთისმშობლის კომპოზიციაც (სურ. 10). მხატვრული თვალსაზრისით იგი ადრეული პერიოდის IX-X საუკუნეების ქართული ხელოვნების იმ ნატუშევრებს ენათესავება, რომლებშიც სხეულები გადმოიცემოდა ერთიანი, თითქმის დაუნაწევრებელი ბლოკის სახით – მხოლოდ ძირითადი მოცულობითი ფორმებით. მეორე მხრივ, ეტყობა ფორმის უტრიორებისა და აბსტრაგირების ტენდენცია. აქ სახეზეა მკერივი და ძლიერი, მაგრამ გახევებული, ელასტიკურობას მოკლებული ფორმები, რაც დამახასიათებელია ე. წ. სკულპტურული არქაიკის სტილისთვის.¹ მხატვრის მიერ შეგნებულადაა აქცენტირებული ზოგიერთი დეტალი, რომლებიც ხაზს უსვამს მნიშვნელოვან აზრობრივ მომენტებს. ეს კი ნაწარმოებს ემოციური შინაარსით ავსებს. მხატვარმა აქ იპოვა თემის უაღრესად ლაპონური გადაწყვეტა, მარიამისა და ჩვილის ღაწვები ნაზად ეხება ერთმანეთს, რითაც წააგავს იმ ტიპის ღვთისმშობლის ხატებს, რომელთაც ეწოდება „მოალერსე“ (ანუ „ელეუსა“) და მისი შექმნა დაკავშირებულია ლუკა მახარებლის სახელთან.² ღვთისმშობლის ეს გამოსახულება ახლოს დგას ზემო სვანეთში – ლატალის ეკლესიის ხის კარზე ნაკვეთ ღვთისმშობლის ხატებასთან, რომლებიც X-XI საუკუნეებითაა დათარიღებული. ნამუშევარში ყურადღებას იქცევს „ავანგარდული“ იერის სახეები, სადაც ნაკვები მინიშნებითაა გადმოცემული. აქ, ოსტატი კარგად იყენებს როგორც ქრისტიანულ, ისე წარმართულ სიმბოლოებს, მაგალითად ოვგზის გამოსახულება მარიამის სამოსზე, III საუკუნეში იყო გავრცელებული და სიუხვის სიმბოლოდ ითვლებოდა. მოგვიანებით რომაელებში ეზოთერიზმის (ფარული, საიდუმლო) სიმბოლო გახდა. ქრისტიანობაში იგი სარწმუნოების სიმბოლოს მოკლე ფორმულად იქცა,

¹ ალიბეგაშვილი გ., საყვარელიძე თ., ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, „ხელოვნება“. თბ., 1980, გვ., 9.

² Кондакова Н. П., Иконография Богоматери, Том I, Петербург, Типография императорской академии наук, 1914, ст., 1-335.

ბერძნული ანბანის მიხედვით ნიშნავს „იესო ქრისტე, მე
ღვთისა, მაცხოვარი“.

ოსტატი ხშირად იყენებს მსგავს სიმბოლოებს სხვა
ნაწარმოებებშიც, მაგალითად მზე-ბორჯდალი, ვარსკვლავები,
ციური სხეულები, ვაზის მტევნი და მრავალი სხვა ნიშან-
სიმბოლო, რითაც ვლინდება მისი ღრმა ცოდნა უძველესი
ქართული ხელოვნებისა. მაგალითად, მთვარე აქვს გამოსახული
ერთ-ერთი წმ. გიორგის ხატზე. ქართველი ეთნოგრაფი –
ვერა ბარდაველიძე ქართველთა წარმართობის კვლევისას,
თეორ წმ. გიორგის მთვარის კულტს უკავშირებს, რომლის
თაყვანისცემა დღემდე შემორჩენილი მთან კუთხებში.
ასევე სიმბოლიზმით გამოიჩინა 1991-95 წლებში კობა
გურულის მიერ მოჭედილი კარები ქაშუეთის ტაძრისთვის
(სურ. 11). თუმცა ეს ნამუშევარი, მხატვრული გადაწყვეტის
თვალსაზრისით, უფრო მეტ კავშირშია არა XX საუკუნის
მიმდინარეობებთან, არამედ შეა საუკუნეების ხელოვნებასთან.
კარების ზემო ნაწილზე, ნახვარწირიულ ლუნეტში გამოსახული
მაცხოვრის წელსზევითი, ფრინტალური „პანტოკრატორის“
ფიგურის გარშემო, ანგელოზებთან ერთად, გამოსახულია
ციური სხეულები. საერთოდ ციურ მნათობთა კულტი-რწმენა
ოდითგანვე ძლიერი იყო საქართველოში, რაზეც მეტყველებს
სხვადასხვა კუთხის ტაძრის ფრესკებზე, რელიეფებზე,
ჭედურობაში შემორჩენილი წარმართული ელემენტი. ქართულ
რელიგიურ სინკრეტიზმში წარმართული კულტების სიჭარბეს
ზემოთ ნახსენები ქართველი ეთნოგრაფი იმით ხნის, რომ
ქრისტიანობის გავრცელებამდე საქართველომ კულტურული
განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პერიოდი
განვლო, შემდგომ ვერ მოერია ბევრ წარმართულ კულტს
და ამიტომ ტრანსფორმირებული სახით ისინი თავისად
გაიხადა.¹

1970 წელს კობა გურულმა საქართველოს კათოლიკოს-

¹ ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ქართული, მეცნიერება, რელიგია, ღვთაება, ბარბარ-პაბარ, კავკასიური სახლი, თბ., 1941.

პატრიარქის დავალებით შექმნა იქსოს ხატი (სურ. 12), რომელიც დღეს დაბრძანებულია პარიზის „წმინდა ნინოს“ სახელობის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ეს ხატი ხელთუექნელის ტიპისაა, ე. წ. გერონიკას ხატი. მართლმადიდებლურ ხატწერაში უპირველესია მაცხოვრის ხატი, რომელსაც სათავე მისი მიწიერი ცხოვრების დროს დაედო. წერილობითი წყაროები მოგვითხრობს ახალი წელთაღრიცხვის პირველსავე საუკუნეებში მაცხოვრის სხვადასხვა სახის გამოსახულებათა არსებობაზე. ასევე მოიხსენიებს ფერწერით ფიცარზე გამოსახულ ქრისტეს სახეებსაც. მის კანონიკურ, ე. წ. ისტორიულ ტიპს, რომელიც საბოლოოდ ხატმებრძოლების შემდეგ ხანაში იმკვიდრებს ადგილს საეკლესიო ხელოვნებაში, მხოლოდ VI საუკუნიდან ვიცნობთ.¹

კობა გურულის მიერ თითბერში მოჭედილი იქსოს ხატი დასტელია გამომწვარ ხის ფირფიტებზე, რომელიც ძლიერ წააგავს ხელის მტევანს, ხოლო მის ქვეშ კი ჯვარია. როგორც ავტორი ამბობს: ცეცხლში გამომწვარი ფირფიტები საქართველოს სიმბოლოს გამოხატავს, ხოლო ერთიანობაში ფირფიტები ადამიანის ხელის მტევანს ასახავს და მთლიანობაში იკითხება, როგორც ხელის გულზე დასმული მაცხოვრის სახე ჯვრის ფონზე. მნიშვნელოვანია ის ფატი, რომ ლითონის ხესთან შერწყმა-სინთეზი პირველად კობა გურულმა მოიფიქრა. ამ მხატვრულმა ხერხმა შეძღვომ ფართოდ მოიკიდა ფეხი თანამედროვე ქართულ ჭედურ ხელოვნებაში.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს კობა გურულის მიერ 1996 წელს მოჭედილი ბიბლიის ყდა (სურ. 13), რომელზეც გამოსახულია სამება: მამა ომერთი, ძე ომერთი და სული წმიდა მტრუდის სახით. ბიბლიაზე გამოსახული „ახალი აღთქმის სამება“ დასავლურ-ევროპული წარმომავლობისაა. მისი იკონოგრაფია ფსალმუნის ტექსტს ეყრდნობა – „პრქუა უფალმან უფალსა

¹ 6. ჭიჭინაძე, კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები და XI-XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები, გ. ჩუბანაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სანფორმაციო ცენტრი, საქართველოს სიმველენი, 4-5, თბ., 2003, გვ. 131.

ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენი ქუეშე ფერხთა შენთა...“ ხოლო აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესის დოგმატურ გამოსახულებად ჩამოყალიბებული ძველი აღთქმის ერთადერთი სიუჟეტი – სამების კომპოზიცია, იგივე „აბრაამის სტუმართმოყვარეობა“ იკონოგრაფიული ვარიაციების მიუხედავად, საუკუნეთა განმავლობაში სამი ანგელოზით გამოისხებოდა.¹

კობა გურულის მიერ მოჭედილი სამების ეს ვერსია ევროპაში XIII საუკუნიდან არის ცნობილი. ხოლო XV საუკუნიდან ის ბალკანეთში შევიდა, XVI საუკუნის დასაწყისითვის კი უკვე რუსეთში ვრცელდება. საეკლესიო ტრადიციით „მამობა“ ეწოდება, თუმცა, უშუალოდ ამ სახელწოდებით სახელდებული ხატი ცნობილია არ არის და აღნიშნულ იკონოგრაფიას ყველგან განმარტავს სახელწოდება „წმ. სამება“.² ტრადიციულად, ეს კომპოზიცია ასე გამოისახება: ტახტზე დაბრძანებულია მამა ღმერთი თეთრ თმაწვერში, მის წიაღში ძე ღმერთი – ქრისტე ევმანუელი, ხოლო სულიწმიდა მტრედის სახითაა მოცემული. ერთი საუკუნის დაგვიანებით მართლმადიდებლურ ქვეყნებში ვრცელდება სამების მეორე ვარიანტიც – „ახალი აღთქმის სამება“, რომელშიც თანამოსაყდრე მამა ღმერთისა და მის მარჯვნივ ძე ღმერთს – მაცხოვარს შორის გამოსახული სულიწმიდა კვლავ მტრედის სახითაა წარმოდგენილი. ამ თემას საქართველოში XVII საუკუნეზე აღრე არ შემოუღწევია, რადგან იგი არ ასახულა წინა საუკუნის ქართული კულტურის კერძის საეკლესიო მხატვრობაში: კედლის მხატვრობაში, ხატწერასა და ჭედურობაში.

თუმცა, მოგვიანებით საქართველოში „მამობის“ ეს იკონოგრაფიული კომპოზიცია გეხვდება ერკეთის წმ. გიორგის ეკლესის კამარის მოხატულობაში, სადაც მამა

¹ Салтыков А. А., Иконография Троицы ветхозаветной, Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977, ст., 1-10.

² Успенский Л. А., богословие иконы православной церкви, м., 1997. 455-456.

ღმერთი განპყრობილი კურთხევითა და მის წიაღში ჩვილი ევმანუელით ცისფერ ნათებაშია გახვეული, რომლის გარშემო ოთხი სერაბიმია (ასეთივე მსგავსი მაგალითებია: შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიის კამარის მოხატულობაში; სვეტიცხოვლის დასავლეთ შელავში ბურჯების შორის თაღის კედელზე; გაბაშვილის დაკვეთით 1713 წ. შესრულებულ „ვედრების“ ჭედურ ხატზე, რომელიც კათალიკოს კალისტრატეს მიერ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის სიწმინდეთა აღწერილობაშია დამოწმებული, ხოლო დღეს საქართველოს საპატრიარქოშია დაცული; მსგავსი იკონოგრაფიული ვერსია წარმოდგენილია ქაშვეთის ეკლესიის „სამების“ ჭედურ ხატზეც და სხვა).

კობა გურულის მიერ მოჭედილი ბიბლიის ყდაზე „მამობის“ არა ძველი იკონოგრაფიული ვარიანტი, არამედ გადამუშავებული, ახალი კომპოზიციაა მოცემული. ყდის უკანა მხარეს ჯვარცმული მაცხოვრის წელზევითი ფიგურაა, რომელიც უკვე გარდაცვლილ მდგომარეობაშია გამოსახული. მისი სხეული ისმიმისაგან მოღუნებული, თავი უმწეოდ გვერდზე აქვს დახრილი. კობა გურულის მიერ მოჭედილი ბიბლიის ყდაზე გამოსახული „სამების“ და „უვარცმის“ აპოთეოზი დასავლეთევროპულ ხელოვნებასთან მიმსგავსებული ნიმუშია. რაც შეეხება მთლიანი ყდის მხატვრულ გამოშვანებულობას, უბრალოება და სისადავე, ხაზობრივი შერულება, – ქართული ხელოვნების ნიმუშთა რიგშია. თავისებურებაა ისიც, რომ წმინდანების გამოსახულებები ოსტატს ახლო კადრში აქვს მოცემული, რაც ძველ, მართლმადიდებლურ კანონიკურ ხატწერაში არ გვხდება. მაცხოვრის და მამა ღმერთის სახეები ყოველგვარ დრამატულ ემოციებსაა მოკლებული, მშენდ-გაწონასწორებულ ფორმებშია გამოსახული: მაცხოვრის პოზა, ოდნავ დახრილი თავი, დენადი რბილი კონტური, მშენდი ნაკვები – თავშეკავებულ ემოციურიბას ანიჭებს გამოსახულებას, რაც სწორედ ძველი ქართული ხატებისთვისაა დამახასიათებელი.

ასევე საინტერესოა, კობა გურულის მიერ უფრო ადრე, კერძოდ 1963 წელს შესრულებული „ვეფხისტყაოსანის“

ყდა (სურ. 14). იგი მართალია რელიგიური თემატიკის არ არის, მაგრამ ამჟღავნების ძველი ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშების მხატვრული მიდგომის გავლენას, ტრადიციული ეროვნული ოსტატობის შენარჩუნების სურვილს. ყდის ზედაპირზე მოცემულია შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკიდანაა გადმოღებული. მგოსანი გამოსახულია ქართველი დიდებულისათვის დამახასიათებელ ტანისამოსში, იგი მუხლმოღრუკილი და ხელებაპყრობილია ცნობილი ეკლესიის დიდი მამების – მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის წინაშე. ყდის მეორე მხარეს კი თამარ მეფის პორტრეტია გამოსახული, რომელიც ვარძის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის ფრესკიდანაა გადმოტანილი. აქვე, ფონზე მკრთალად მოჩანს ლომის სილუეტი, რითაც ოქრომჭედელი გაგახსენებს შოთასულ აფორიზმებს – „ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადა“.

ამრიგად, XX საუკუნის 50-70 წლებში ქართულ სახვით ხელოვნებაში პროფესიით მოქანდაკეებმა – ირაკლი ოჩიაურმა, გურამ გაბაშვილმა, კობა გურულმა საბჭოური იდეოლოგიური ცენტურის არსებობის, რთული პოლიტიკურ-ისტორიული პირობების მიუხედავად, ქართული ხელოვნების დავიწყებული დარგი – ჭედური ხელოვნება ერთმანეთისაგან განსხვავებული სრულიად ახალი თვისებებით, ხარისხით, ახალი ამოცანებითა და მხატვრული ხერხებით აღადგინეს. ყველა მათგანს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, მაგალითად – ირაკლი ოჩიაურის შემოქმედებაში თვალნათლივ ჩანს მუდმივი მუშაობა ლითონზე, მხატვრულ ფორმათა პლასტიკაზე, ტრადიციული და ახალი ჭედური ხელოვნების სტეციფიკური ხასიათის მრავალფეროვნება; გურამ გაბაშვილს მეტი აქცენტი აქვს გადატანილი ხატის შექმნის იკონოგრაფიულ სტრუქტურაზე, სადაც იგი ხშირად მიმართავს ძველი ქართული ხელოვნების შუა საუკუნეების ნიმუშებს. ხოლო კობა გურულის შემოქმედება სავსეა როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული სიმბოლოებით. მისი მიდგომა თემისადმი

თავისუფალია, არ ახდენს ძველი ხელოვნების კოპირებას და თემის თანამედროვე მხატვრულ ფორმაში წარმოდგენას ცდილობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალიბეგაშვილი გ., საყვარელიძე თ., ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, „ხელოვნება“. თბ., 1980
- ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ქართული, მეცნიერება, რელიგია, ღვთაება, ბარბარაბარ, კავკასიური სახლი, თბ., 1941.
- Кондакова Н. П., Иконография Богоматери, Том I, Петербург, Типография императорской академии наук, 1914
- მეტრეველი ნ., თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების რამდენიმე ასპექტის შესახებ, თსუ უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., 2002
- Салтыков А. А., Иконография Троицы ветхозаветной, Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977
- უზნაძე დ., წარმოსახვის ფსიქოლოგია, შრომები, III-IV, თბ., 1964
- Успенский Л. А., богословение иконы православной церкви, м., 1997
- Чубинашвили Г., Грузинское чеканное искусство, «Сабчота сакартвело», Тб., 1959
- ნ. ჭიჭინაძე, კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები და XI-XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი, საქართველოს სიმველენი, 4-5, თბ., 2003



სურ. 1 ირაკლი ოჩიაური, ღვთისმშობელი ყრმით, 1967 წ.




სურ. 2 ირაკლი ოჩიაური, ღვთისმშობელი ყრმით, 1970 წ.



სურ. 3 ირაკლი ოჩიაური, წმიდა გიორგი, 1975წ.



სურ. 4 ირაკლი ოჩიაური, ჯვარი, 1980წ.



სურ. 5 გურამ გაბაშვილი,
პეტრე იბერი, 1974წ.



სურ. 6 გურამ გაბაშვილი,
ღვთისმშობელი ყრმით,
1975წ.



სურ. 7
გურამ გაბაშვილი,
წმიდა გიორგი, 1976წ.



სურ. 8 გურამ გაბაშვილი,
თამარ მეფე, 1977წ.



სურ. 9
ქობა გურული,
დვოთისმმობელი ყრმით,
1989წ.



სურ. 10 ქობა გურული,
დვოთისმმობელი ყრმით, 1990 წ.



სურ. 11 კობა გურული,
ქაშუეთის ეკლესიის კარგბი,
1991-95 წწ.



სურ. 12 კობა გურული,
იქსო, 1970წ.



სურ. 13 კობა გურული, ბიბლია, 1996წ.



სურ. 14 კობა გურული, „ვეფხისტყაოსანი“, 1963წ.

ქორეოლოგია

ანანი სამსონაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალი

ქორეოგრაფიული ცოლპლორის შესრულების ფეაროვანი

(ქართული მასალების მიხედვით)

ქორეოგრაფიული ხელოვნება, როგორც ღროსა და სივრცეში განთვინილი პროცესი, გარკვეული სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ერთ-ერთი მათგანი ქორეოგრაფიული ნიმუშის არამატერიალიზებული, ეფემერული ბუნებაა. ცეკვა არსებობს მხოლოდ შესრულების მომენტში და ქრება მისი დასრულებისთვის. ცეკვის გამეორების შემთხვევაში, ყოველ ჯერზე, იქმნება პირვანდელი ნიმუშის ინგარისნტი, რომელიც წინამორბედის არა ზუსტი ასლი, არამედ მსგავსი ნიმუშია. ეს მოვლენა განსაკუთრებით საგულისხმოა ავთენტურ ხალხურ ქორეოგრაფიასთან მიმართებაში, სადაც უფროსი თაობისაგან საცეკვაო ტრადიციების შეთვისება რიტუალურ ქმედებებში მომდევნო თაობის ჩართულობით და მათ მიერ ამ ქმედების ვიზუალური (ზეპირი) აღქმით ხდება. ამასთამავე, ყოველი შემსრულებლის მცდელობა – უკეთ წარმოაჩინოს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობები, უკვე არსებულ ცეკვას ახალ და ახალ ელფერს სძენს. იქმნება ერთის მრავალგვარი ვარიანტი და თითოეული მათვანიც ეფემერულია, ანუ ისიც არსებობს მხოლოდ შესრულების მომენტში.

ეთნო-ქორეოლოგია, როგორც სახელოვნებო მეცნიერება, მიზნად ისახავს ფოლკლორული ცეკვების შესწავლას. ასეთი კვლევებისთვის უდიდეს სირთულეს სწორედ ცეკვის ეფემერული ბუნება წარმოადგენს, ვინაიდან შეუძლებელს ხდის უშუალოდ საცეკვაო ნიმუშზე დაკვირვებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლევა ისტორიოგრაფიულ ჭრილში

წარიმართება.

ეს პრობლემა მოგვარუბადი იქნებოდა ცეკვის ჩაწერის ისეთი სისტემის არსებობის შემთხვევაში, რომელიც სრულყოფილად ასახავდა საცეკვაო ნიზუშს, მსგავსად სანოტო ჩანაწერისა, რომელიც მუსიკის რეკონსტრუირების უნივერსალური მეთოდია. ასეთი სისტემის არსებობა მოგვცემდა უძველესი ცეკვების აღდგენისა და მათი შემდგომი ანალიზის საშუალებას. სამწუხაროდ, საკითხი ცეკვის ჩაწერის თაობაზე არ არის ერთიან სისტემაში მოყვანილი, ვინაიდან ცეკვის მრავალსახეობა (ხალხური ავთენტური, ხალხური-სასცენო, ისტორიულ-ყოფითი, სამეჯლისო, კლასიკური და თანამედროვე) სხვადასხვა მოძრაობათა სისტემას ემყარება და ფიქსირების ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ფორმას იძლევა. მათ შორის ყველაზე სრულყოფილი, კლასიკური ცეკვის (ბალეტის) ჩაწერის სისტემაც კი ვერ პასუხობს მოთხოვნებს. ყოველივე ეს ზოგადად ცეკვის სივრცობრივი (სამ განზომილებიანი -3D) მახასიათებლებით არის განპირობებული.

ეს მეტად როგორი საკითხი სცილდება ჩვენი ნაშრომის თემატიკას და მოგვყავს მხოლოდ იმ თეზისის დასასაბუთებლად, რომ ეთნო-ქორეოლოგიური კვლევის ობიექტი – ხალხური ავთენტური ცეკვა არ არსებობს არც მატერიალიზებული ფორმით, არც სრულყოფილი ჩანაწერის სახით. მაგრამ, ხალხური ცეკვა, როგორც ეთნოკულტურის ფენომენი, საჭიროებს პროფესიულ შესწავლას, რომლის საუკეთესო საშუალებას ზოგადად ფოლკლორული და უშუალოდ ეთნო-ქორეოლოგიური ექსპედიციებია წარმოადგენს. საველე მუშაობის დროს მკლევარს საშუალება ეძლევა ცეკვაზე დაკვირვება უშუალოდ შესრულების დროს აწარმოოს და შემდეგ, შემსრულებელთა გამოკითხვით, ამ ცეკვის წარმომავლობის, ვარიანტულობის, კუთხურობის და მრავალი სხვა საკითხის შესახებ მოაგროვოს პირველადი ინფორმაცია.

საქართველოში საექსპედიციო მუშაობის მდიდარი გამოცდილება არსებობს. XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან ინტერესი ხალხური შემოქმედების მიმართ განაპირობებს

ეთნოლოგიური ექსპედიციების ჩატარებას, თავდაპირველად ზეპირისიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის მიმართულებით. ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს კვლევების ობიექტი საცეკვაო ფოლკლორიც ხდება. უფრო დეტალურად ამის თაობაზე ნაშრომის მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ცივილიზაცია უმოწყვალოდ ანადგურებს არა მხოლოდ პირვანდელ ფოლკლორს, არამედ ზოგადად ეთნიკური თვითმყოფადობის სხვა ნიშნებსაც, სულ უფრო და უფრო ნაკლებად შედეგანი ხდება ექსპედიციების მეშვეობით ავთენტური მასალის მოძიება.

არსებულ ვითარებაში ეთნო-ქორეოლოგიური კვლევების წარმართვა საცეკვაო ფოლკლორის მიმართულებით, დამატებითი წყაროების მეშვეობით ხდება შესაძლებელი. ეს არის მასალა, რომელიც სხვადასხვა ფორმით, პირდაპირ თუ ირიბად ქორეოგრაფიული ინფორმაციის მატარებელია. ამ ინფორმაციის დეტალური ანალიზის საფუძველზე ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის ცალკეული ეტაპების ვიზუალური სურათი იკვეთება. ხშირ შემთხვევაში ეს დამატებითი წყარო ერთადერთია და მხოლოდ მასზე დაკვირვების გზით შესაძლებელი ხდება კონკრეტული საცეკვაო ნიმუშის რაობის დადგენა.

შესაბამისად, საკითხი ქორეოგრაფიული ხელოვნების, უფრო ზუსტად კი, მისი პირველადი ფორმის, საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის წყაროების შესახებ ქორეოლოგიურ მეცნიერებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას ამბავრებს კვლევის ისტორიული კონტექსტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის პროცესი მომიჯნავე დარგების ისეთ ფაქტობრივ მასალას ეფუძვება, რომელშიც სხვადასხვა ფორმით აღბეჭდილია ქორეოგრაფიული სურათი. ასეთი მასალის დიფერენცირების გზით, მათი გამომსახველობის გათვალისწინებით, ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის

შემდეგი წყაროები გამოიკვეთა:

- **არქეოლოგიური მასალა;**
- **ლიტერატურული მასალა;**
- **აუდიო-ვიზუალური მასალა.**

შესწავლის ობიექტებად მოიაზრება მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც საცეკვაო ფრაგმენტის სტატიკურ-დინამიკური სურათის მატარებელია და ამ ფრაგმენტის ქრონოლოგიური, სტილისტური, სტრუქტურული და ფუნქციურ-შინაარსობრივი ანალიზის საშუალებას იძლევა.

სხვადასხვა ეთნიკურ ჯაშულებთან მიმართებაში ქორეოლოგიური კვლევა ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის წყაროებშია აღბეჭდილი ამა თუ იმ ხალხის საცეკვაო შემოქმედება. შესაბამისად, შესწავლის ობიექტების ჩამონათვალი სხვადასხვა ხალხთან მიმართებაში განსხვავებულად გამოიყერება. შესაძლოა არ მოიცავდეს წყაროების სამივე კომპონენტს (არქეოლოგიურს, ლიტერატურულსა და აუდიო-ვიზუალურს), არამედ მხოლოდ ერთი ან ორი კომპონენტის მეშვეობით ირეკლავდეს ამა თუ იმ ეთნოსის წინაასტორიულ ქორეოგრაფიულ შემოქმედებას.

ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში შესწავლის წყაროები (სამივე სახის) მეტად მდიდარი მასალით არის წარმოდგენილი და მათი განსაზღვრა, შევასება და ანალიზი წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს. განვიხილოთ თითოეული მათგანი ქართული საცეკვაო ტრადიციების კონტექსტში.

არქეოლოგიური მასალა, როგორც ქართული საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის წყარო

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიული წარსულის დასაბუთებას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რიგი არქეოლოგიური ძეგლების საშუალებით ვახდენთ. მათ შორის არის როგორც ცალკეული მროვავ-მლოცველი ფიგურების გამოსახულებები, ასევე, კოლექტიური

რიტუალური სურათები. აღნიშნული საკითხის განსახილველად აუცილებელია ისეთი პრიფესიული ტერმინების დამკვიდრება-გამოყენება, რომლებიც ერთიანად წარმოაჩენს საკითხის ორივე კომპონენტს – ქორეოგრაფიულსაც და არქეოლოგიურსაც. პირველ რიგში, ეს არის ტერმინი „არქეო-ქორეოგრაფია“ და განიმარტება როგორც „არქეოლოგიურ ძეგლებში აღბეჭდილი ქორეოგრაფიული სურათები“. მეორე ტერმინი, რომელიც საჭიროებს განმარტებას, არის „არქეო-ქორეოლოგია“ – „არქეოლოგიურ ძეგლებზე აღბეჭდილი ქორეოგრაფიული სურათების შესწავლელი მეცნიერება“. ამრიგად, ეს ორი ტერმინი, „არქეო-ქორეოგრაფია“ და „არქეო-ქორეოლოგია“, საკითხის შესწავლის ობიექტისა და შესწავლის პროცესის განმსაზღვრელი ტერმინებია. დღეისათვის ამ ტერმინების გამოყენების აქტუალობა განპირობებულია საკითხისადმი სამცნიერო ინტერესითა და განხორციელებული კვლევების ხარისხით. მხედველობაში გვაქვს აღკვა გელაშვილის სადოქტორო დისერტაცია „ქართული ცეკვა არქეოლოგიურ ძეგლთა იკონოგრაფიულ სისტემაში“¹. ავტორმა პრობლემის სრულფასოვანი ანალიზი მოახდინა, რის შედეგადაც ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიული წარსული არა ძვ. წ. II ათასწლეულიდან (თრიალეთის ვერცხლის თასი), არამედ ძვ.წ. VI-IV ათასწლეულებიდან იღებს სათავეს (იმირის და არუხლოს გორის მროკავ-მღლოცველი ფიგურები).

ზოგადად ამ საკითხისადმი ინტერესი შსოფლიო ეთნოლოგიაშიც არსებობს და სპეციფიკური ტერმინი „პალეოქორეოგრაფია“ პროფესიულ ლიტერატურაშიც და ინტერნეტ-სივრცეშიც გვხვდება.² მაგრამ, ამ ტერმინის სემანტიკა საკითხის განხილვას მხოლოდ ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში გვთავაზობს, ანუ მხოლოდ პალეოლითის ხანის

¹ ა. გელაშვილი, „ქართული ცეკვა არქეოლოგიურ ძეგლთა იკონოგრაფიულ სისტემაში“, ხელოვნებამცოდნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსამართებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2013 წ.

² Ромм В. «человекознание: история, теория, метод. Палеохореография», dlib.eastview.com

არქეოლოგიური მასალის შესწავლას გულისხმობს მაშინ, როდესაც ეს პერიოდი ყველაზე ნაკლებად გამოირჩევა ადამიანის სხეულის დინამიკურ მდგომარეობაში ფიქსირების მაგალითებით. ამგვარი გამოსახულებების ლომის წილი ძვ. წ. III–I ათასწლეულებზე მოდის და მიეკუთვნება ნეოლითის, ბრინჯაოს და რკინის ხანებს.

არქეოლოგიური მასალა, როგორც ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის ერთ-ერთი წყარო, უძველესი საცეკვაო ტრადიციების შესახებ პირველადი ინფორმაციის მატარებელია და ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც ლიტერატურულ და განსაკუთრებით აუდიო-ვიზუალურ მასალასთან შედარებით ბევრად ადრინდელია.

საქართველოს არქეო-ქორეოლოგის კვლევის ძირითადი ობიექტებია:

- იმირის და არქელოს გორის ანთროპომორფული ფიგურები (ძვ. წ. აღ. VI – IV ათასწლეულები);



- ოზნის თიხის ფიალის ხატოვანი ნიშნებით (ძვ. წ. აღ. IV – III ათასწლეულები);



- თრიალეთის ვერცხლის თასი (ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის

I ნახევარი);



- სათოვლე ნაბაღრების ბრინჯაოს სარტყელი, თიხისა და ბრინჯაოს ითიალური ქანდაკებები (ძვ. წ. აღ. IX – VII ს.ს.);




- რეზის ქვაზე გამოსახული მროკავი ურჩხულით (ძვ. წ. აღ. IV – III ს.ს.);



- სამადლოს ქვეცრი და სამადლოს ისარნა (ძვ. წ. აღ. IV –

I სს.);



- კავთისხევის ბეჭედი (საბეჭდავი) მოცეკვავის გამოსახულებით (ძვ. წ. აღ. IV-III).



არქეოლოგიური მასალის შესწავლის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ხატოვანი გამოსახულების ანუ სხეულის სტატიკური ფორმის წარმოსახვითი დინამიკა, რომელიც მთლიანი საცეკვაო ნიმუშის ან ცალკეული საცეკვაო ილეთის რეკონსტრუირების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურული მასალა, როგორც ქართული საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის წყარო

საცეკვაო რიტუალის ლიტერატურული ენით აღწერა მეტად მიახლოვებულია ცეკვის შინაგან ბუნებასთან, რადგან დინამიკური პროცესის არა სტატიკურ (არქოლოგიური ნიმუშის მსგავსად), არამედ დროში განფენილ სურათს წარმოადგენს. ლიტერატურული აღწერა ცეკვის კომპოზიციური სტრუქტურის (ცეკვის ნახაზისა და საცეკვაო ლექსიკის) სქემატურ გამოსახულებას იძლევა. ლიტერატურული მასალა, როგორც ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის წყარო, მრავალგვარია და ჯგუფდება საცეკვები სურათის აღწერის არსობრივი ნიშნის გათვალისწინებით. ეს არის:

- ისტორიულ-ლიტერატურული მასალა;
- საექსპედიციო-ლიტერატურული მასალა;
- ფერხულების ტექსტები.

პირველ ჯგუფად, იმავე ქრონოლოგის დაცვით, გამოვყავით **ისტორიულ-ლიტერატურული მასალა**, რომელიც წარმოადგენს უცხოელი და ქართველი ისტორიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების მიერ ქართული საცეკვაო ტრადიციების აღწერას. მათი ინტერესი ქორეოგრაფიული ფოლკლორისადმი არა მიზანმიმართული, არამედ, შეიძლება ითქვას, შემთხვევითი ხასიათისაა. როგორც წესი, ეს ნაშრომები სრულიად განსხვავებული თემატიკისაა და ცეკვას მათში შხოლოდ კონტექსტუალური დატვირთვა აქვს. მაგრამ, ქორეოლოგიური თვალსაზრისით, ეს, თითქოს და მცირედი ჩანაწერები, უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდიან ჩვენი ერის საცეკვაო ტრადიციების წარმომავლობაზე. ამ მასალის ყველაზე აღრინდელი ჩანაწერები ანტიკურ ხანას მიეკუთვნება, ხოლო, შემდგომში, XIX საუკუნის ჩათვლით, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთშია მიმოფანტული.

ასე, მაგალითად, ბერძენმა ისტორიკოსებმა ქსენოფონტემ „ანაბასისში“¹ და სტრაბონმა „გეოგრაფიაში“ ძვ. წ. IV საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს

¹ ქსენოფონტი, ანაბასისი, V,4. თემურაზ მიქელაძე, თბ., 1967

ფრაგმენტულად დააფიქსირეს და შთამომავლობას შემოუნახეს ქართველ წინაპართა ტომების საბრძოლო და ასტრალური რიტუალური ცეკვები. ხოლო, იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ „სამეგრელოს აღწერა“ XVII საუკუნეს მიეკუთვნება და აღბეჭდავს საქართველოს ერთერთი ეთნოგრაფიული რეგიონის ისეთ რელიგიურ-რიტუალებს, რომლებიც შეიცავდნენ საცეკვაო ელემენტებს.

ისტორიულ-ლიტერატურული მასალა, უცხოელი ავტორების გარდა, ქართველთა მიერ დაფიქსირებულ საცეკვაო ტრადიციების ჩანაწერებსაც მოიცავს. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ (XVII-XVIII ს.ს.), თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“ (XVIII ს.), მეფე არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ (XVII ს.) და სხვ. მათ შორის ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის მხრივ, უმნიშვნელოვანებისა სულხან-საბას ლექსიკოგრაფია. „სიტყვის კონაში“ ორმოცამდე ქორეოგრაფიულ ტერმინს ვხვდებით, რომელთა ნაწილი უცვლელად გაძმოვიდა თანამედროვე ლიტერატურულ ენაში („ბუქნი“, „ფერხული“, „ფერხისა“, „თამაშობა“ და ა.შ.), ნაწილმა იცვალა მნიშვნელობა („ბასტი“, „ფუნდრუკი“, „სამა“, „შუშპარი“ და ა.შ.), ნაწილი კი არქაზმებად იქცა („როკვა“, „კოჭა“, „ხუნტრუცი“, „თულო“ და სხვ.).¹

ლიტერატურული მასალის მეორე ჯგუფში მოვაკციეთ **საქართველიცო-ლიტერატურული მასალა**, რომელიც წარმოდგენს დარგობრივი ექსპედიციების შედეგად მოძიებულ, დამუშავებულ და გამოქვეყნებულ წყაროს. ისტორიულ-ლიტერატურული წყაროსგან განსხვავდით, საქართველიციო მასალა ხასიათდება პროფესიული ინტერესით საკითხისადმი, რაც ამ მასალის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩატარების მიზანი ხომ სწორედ ხალხის ყოფა-ცხოვრების აღწერაა, მათ შორის, რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვეულებებისა და ფოლკლორული შემოქმედების. საველე მუშაობა იძლევა ყველაზე სრულყოფილ შედეგს

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 2, თბ., მერანი, 1993

ხალხის ეთნიკური თვითმყოფადობის დადგენასა და მის იდენტიფიცირებაში. ექსპედიცია შეიძლება იყოს როგორც ზოგადი ხასიათის (ზოგადად ეთნოგრაფიული), ასევე, დარგობრივი, რომელიც გამიზნულია ზეპირსიტყვიერი, ან მუსიკალური, ან ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესასწავლად.

შესაბამისად, ჩვენც ვყოფთ საექსპედიციო-ლიტერატურულ მასალას **ზოგად ეთნოგრაფიულ** მასალად (ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, თ. სახოკა, ვ. ითონიშვილი და სხვ) და **უმუსოოდ ქორეოგრაფიულ** საექსპედიციო მასალად (დ. ჯავრიშვილი, ა. თათარაძე, უ. დგალიშვილი და სხვ.). ამ უკანასკნელის ჩატარების მიზანი სწორედ რომ კონკრეტული საცეკვაო ფოლკლორული ნიმუშების მოძიება, ფიქსაცია და შესწავლაა. მაგალითად, ა. თათარაძის ნაშრომში „უძველესი ქართული (სვანური) ფერხულები“,¹ რომელიც დაიწერა ავტორის მიერ სვანეთში ჩატარებული ქორეოგრაფიული ექსპედიციის შედეგად, თავმოყრილია ფასდაუდებელი, დეტალური ინფორმაცია უძველესი სვანური ფერხულების შესახებ: ფერხული ტექსტი, სანოტო მასალა და მოძრაობის აღწერა.

ფერხულების **ტექსტების** ლიტერატურული მასალის მესამე ჯგუფად განვიხილავთ. ფერხული, როგორც სინკრეტული მოვლენა, სამ რიტმულ შრეს აერთიანებს. ეს არის: ტექსტი, მუსიკა და მოძრაობა. საფერხულო ლექსი ზეპირსიტყვიერების ნიმუშს წარმოადგნს და ამ თვალსაზრისით, ლიტერატურული ნაწარმოების იდენტურია. ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის პრცესში საფერხულო ტექსტი განსაზღვრავს კონკრეტული საცეკვაო ნიმუშს შინაარსობრივ და, ხშირ შემთხვევაში, ფუნქციურ დატვირთვასაც.

¹ ა. თათარაძე; უძველესი ქართული (სვანური) ფერხულები; თბ.; 19 76

აუდიო-ვიზუალური მასალა, როგორც ქართული საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის წყარო

ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის განსხვავებულ წყაროს **აუდიო-ვიზუალური** მასალა (სხვაგვარად, მუსიკალური და ვიდეო მასალა) წარმოადგენს. თავად სამუსიკო ხელოვნება დროში განვენილობის მახსიათებლებით ენათესავება საცეკვაო ხელოვნებას. თუმცა, სანოტო ჩანაწერის არსებობამ, როგორც მუსიკალური ნიმუშის კონსერვაციის საუკეთესო საშუალებამ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ეთნომუსიკოლოგიური კვლევების მაღალი ხარისხი. ქორეოგრაფიული ხელოვნების სინთეზური ბუნებიდან გამომდინარე, სადაც მუსიკალური ქარგა ცეკვის ორგანულ, განუყოფელ ნაწილად გვევლინება, მუსიკალური პლასტის ფიქსირება ცეკვის მეტრო-რიტმულ და მელოდიურ მხარეს ასახავს. მუსიკალური მასალის მოშველიება საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის პროცესში მეტწილად აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც საცეკვაო ლექსიკის პლასტი დაკარგულია, მაშინ როდესაც მუსიკალური ფოლკლორი ინახავს ნიმუშებს „საფერხულოს“, „ან „საცეკვაოს“, „ან „სათამაშოს“ სახელწოდებებით. ამ შემთხვევაში, მუსიკალური მასალის გამოყენებით, შესაძლებელი ხდება საცეკვაო ფოლკლორული ნიმუშის სავარაუდო აღდგენა.

გემოქმნებითი პადაგრიკა

ნატალია დილმელაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ცეკვის პედაგოგი

საბათოაშორისი პაზირიჩის მინიჭებულობა სტუდენტების სფავლებაში

ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმის შესახებ, რომ თეატრალურ უმაღლეს სასწავლებელში სამსახიობო მიმართულების სტუდენტების სასწავლო პროცესში საქმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პედაგოგთა ურთიერთშეთანხმბეჭდ მუშაობას, რადგან სამსახიობო პროფესიის სწავლება ყოველთვის იყო და რჩება კომპლექსურ პროცესად. ამ კომპლექსში შედის ისეთი საგნები, როგორებიცაა: სამსახიობო ოსტატობა, მეტყველება, პლასტიკური დისციპლინები და ვოკალი.

თანამედროვე თეატრი მსახიობებისგან მოითხოვს ყველა სახეობის პლასტიკის ფლობას, დაწყებული ანტიკურიდან, დამთავრებული თანამედროვე ქორეოგრაფიის ყველა არსებული ფორმით, რადგან დღეს ჩარჩოები, რომლებიც განასხვავებდა დრამატულ და მუსიკალურ თეატრებს, გაქრა. არც თუ იმშვიათად ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ დრამის მსახიობთა მოძრაობებით, მათ მიერ საკუთარი სხეულისა და ჟესტების ფლობით და შეძრწუნებული ვართ იმით, რომ მუსიკალურ თეატრში, მიუზიკლის და მით უმეტეს, საოპერო შშვენიერი ხმის მფლობელ შემსრულებელს სრულიად არ შეუძლია მოძრაობა. არსებობს ამის უძრავი მაგალითი! თანამედროვე რეჟისორები ისწრაფვიან სიმღერისა და ცეკვის ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობები აიყვანონ, ამიტომაც მათი სპექტაკლები ყოველთვის გაჯერებულია პლასტიკით.

თეატრალურ უმაღლეს სასწავლებელშიც ჩვენ სიხარულით ვიღებთ ქორეოგრაფიული მონაცემების მქონე აბიტურიენტებს!

მაგრამ უმეტესობა, ხომ, მის გარეშე მოდის ჩვენამდე! ამიტომ, დღეს ჩვენ ვისაუბრებთ პლასტიკაზე, რომელიც მოიცავს ცეკვას, სასცენო მოძრაობას, რიტმიკას, ქართულ ცეკვას, ეტიკეტს და ფარიკაობას. „ამ საგნების, სიტყვისა და ვოკალის კომპლექსური ერთობლიობა ახდენს გავლენას მსახიობის ქმედით კულტურაზე, რაც შემდგომში მას დაეხმარება ადვილად შესარულოს თეატრის მიერ დასახული შემოქმედებითი ამოცანები;“ – წერს იური გრომოვი წიგნში „ცეკვა და მისი როლი მსახიობის პლასტიკური კულტურის განვითარებაში“.¹

ჩვენი სკოლის ამოცანა იმაში ძლიერი მარეობს, რომ ნებისმიერ სასცენო სივრცეში, შეთავაზებულ პირობებში სტუდენტს შევასწავლოთ თავისუფლად და ორგანულად მოძრაობა, საშუალება მივცეთ აითვისონ და სწორად გამოიყენონ მოცემული კონკრეტული მომენტიდან გამომდინარე ქცევა, მოძრაობა, კოსტიუმის ტარება, წარმოსადეგობა, აქსესუარების ფლობა და მანერები, რომლებიც ზუსტად უპასუხებენ ეპოქის მოთხოვნებს.

მრავალრიცხვოვანი შესწავლილი მასალის საფუძველზე დღევანდელ სტუდენტს, ანუ ხვალინდელ მსახიობს, უნდა შეეძლოს შეარჩიოს და სწორად გამოიყენოს მისთვის კონკრეტულ მომენტში საჭირო ქცევა, უესტი, სწორად განასახიეროს დრო. „აუცილებელია განვითარდეს სხეული, მოძრაობა და ყველა ის კომპონენტი, რომელიც მსახიობს შესაძლებლობას აძლევს გამოავლინოს განცდები, რათა ინსტინქტურად, სწრაფად და მკაფიოდ გამოამჟღავნოს ემოციები“². ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსახიობების მომზადება მიმდინარეობდეს კომპლექსურად!

ფორმალურად ეს სწორედ ასეა, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასცენო მოძრაობის ყველა საგნის პროგრამა აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული ერთმანეთთან და

¹ Ю.И. Громов. Танец и его роль в воспитании пластической культуры актёра. Санкт-П., М., «Краснодар», Планета музыки, 2011, стр.23

² К.С. Станиславский. Собр.соч.т.3., ч.2., М., «Искусство», 1990, стр. 423

სასწავლო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული ის, რომ ძირითადად სტუდენტები უნივერსიტეტში მოღიან ფიზიკური დატვირთვისთვის მოუმზადებლები. ხოლო, როდესაც პირველ კურსზე მათ „ტვირთავენ“ მოძრაობის ციკლის ერთდროულად რამდენიმე საგნით, მათი ორგანიზმი ვერ უძლებს, რაც იწვევს ტრავმებსა და სხვა არასასიამოვნო შედეგებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, დატვირთვის ზრდა აუცილებელია თანდათან და მიზანმიბართულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, საგანი „ეტიკეტი“ უნდა იყოს ცეკვის საგნის შემადგენელი ნაწილი, რადგან არსებითად პირველ კურსზე ჩვენ სტუდენტებს შევასწავლით (ან უნდა ვასწავლიდეთ) XVI-XIX საუკუნეების ისტორიულ-ყოფით ცეკვებს, რომელთა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს კოსტიუმის სწორი ტარება და იმდროინდელი აქსესუარებით სარგებლობის უნარი, იმავდროულად მუსიკის მოსმენა და საცეკვაო „პა“-ს შესრულება. „...სამეფო კარის მეკლისებზე მკაცრად იცავდნენ ეტიკეტსა და წოდებათა პატივისცემას“,¹ – აღნიშნავს მ. ვასილიევა-როედესტვენსკაია. ეს საქმაოდ რთულია დღევანდელი ახალგაზრდობისთვის, რადგან ისინი უბრალოდ ვერ იგებენ იმ სინატიფეს, ქცევის მანერების გალანტურობას, თაყვანისმცემელთა დამოკიდებულებას ქალბატონების მიმართ. ჩვენ „ცეკვისთვის“ გამოყოფილი გვაქვს კვირაში მხოლოდ 3 საათი, როდესაც „ეტიკეტს“ ეთმობა 2 საათი მთელი მეორე სასწავლო წლის მანძილზე. ამასთან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სტუდენტები სულაც არ ახდენენ ამ ორი, მჭიდროდ დაკავშირებული საგნის ასოცირებას.

გარდა ამისა, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა სავალდებულო სტატუსით ისწავლებოდეს კოსტიუმის ისტორიის მოკლე კურსი: სტუდენტები გაუცნობან იმას, თუ რას ატარებდნენ და იცვამდნენ გასულ საუკუნეებში – ეს ხომ დიდ როლს თამაშობდა ქცევის მანერაში, გავლენას

¹ М. Васильева-Рождественская. Историко – бытовой танец. М., «Искусство», 1987. с.23.

ახდენდა ცეკვის მოდაზე. „აუცილებელია იცოდე ამა თუ იმ დროის ადათ-წესები, ეტიკეტი, მისალმება, მარაოს, დაშნის, ჯოხის, ქუდის და ცხვირსახოცის ხმარება“¹, – წერდა კ. სტანისლავსკი. დღეს კი, როცა ამ კურსის არჩევა, სტუდენტის სურვილზე დამოკიდებული – ან ირჩევს, ან არა. ცეკვის პედაგოგი კი იძულებულია თავისი ისედაც არასაკმარისი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმოს სტუდენტების ამა თუ იმ ეპოქის კოსტიუმის ტანჟების საეციფიკაში გარკვევას.

უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ადრე ქართულ დრამატულ სკოლაში ცეკვას ეთმობოდა კვირაში 4 საათი ოთხივე კურსზე და მაშინ ამბობდნენ, რომ ეს არ არის საკმარისი. წლები მიღის, მათაც ერთად კი მატულობს საპროგრამო მასალის მოცულობა. დაემატა მთელი XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის მასალა, საათები კი არ იცვლება... დღეს რუსეთში საგანი „ცეკვა“ ისწავლება 4 წლის განმავლობაში, 4 საათი კვირაში. გერმანიაში საცეკვაო დისკიპლინა დაყოფილია უანრებად და თითოეულს ინტენსიურ რეჟიმში ასწავლიან კონკრეტული ცეკვის პედაგოგი, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ „მიუზიკლის სკოლას“, და არა დრამისას.

სტუდენტთა თაობაც შეიცვალა! ახალგაზრდები უფრო ინერტული გახდნენ, ნაკლებად ადეკვატურები. მათ არ სურთ თავი დაიტვიროთონ არც ფიზიკურად, არც გონიერივად. ცხოვრების ტემპი უფრო სწრაფი გახდა, ყველაფერი ზედაპირულია, ნაჩქარევი. ამ პირობებში საჭიროა უფრო სკრუპულოზური მიღომა პროგრამებისადმი და ყველა დისკიპლინათაშორისი კავშირის კოორდინაციის გაძლიერება.

განსაკუთრებით უნდა ითქვას საგან „რიტმიკა“-ზე. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანი სტუდენტების დაწყებით სწავლებაში. იგი უნდა ეხმარებოდეს რიტმთან და მუსიკასთან დაკავშირებულ ყველა დანარჩენს საგანს და მიზნად ისახავდეს მეტრორიტმული შესაძლებლობების სწორად განვითარებას სპეციალური ვარჯიშების, მუსიკალური მასალის მუდმივი

¹ К.С. Станиславский. Собр.соч.т.3., ч.2., М., Искусство 1990, стр. 426

ცვლილების გზით, დაწყებულს რიტმული ნახატებიდან. ეს საგანი ისწავლება I კურსზე იმიტომ, რომ მელოდიებისა და რიტმების მრავალგვარ ვარიანტებზე, რომლებიც არ არიან აუცილებელი სხვა საგნების ამ რაოდენობის დროს, სტუდენტებს გავაცნოთ და განვუკითაროთ სმენა და კოორდინაცია დროსა და სივრცეში, რომელიც შემდგომში უკვე სრული ზომითა და უფრო ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული, ამასთანავე, სახსიათო, ისტორიულ-ყოფით და თანამედროვე ცეკვებში მხატვრული შეფერილობით. „რიტმიკის“ ფუძემდებელმა დალკროზმა მიაღწია იმას, რომ მისი მოწაფეები ასრულებდნენ სხვადასხვა მოძრაობას სხვეულის სხვადასხვა ნაწილით და ეს რეგულირდებოდა მუსიკით“¹.

სრულიად დაუშევებელია, რომ ნაცვლად იმისა, სტუდენტს შეასწავლონ – ისმინოს და ესმოდეს მუსიკა, შეითვისოს სასცენო სივრცე, კოორდინაციის განვითარება, თანდათან მიაჩვიოს კუნთები და მყენები ფიზიკურ დატვირთვას, განავითაროს ამტანობა და სუნთქვა და ა.შ., მას უბრალოდ აფექტურად ავალებენ ამა თუ იმ ნომრის, მოძრაობისა თუ ცეკვის შესრულებას.

თავს უფლებას მივცემთ, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ საგანზე „სასცენო მოძრაობა“. ეს საგანი რჩება ძალიან საჭიროდ, მნიშვნელოვნად და აქტუალურად, მით უმეტეს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს მსახიობებს არა მხოლოდ თეატრისთვის, არამედ კინოსთვისაც, რომელიც დღეს ვერ წარმოგვიდგენია უზარმაზარ რისკთან დაკავშირებული „ტრიუქების“ გარეშე. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ სტუდენტები ფლობდნენ მაქსიმუმს და მიისწრაფონენ თავისი სხეულის სრულად დამორჩილებისკენ, ფლობისკენ. „მსახიობმა არათუ მიზანმიმართულად უნდა შეასრულოს გარკვეული მოძრაობები, არამედ ეს შესრულება უნდა იყოს ლოგიკური და მართალი. მაყურებელმა უნდა დაიჯეროს და გაიგოს აზრი

¹ Н.Збруева «Ритмическое воспитание» Методическое пособие. – М.: ВЦХТ («Я вхожу в мир Искусств»), 2003. – 144 с.: нот. Н.Александрова – Предисловие, стр.7

ამ მოქმედებებისა“¹ – წერდა აკადემიკოსი პ. სიმონოვი კ. სტანისლავსკის სწავლების მეთოდთან დაკავშირებით. აქ მნიშვნელოვანია ყველაფერი – მოთელვა, გონიერი და სწორი ელემენტების ათვისება, რომლებიც სირთულის მიხედვით იზრდება, მთთ უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომელზედაც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია – ახალგაზრდების სრული მოუმზადებლობა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ჯუთით.

ყოველივე ზემოაღნიშნულს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ყოველი საგნის პროგრამა და ლექციათა განრიგის შედება უნდა ხდებოდეს მთლიანობაში სრული კომპლექსის გათვალისწინებით, სტუდენტის ახალგაზრდა და ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სახსარ-ჯუნთოვანი აპარატის გონივრული და დოზირებული დატვირთვით.

რატომდაც სტუდენტები თვლიან, რომ მხოლოდ საგანი „ოსტატობა“ წარმოადგენს მათვის მნიშვნელოვანსა და საჭიროს, მეორე ადგილს იკავებს – მეტყველება, ყველა დანარჩენი კი მეორეხარისხოვნად ითვლება, რაც შეიძლება სულაც არ ისწავლებოდეს. შესაძლოა, ეს ხდება იმიტომ, რომ უკე რამდენიმე წელია შეიქმნა ე.წ. მოდული, რომელშიც ყველა საგანს, გარდა ოსტატობისა, ნამდვილად მინიჭებული აქვს მეორეხარისხოვნი როლი. შესაძლოა, ეს არის „დასავლური სკოლის“ მემკვიდრეობა, სადაც ისწავლება მხოლოდ ოსტატობა და მეტყველება. მაგრამ იქ არ არის საშსახიობო სკოლის ასეთი ტრადიციები. ამასთან, იქ უბრალოდ არ არის, ან თუ არის ერთეული მოძრაობის დისციპლინების სპეციალისტები, რომელთა გაგვეთილები ძალიან ძვირია. და თუკი იქ ადამიანს სურს გახდეს მსახიობი, იგი კერძოდ ემზადება ცეკვის სხვადასხვა ჟანრში!!!

ჩვენთან კა ცეკვის პედაგოგი საკუთარ თავში უნდა აერთიანებდეს ისტორიულ-ყოფითი, სახასიათო და თანამედროვე ცეკვების პედაგოგის მოთხოვნებს.

¹ П.В.Симонов, «Метод К.С. Станиславского и физиология эмоций» Изд. АН СССР, 1962 – 86, с. стр.83

ამასთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნა ნიჭიერ, შემოქმედებითად განწყობილ პედაგოგებზე, რომლებიც არა მხოლოდ სიღრმისეულად იგებენ საზოგადოებაში ხელოვნების პედაგოგიურ ამოცანებს, არამედ ფლობენ სტუდენტებთან მუშაობის აუცილებელ პროფესიონალურ უნარ-ჩვევებს, რის გარეშეც შეუძლებელია ისეთი ესოდენ მოთხოვნადი სახელოვნები განათლების სფეროს შემდგომი განვითარება, როგორიცაა ქორეოგრაფიის სფერო. თავისთავად ქორეოგრაფიული სასწავლებლის დასრულება არ იძლევა ცოდნის სისრულის გარანტიას, რომელიც აუცილებელია სათეატრო უმაღლეს სასწავლებლში პედაგოგობისთვის. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა პედაგოგიური კადრების სპეციალური მომზადება. „(ცეკვის – ავტ.) პედაგოგის მთავარი მოვალეობა – მოსწავლეს ისე ასწავლოს საცეკვაო წარიათზე მუშაობა, რომ ამ სწავლების პერიოდში მას გაუქრეს ყველანაირი სცენური შტამპი“.¹ ამიტომ პედაგოგმა უნდა იცოდეს არა უბრალიდ მოძრაობები, არამედ უნდა ფლობდეს კომპოზიციის აგების კანონებს, სწავლების მეთოდებას, უნდა ერკვეოდეს დრამატული და მუსიკალური თეატრის სპეციფიკაში, უნდა იყოს მრავალმხრივ განათლებული ინტელიგენტი, რომელიც ფინანსურისა და მორალურის მომზადებულია თეატრალურ სკოლაში მუშაობისთვის.

პედაგოგებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რა მარაგს გაატანენ სტუდენტს სცენაზე, მის გრძელ შემოქმედებით ცხოვრებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უნდა შეიცვალოს დრამის ფაკულტეტზე სტუდენტთა სამოძრაო დისკიპლინების სწავლების პროგრამა და სისტემა, უნდა ჩამოყალიბდეს უფრო კომპლექსურად, რომელიც გაითვალისწინებს თეატრალური განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და სტუდენტთა სწავლების ინოვაციურ მეთოდებს. ასევე აუცილებელია საგნებზე საათების განაწილების გადახდვა, ანუ სასწავლო გეგმისა და განრიგის

¹ Лопухов А., Ширяев А., Бочаров А. Основы характерного танца.Л.-М. «Искусство», 1939. с.33

სწორი შედგენა. იგი უნდა ითვალისწინებდეს გონივრულად დოზირებულ ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც რგებს და არ ვნებს სტუდენტს!

გამოყენებული ლიტერატურა:

- М.Васильева-Рождественская. Историко – бытовой танец.М., «искусство», 1987.
- В.В. Гуревич. «Роль танца в процессе воспитания драматического актера». Текст.: метод, рекомендации для студ. актерских фак-тов театр, вузов. / В. В. Гуревич. М., ГИТИС, 2002
- Ю.И. Громов. Танец и его роль в воспитании пластической культуры актёра. Санкт-П.- М., Краснодар, Планета музыки, 2011
- Н.Збруева. «Ритмическое воспитание» Методическое пособие. – М.: ВЦХТ («Я вхожу в мир искусств»), 2003.
- С.П. Кузнецов. статья «Прикладная хореография и некоторые проблемы обучения танцу в театральной школе», сб.науч.тр., Л.: ЛГИТМиК,1987
- Лопухов А., Ширяев А., Бочаров А. Основы характерного танца.Л.-М. Искусство,1939
- П.В.Симонов «Метод К.С. Станиславского и физиология эмоций» Изд. АН СССР, 1962
- СПбГАТИ В.М., Фильшинский, Ю.Х. Васильков «Открытая педагогика». СПб.: Балтийские сезоны, 2006
- К.С. Станиславский.Собр.соch.т.3.,ч.2.,М., Искусство 1990
- [http://www.stage-entertainment.de/academy/.](http://www.stage-entertainment.de/academy/)

გიორგი სავანელი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს უნივერსიტეტი, ასისტენტ-პედაგოგი
შემოქმედებითი პედაგოგიკის მიმართულების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დავით კობახიძე

ბრძანების მეთოდით მსახიობის ოსტატობის სრულყობის შტრიჩები – „ჩვენების“ მეთოდის გამომუშავება

ბრძებჭის თეატრალური მეთოდი, რომ დღეს მხოლოდ თეატრალური დადგმებისათვის არ გამოიყენება და იგი სამსახიობო ოსტატობის სწავლების პროგრამის განუყოფელი ნაწილია არა ერთ საერთაშორისო დონის უმაღლეს სასწავლებელში, ვეონებ ეჭვს აღარ იწვევს. სტანისლავსკის სისტემით სწავლების პარალელურად, მსახიობის ოსტატობის სწავლება ბრძებჭის მეთოდის მიხედვით და მოთხოვნებით, მრავალი გარემოების გამო, რომ მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, ესეც უდავოა, მით უმეტეს თუ გადავხედავთ თანამედროვე თეატრში მიმდინარე პროცესებს; ამიტომ, ამ თემაზე დიდხანს აღარ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ იგი (ბრძებჭის მეთოდით მსახიობის ოსტატობის სწავლება) მსახიობის გამომსახველობითი არსენალის მრავალშერივობის საწინდარია და მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამამდიდრებელი. ბრძებჭის მეთოდით სწავლების კურსის დანერგვის საშუალებებზე, ამ კურსის მოცულობასა და სასწავლო ბადეში განთავსების პრინციპზე ჩემი მოსაზრება ჩამოყალიბებული მაქვს და მსურველებს შეუძლიათ იხილონ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამოცემაში, „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ 2014 წ. №1, (58).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც სერიოზულ, ასე ვთქვათ, გამოკვლევას და ერთგვარ პრაქტიკულ ექსპერიმენტს საჭიროებს, ეს არის ბრძებჭის თეატრალური

მოდელის აუცილებელი კომპონენტი – „ჩვენება“; რომლის შესწავლის, ან თუ გნებავთ ამ სამსახიობო უნარის გამომუშავების საშუალებების აღტერატიულ ვარიანტს ქვემოთ განვიხილავ. მაგრამ მანამაღე, მოდით ჩამოვაყალიბოთ „ჩვენებას“ რაობა და სახე „ჩვენება“, – ანუ როგორ წარმოადგენ პერსონაჟს. თუ სტანისლავსკის სულად სწავლის პროცესში, ჩვენ ვასწავლით სტუდენტ-მსახიობს, რომ მან მაქსიმალურად უნდა გაითავისოს როლი, მისი თამაშისას დამაჯერებული, ორგანული, ბუნებრივი იყოს და ყოველ ჯერზე, ამ კონკრეტული პერსონაჟის შესრულებისას, ისე უნდა განასახიეროს იგი, თითქოს პირველად გადის დრამატურგის მიერ მოცემული ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპს, მის პერიეტიებს და ა.შ. ბრეხტთან ეს პრინციპი არ გვხვდება. პირიქით, იგი თხოვს, მსახიობმა ისე შეასრულოს როლი, თითქოს ის ყველაფერი, რასაც იგი თამაშობს, უფრო სწორად, ბრეხტის მოდელის მიხედვით – წარმოგვიდგენს, გვაჩვენებს, ახლა კი არ ხდება, არამედ უკვე მოხდა და მსახიობი მის აწმყო კომენტარს გვთავაზობს.¹ თავისი დამოკიდებულებით, ინტერპრეტაციით, მისი აღქმის მიხედვით გვაჩვენებს უკვე მომხდარს. ბრეხტი, მისი თეატრისათვის დამახასიათებელ ამ მომენტს, ერთი შეხედვით სხარტ ფორმულირებას უკეთებს, რომელშიც მთლიანადაა ჩატეული „ჩვენების“, როგორც თეატრალური ხელოვნების შემადგენელი სამსახიობო ელემენტის არსი; ბრეხტის მიხედვით, პერსონაჟის შესრულებისას უნდა ვიზუალურობა მომდევნობით – „როგორ დავინახე ადამიანი, რომელმაც ესა თუ ის თქვა“, „როგორ დავინახე ადამიანი, რომელმაც ესა თუ ის მოიმოქმედა“. აქევე უნდა განისაზღვროს, რომ თუ სტანისლავსკის თეატრის მსახიობებსა და მაყურებელს შორის უხილავი ეწ. მეოთხე კადელი არსებობს, ბრეხტის „ჩვენების“ პრინციპი არსშივე უარყოფს ამ „მეოთხე კადლის“ საჭიროებას; რადგან აქ მსახიობი სცენაზე კი არ „ცხოვრობს“, არამედ ჩვენთვის, მაყურებლისათვის წარმოადგენს, გვიჩვენებს ამა თუ იმ ამბავს. და რადგან გვიჩვენებს, მისთვის ჩვენ, მაყურებელი

¹ Б.Брехт. «Театр», т. 5/2 , изд. М.,1964, стр.123, 530

აქტიური თანამოსაუბრის როლში ვექცევით, რომელსაც უნდა მოგვიყვეს უკვე მომხდარი, მის მიერ დანახული ფაქტი, ამბავი, მოვლენა ისე, როგორც მან აღიქვა. ამისათვის, „მეოთხე კედელი“ გამოუსადეგარი ხდება და ავტომატურად ჩნდება „ქუჩის თეატრის“ პრინციპის აუცილებლობა; რაც სწორედ რომ, ბრეხტის მეთოდის მახასიათებელია. და კიდევ ერთი, მსახიობმა ჩვენების დროს უნდა მოგვიყვეს მთავარი ფაქტები და არა მთლიანად მოვლენის განვითარების ეტაპები. მისთვის, მთავარია, ჩვენ გაგვაგებინოს, რა მოხდა, ფაქტი, რომელიც მისი იდეის გადმოსაცემადაა საჭირო; მას არ სჭირდება, ამ მოვლენის განვითარების სრული პროცესის აღწერა, აქედან გამომდინარე კი ჩნდება ბრეხტის თეატრისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა – ამბის ნახტომისებურად განვითარება. ანუ ბრეხტთან მსახიობი წარმოგვიდგენს კონკრეტული, ვრცელი მოვლენის, მხოლოდ მთავარ, საკვანძო მომენტებს, რომლებიც იკვრება, ერთიანდება საერთო კონცეპტუალური, იდეური ხაზით. ნათელია, რომ სტანისლავსკის სისტემით სწავლების პროცესში აქცენტი სულ სხვა სამსახიობო პრინციპებზე ორიენტირებული და ამგვარი საშუალებების აუცილებლობაც გამორიცხულია. ეს ის პრინციპებია, რომელთა მიხედვითაც შექმნილი სავარჯიშოებით დღემდე სარგებლობს ჩვენი სამსახიობო სკოლა; მათგან გამორჩეულია გიპოუსის სავარჯიშოები¹ თუ მ. თუმანიშვილისეული სამსახიობო სავარჯოშოები,² რომელთა ნაწილიც ბეჭდურადაა გამოცემული, ნაწილი კი მის მოწაფეთაგანაა შემორჩენილი და სხვა. სამსახიობო ოსტატობის სწავლის პირველ ეტაპზე (ხაზს ვუსვამ, პირველ ეტაპზე) ამ და მსგავსი მეთოდით სწავლების უალტერნატივობის მიუხედავად, ლოგიკურიცაა, რომ მომავალი მსახიობები არ ფლობენ ბრეხტის ზემოხსენებული პრინციპებით თამაშის

¹ С.Гиппиус, «Актерский тренинг», Санкт-Петербург, изд. „Прайм-ЕвроЗнак“, 2006

² მ. თუმანიშვილი, სანამ რეპეტიცია დაიწყება, საქ.თეატრალური საზოგადოება, თბილისი, 1977

უნარს. ახლა კი, როდესაც ვსაუბრობთ, რომ სასურველია და გარკვეულწილად აუცილებელიც, ბრეხტის თეატრალური მოდელის მიხედვით, მსახიობის ოსტატობის სწავლების კურსის დამატება, დგება საკითხი, — როგორ უნდა გამოვუშებაოთ მომავალ მსახიობებს ბრეხტის მოთხოვნების შესაბამისი უნარჩვევები. ეს პროცესი, მოითხოვს, შეიძლება, შინაარსობრივად ნაცნობ (სტანისლავსკის მეთოდით სწავლის ეტაპიდან გამოიმდინარე), მაგრამ თვისობრივად განსხვავებულ მუშაობის სპეციფიკას და სავარჯიშოებს. სავარჯიშოები ასეთია:

სავარჯიშო ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლის მომენტის გამოსამუშავებლად:

სავარჯიშოს კეთებისას, მუშაობის პროცესისათვის, ვიღებთ ორ ან სამ, ნებისმიერ მონოლოგს, ლექსს ან თუნდაც იგავარაკს; ვამუშავებთ მას სტუდენტთან; ვდებთ მასში შესაბამის ხასიათს, დამოკიდებულებას, ემოციასა და განწყობას; ოღონდ, შერჩეულ მონოლოგში, ლექსსა და იგავმი შექმნილი ხასიათი, დამოკიდებულება და ემოცია მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. როცა მასალას სათანადოდ დავამუშავებთ, ვიწყებთ კონკრეტული სავარჯიშოს კეთებას, შესაბამისი ამოცანით. — სტუდენტმა გამოიმუშავოს ეპიკური თეატრისათვის დამახასიათებელი სცენიდან სცენაზე, ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლისათვის საჭირო უნარი, ანუ „ჩვენების“ პროცესის დამთავრებისას ის ბუნებრივად (შინაგანი დისკომფორტის გარეშე), წამიერად და ძალისხმევის გარეშე, მაყურებლის თვალწინ „გადაიქცეს“ კვლავ საქუთარ პერსონად და შემდეგ, შესაბამის მომენტში ისევ პერსონაჟის ჩენებას დაუბრუნდეს. ერთი სიტყვით, სტუდენტს უკვე წინასწარ აქვს დამუშავებული ზემოხსენებული მასალა და ვიწყებთ სავარჯიშოს კეთებას. სტუდენტი იწყებს მოზადებული ნაწარმოების კითხვას; ჩენ ტაშის მეშვეობით ვანიშნებთ მას, შემდეგ ნაწარმოებზე გადასვლას; ის კი მყისიერად უნდა გადავიდეს შემდეგ ნაწარმოებზე, შესაბამის ხასიათზე, დამოკიდებულებაზე და. ა.შ. აქ ჩართულია ყურადღების ელემენტი, კონცენტრირების უნარი, რომელიც აუცილებელია ბრეხტის მეთოდით სწავლებისას

ავტომატიზმამდე განვავითაროთ. კიდევ ერთიც, სტუდენტმა ეს „გადასვლის“ მომენტი და ამ მომენტისათვის საჭირო შინაგანი მდგომარეობა თავად უნდა იგრძნოს და დააფიქსიროს; ეს კი ნიშნავს, რომ მან უნდა შეინარჩუნოს პიროვნული სივრციზე და არ უნდა „ჩაერთოს“ მთლიანად მის მიერ შერჩეული ნაწარმოების წარმოდგენისას, კითხვისას, რათა საკუთარი მუშაობის სპეციულიკის საღად აღქმის, დაფიქსირებისა და პროცესის არსის შეცნობის უნარი არ გაუნეიტრალდეს. ასე რომ, ამის საშუალებით ბრესტის თეატრალური მეთოდის კიდევ ერთ პუნქტს გავავარჯიშებთ – სცენაზე პერსონაჟის წარმოდგენისას რა დღიზით შეიძლება იყოს ჩართული მსახიობი მოქმედებაში ანუ ასე ვთქვათ, ნელ-ნელა განვსაზღვრავთ და ჩამოვაყალიბებთ ეპიკური თეატრის პრინციპებით თამაშის პირობითობის ხარისხსაც. ამ სავარჯიშოს მეორე ვარიანტი შეიძლება შევთავაზოთ სტუდენტს. ვირჩევთ ასევე, მონოლოგს, ლექსის ან იგავს; ოღონდ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთს; მას ვამუშავებთ რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტით (საშუალოდ 2 ან 3 ინტერპრეტაციით მაინც), სხვადასხვა ხასითში, სხვადასხვა დამოკიდებულებით და ა. შ. შემდეგ კი იმავე მეთოდით ვიწყებთ მის კეთებას. ტაშით და ვარიანტის შესაბმისი ნომრის დაძახებით ვანიშნებთ სტუდენტს ერთიდან მეორე ვარიანტზე გადასვლას, ისე, რომ ნაწარმოების წარმოდგენისას პაუზა თითქმის გამორიცხული იყოს (მეორე ვარიანტი, ასე ვთქვათ, წინას გართულებული ვარიანტი შეიძლება იყოს.) აქვე დავძენ, რომ სასურველია ამ სავარჯიშოსათვის საჭირო ტექსტუალური მასალის დამუშავებისას ვიხელმძღვანელოთ ბრესტისეული მოთხოვნებით – ტექსტი უნდა წარმოითქვას, როგორც ციტატა ვინმეს მიერ წარმოთქმული, რომელიც კონკრეტული ინფორმაციის მომტანი უნდა იყოს (ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის ან პიროვნების შესახებ), როგორც მაგალითად ბრესტისეული „ზონგი“.

ჩემი აზრით, ეს სავარჯიშო ბრესტის მეთოდით მსახიობის ოსტატობის სწავლების პირველი ორი სემესტრის განმავლობაში ინტენსიურად უნდა კეთდებოდეს და მას

სამსახიობო ტრენაჟის სახე უნდა ჰქონდეს (ვგულისხმობ, რომ ტრენაჟი, განსაკუთრებით სასწავლო პროცესის დროს, მუდამ საჭიროა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამა თუ იმ სავარჯიშოს კეთებას წარმატებით ვახერხებთ, იგი „ნასწავლად“, ზედმეტ დროის კარგვად, დასრულებულად არ უნდა მივიჩნიოთ).

სავარჯიშო პერსონაჟის „წარმოდგენის“, „ჩვენების“ უნარის გამოსმუშავებლად - 1

სტუდენტს ვაძლევთ დავალებას – დააკვირდეს (შენიშნოს რაიმე საინტერესო ამბავი ან ეპიზოდი მის რეალობაში) ან გაიხსნოს რომელიმე მისთვის საინტერესო ამბავი, რომელმაც შთაბეჭდილება მოახდინა; შემდგა ეს ამბავი წარმოადგინოს სავარჯიშო-ეტიუდის სახით; მაგრამ, კი არ განასახიეროს ის „პერსონაჟი“ თუ ამბავი, რომელიც კონკრეტული დავალებისათვის შეარჩია, არამედ „გვაჩვენოს“, „წარმოადგინს“. ის იღაბარაკებს იმ ტექსტს, რომელიც მისმა ობიექტმა წარმოთქვა, შეასრულებს იმ მოქმედებებს, რაც ობიექტმა „ჩაიდინა“. ოღონდ, ის წარმოადგენს ჩვენ წინ ადამიანს - რომელიც ყვებოდა ამა თუ იმ ამბავს; ამასთანავე, უნდა მივხვდეთ და დავინახოთ ის ადამიანი, რომელიც ამას ყვებოდა თუ აკეთებდა; ეს უნდა მოხდეს ისე, რომ იმ ადამიანზე, რომელმაც ესა თუ ის თქვა ან გააკეთა (მოიმოქმედა), შევვექმნას მაქსიმალური წარმოდგენა, მის ვიზუალზე, მის წასათზე, წარმომდგენის დამოკიდებულებაზე კონკრეტული საკითხისა და ამბისადმი. ჩვენ ყველას მოვგიყოლია ერთმანეთისათვის ამა თუ იმ ადამიანის საქციელის, ამა თუ იმ ადამიანის მიერ ნამოქმედარის შესახებ (მაგ.: ხომ ვყებით ხოლმე იმ ამბებს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ცხოვრების იმ მომენტსა თუ მონაკვეთში – ვიღაცა ვიღაცას ეჩხუბა, მამა როგორ გაუბრაზდა ძმას და დასაჯა, ლექტორი როგორ ატარებდა რეპეტიციას, ესა თუ ის პილიტიკოსი როგორ იქცეოდა და რას ამბობდა თავის გამოსვლაში თპონენტთან, როგორ დაშორდა შეყვარებულს მეგობარი (კონკრეტული ეპიზოდი) და ა. შ.); ამ შემთხვევაშიც დაახლოებით ასე ვყვებით რაღაც ამბავს, კონკრეტული ადამიანის შესახებ,

ნაწილობრივ წარმოვადგენთ მას, მაგრამ არამც და არამც არ ვაკეთებთ მის იმიტაციას (მიბაძვას); თუმცა ამბის თხრობის დროს ვიშველიებთ მეტ გამოშესხველობას.

შემდეგ ეტაპზე, ვაკეთებთ ამ საგარჯიშოს იმავე პრინციპით, მხოლოდ კონკრეტულ ამბავსაც და ობიექტსაც სტუდენტი თხზავს ფანტაზიით. მან უნდა შეგძლოს გამოგონილი პერსონაჟის და ამბის შესახებ შეგვეტნას მაქსიმალური წარმოდგენა, წარმოდგენილი პერსონის ვიზუალზე, მის სასათზე და ჩანდეს მისი პირადი დამოკიდებულება კონკრეტული პერსონაჟისადმი, საკითხისა და ამბისადმი.

საგარჯიშო პერსონაჟის „ჩვენისაზე - 2 (საგარჯიშო შეიძლება იყოს როგორც ერთკაციანი, ასევე ორკაციანი)

დასაწყისშივე მინდა აღნიშნო, რომ საგარჯიშოს ვარიანტის შესათხზველად, იმპულსი გახდა აქტიორების სცენა რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლიდან „პამლეტი“. აქტიორებისა და კლავდიუსის, პერტრუდას და მამის აჩრდილის – ფატალური სამკუთხედი ერთმანეთის პარალელურად თამაშობდა „გონზაგოს მკვლელობის“ სცენას. წინა პლანზე, მართალია, აქტიორების სათეატრო ნომერი თამაშდებოდა, უკან კი ნორვეგიის სამეფო კარის პირთა მოდულური ეპიზოდი, მაგრამ!.. გაკეთებული იყო ისე, რომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს აქტიორები იმეორებდნენ პირობითად მათ უკან გათამაშებულ უკვე მომხდარ ამბავს, იდენტურად, ოღონდ სხვა დამოკიდებულებით. ეს ერთ-ერთი შთამბეჭდავი სცენა იყო სპექტაკლში.

რაში მდგომარეობს საგარჯიშო: ერთ-ერთ სტუდენტს ვაძლევთ რამე ეტიუდს, პირველ ეტაპზე მარტივ ამბავს; შემდეგ უკვე რთულ ფსიქოლოგიურ ამბავს. ის მოიფიქრებს, დაამუშავებს ეტიუდს; მზად რომ იქნება საჩვენებლად, ეტიუდ-საგარჯიშოს ვამატებთ შემდეგ პირობას; ვარჩევთ რომელიმე სხვა სტუდენტს, რომელმაც პირველის მიერ შესრულებული ეტიუდი, მასთან ერთად უნდა გაიმეოროს (კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, რომელიც იმეორებს; ორიგინალის ავტორის ნამუშევარი პედაგოგს

ჩვენებამდე უნდა ჰქონდეს ნანახი და შესწორებული). ამისათვის ოთახს, აუდიტორიას ორ ნაწილად ვტიხრავთ (პირობითად) და ვაწყობთ ეტიუდისათვის საჭირო ორ ერთნაირ გარემოს, პირობითად გატიხრულ ორ პარალელურ მოედანზე. პირველი იწყებს ეტიუდის კეთებას; მასთან ერთად მეორე იწყებს მისი მოქმედებების გამორჩებას (შეიძლება მხოლოდ ეტიუდის ამბავი ცოდნეს წინასწარ) ანუ ჩვენ, რომლებიც ამ შემთხვევაში, სავარჯიშოს მიზნიდან გამომდინარე, მხოლოდ მას, მეორეს ვუყერებთ, — „გვაჩვენებს“ ეტიუდის მოცემულ ამბავს; ისე რომ ზუსტად გავიგოთ ეტიუდის შინაარსი, სიუსეტი, პერსონაჟის ხასითი და ა. შ.; ეტიუდის შესრულება-გამორჩებისას იგი იძულებული იქნება „აჩვენოს“ ხასითი; რადგან „პირველი“ წინასწარ მომზადებულია და გადის მოქმედების ორგანულ პროცესს, ხოლო „მეორე“ ხედავს ამ პროცესის შედეგს და იმორჩებს მას. ასე რომ, „მეორეს“ ავტომატურად „ჩვენება“ გამოსდის; მთავარია, მან ეს ვითარება და ხერხი დააფიქსიროს. თან, ბოლომდე არ (თუ ვერ) ერთვება ამბის განსახიერების პროცესში, რაც საშუალებას აძლევს, დაიმახსოვროს ეს მდგომარეობა; დაიმახსოვროს საკუთარი რეაქციები (კონცენტრაციის მაქსიმალური უნარი!), შთაბეჭდილებები და... მეორედ, უკვე ინდივიდუალურ რეაქტი კონკრეტული ეტიუდის შესრულებისას, ამბისა და ე. წ. პერსონაჟის „წარმოდგენის“ დროს, — შესაბამის მოქნეტში, — ჩვენების პროცესში გამოიყნოს დამახსოვრებული რეაქციები, საკუთარი დამოკიდებულება და ბრეხტის ტერმინითვე რომ ვთქვათ — „შეცბუნებები“.

სავარჯიშო „ჩვენების“ ეფექტის გამოსამუშავებლად – 3

სავარჯიშოსათვის საჭიროა ტექსტის აუდიო ჩანაწერი; ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ტექსტი — რადიო ჩანაწერი, რეპორტაჟი, ინტერვიუ, მონოლოგი; თუმცა, პირველ ეტაპზე, ალბათ, უკეთესია, თუ ეს იქნება მარტივი, თუნდაც ყოფითი ტექსტი, ოღონდ სადაც შეგვიძლია მოვისმინოთ მნიშვნელოვანი ამბავი, სასურველია შეიცავდეს რაიმე მოვლენას. მოვიძიებთ და შევარჩევთ მსგავსი სახის ჩანაწერს (ჩანაწერებს) — ეს

განვითარებული კომუნიკაციების და ინტერნეტის ეპოქაში რთული არ იქნება. და... ვიწყებთ სავარჯიშოს...

სტუდენტი იკეთებს ყურსასმენს და შესაბამის აპარატში, თუნდაც მობილურში, ჩაწერილი „მონოლოგის“ მოსმენას იწყებს. პირობა ასეთია, მან მოსმენის დროს, პარალელურ რეჟიმში უნდა წარმოადგინოს ის „პერსონაჟი“, რომლის ტექსტსაც ისმენს. თუ როგორია იგი, რა მანერები აქვს, რა უესტებს გამოიყენებს ის, როგორ მოქმედებს კონკრეტულ მონაკვეთში და ა. შ. სტუდენტი ამ დროს „წარმოადგენს“, „გვაჩვენებს“ ტექსტის მიხედვით აღქმულ პერსონაჟს. ამ შემთხვევაში სტუდენტი იმის გამო, რომ იძულებულია ყურსასმენით უსმინოს ტექსტს, რა თქმა უნდა, ვერ ჩაერთვება მოქმედებაში, განცდის თეატრის სპეციფიკის მიხედვით საჭირო ხარისხით; ამასთანავე, ის ვერ მიყვება მოსაუბრის მიერ ბუნებრივად წარმართულ აზროვნებისა და მოქმედების ორგანულ პროცესს; ასე რომ, სტუდენტს მოუწევს ამჯერადაც „შედევის“ მიხედვით იხელმძღვანელოს – წარმოადგინოს შედევის შესაბამისი რეაქციები, მოქმედები, რაც წარმოშობს ჩვენების პროცესს; და ერთიც, სტუდენტმა ეს ყველაფერი უნდა წარმოადგინოს საკუთარი დამოგადებულებით, რა მიმართებაც უყალიბდება ობიექტისადმი სმენის დროს. ეს სავარჯიშო, ამ ყველაფერთან ერთად, ავარჯიშებს ყურადღებისა და კონცენტრირების უნარს, სტუდენტის შემოქმედებით ფანტაზიას, სპონტანურობის და იმპროვიზაციის უნარს, ხასიათის შექმნისათვის საჭირო დეტალებისა და ფაქტორების აღმოჩენის, შემჩნევის მოქნილ ფიქტოლოგიურ უნარს. სავარჯიშოს კეთების პროცესში სრულად უნდა იყოს ჩართული სტუდენტ-შეახილის სამსახიობო გამომსახველობითი საშუალებები; რადგან შედეგად უნდა მივიღოთ „ჩვენების“ ხერხების საშუალებით „წარმოადგენილი“ პერსონაჟის თითქმის სრული მხატვრული სახე. პირველ ეტაპზე (არა პირველ ჯერზე) სავარჯიშოს განხორციელებისას დადებითი შედევის მიღწევისას, შეიძლება ვცადოთ და სავარჯიშო გავსადოთ ორ ან სამ-კაციანი. შესაბამისად, მოსასმენი ტექსტი უნდა შეადგენდეს იმდენივე

ადამიანის დიალოგს (ამბავს).

ბრეხტის მეთოდის ზემოხსენებული პრინციპების შესასწავლად, მიმაჩნია, რომ წინამდებარე ტიპის სავარჯიშოთა ნიმუშები ამბის ნახტომისებურად განვითარების, „ქუჩის სცენისა“ და „ჩვენების“ ელემენტების შესასწავლად, ეფექტური იქნება, რაც შემდგომი პრაქტიკული კვლევის საშუალებასაც იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბ. ბრეხტი, „პატარა ორგანონი თეატრისათვის“, გამომც. „ხელოვნება“, თბ., 1982
- კ. სტანისლავსკი, „მსახიობის მუშაობა თავის თავზე“, სახელგამი, თბ., 1949
- მ. თუმანიშვილი, „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, გამომც. „საქ. თეატრალური საზოგადოება“, თბ., 1977

გენერალური

დილაგარდისა და ვითულიანი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული
პედაგოგი

გლობალიზაცია და საქართველო

გლობალიზაცია ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ტერმინად
მოგვევლინა მე-20 ს. 80-იან წლებში. დღეს გლობალიზაციაში
იგულისხმება მსოფლიო ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე
სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული,
მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა. შ. პროცესების ერთიან
სისტემაში მოქცევა, ანუ უნიფიკაცია, შემუშავებული
მოთხოვნების შესაბამისად. ამ ტერმინის წარმოშობას წინ
უსწრებდა თვით პროცესის დაწყება. გლობალიზაცია როგორც
პროცესი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოიყვეთა.
სწორედ ამ პერიოდიდან მსოფლიოს პოლიტიკურ სოციალურ-
ეკონომიკურ თუ მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში არსებითი
ძვრები დაიწყო. სისტემურმა პროგრესულმა ცვლილებებმა
შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის განვითარება და შესაძლებელი
გახადა სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი პოტენციალის
გამოვლენა-რეალიზაცია, რამაც ხელი შეუწყო გლობალიზაციის
დაჩქარებას. გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებამ
განაპირობა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის,
გლობალიზაციის ინდექსის შემოღება, რომელიც 2002 წელს
შეიქმნა. მონაცემები ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო
სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განათლების,
მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის და სხვათა
საინფორმაციო მასალებს. გლობალიზაციის ინდექსის ზოგადი

მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობენ და პირველ ათეულში არიან: ბელგია, ისლანდია, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, ნიდერლანდი, დანია, ლუქსემბურგი და უნგრეთი. ამ მაჩვენებლით საქართველო $59,8\%$ -ით 90 -ე ადგილზეა. ამ საყოველთაო ინდექსით, პროცენტული გამოხატულებით, ყოველწლიურად განისაზღვრება მსოფლიო 158 ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური და გლობალიზაციის ხარისხი.

პოლიტიკური გლობალიზაცია – გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა: საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისის წევრობა. პოლიტიკურ გლობალიზაციაში საერთაშორისო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი აკისრია გაეროს და სხვა სტრუქტურებს. პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო 138 -ე ადგილზეა.

ეკონომიკური გლობალიზაცია – განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი და საიმპორტო ბარიერები და მრავალი სხვა. ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია. იგი აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას. ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებლით, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს, საქართველო 51 -ე ადგილზეა.

სოციალური გლობალიზაცია – განისაზღვრება საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით, ქვეყნის მოსახლეობაში უცხოელების წილით, ყოველ ათას კაცზე ინტერნეტით მომსახურების რაოდენობით, წიგნებისა და გაზეობის ვაჭრობის მიღებული შემოსავლების წილით მშპ-ში და ა.შ.

იგი კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას. ამ მაჩვენებლით საქართველო 83-ე ადგილზეა.

ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები, შეიძლება თქვას, განსაზღვრავენ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში „თამაშის“ წესებს. ადამ სმითის პერიოდიდან მოყოლებული, კლასიკურ ლიბერალურმა ეკონომიკურმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას. ადამ სმითით იწყება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაც. შემთხვევითი არაა ის, რომ ადამ სმითი თოვლება მე-18 საუკუნის უდიდეს ეკონომისტად, კარლ მარქსი – მე-19 საუკუნისა, ხოლო ჯონ კეინზეს ეკუთვნის მე-20 საუკუნის პალმა.

დასავლური ცივილიზაციის ინდუსტრიული განვითარების პირველ ეტაპზე სახელმწიფო განიხილებოდა როგორც ღამის დარაჯი, სახელმწიფოს საქმიანობას არამწარმოებლურ შრომად მიიჩნევდა. ეს თითქმის 160 წელი საფუძვლად ედო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, ვიდრე 1936 წლამდე, როცა ჯონ კეინზმა არ გამოსცა თავისი ცნობილი წიგნი, რომელიც ახალ ეტაპად არის აღიარებული ეკონომიკის აზრის ისტორიაში. მან უარყო ეკონომიკაში გაბატონებული მიკრო-ეკონომიკური მიდგომა და ცენტრალური ადგილი მაკრო-ეკონომიკურ თეორიას და აქტდან გამომდინარე ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას დაუთმო. ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური მიმდინარეობა კეინზიანელობის სახით, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო პოლიტიკაში.

კეინზიანურმა რეგოლუციამ ხელი შეუწყო კაპიტალიზმის გადაზრდას ახალ თვისობრიობაში, ჩამოყალიბდა საბაზრო რეგულირებადი ეკონომიკა, სადაც ბაზარი წარმოსდგა სრულიად ახალ ამპლუაში. შორეულ წარსულში აღმოცენებულმა ბაზარმა სრულიად სხვა შინაარსი მიიღო. იგი აღიარეს ცივილიზაციის

უდიდეს მონაპოვრად.

ახალმა საბაზო ურთიერთობებმა, საკუთრების პლურალიზმის დამკავიდრებით, გზა გაუხსნა საკუთრების დემოკრატიზაციის პროცესს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩნდასახოვან მდგომარეობაში მყიფი გლობალიზაციის წარმოშობაში. ამან კი დააჩქარა, 50-იან წლებში დეკოლონიზაციის პროცესი. ამავე პერიოდში დაწყებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა მსოფლიო განვითარებას ახალი თვისებრიობა შესძინა. კერძოდ: დაიწყო მოსახლეობის მწარმოებლური დარგების სწრაფი განვითარება. მთელი საზოგადოებრივი წარმოების ანუ ეროვნული ეკონომიკის პირველად (ანუ აგრარული), მეორეულ (ანუ ინდუსტრია) და მესამეულ (ანუ მომსახურების სფერო) სექტორებად დაყოფა

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულზე გადასვლის თეორიული საფუძველი, რომლის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მომსახურების სექტორის წილის ზრდა დანარჩენ ორთან შედარებით. მომსახურების სფერო ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლით გადაიქცა ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად. ამ პროცესმა ეკონომიკის „სერვიზაციის“ სახელწოდება მიიღო. საქმე ისაა, რომ კომპიუტერულმა ავტომატიზაციამ, ინფორმაციის სწრაფად გადამუშავდებამ, აგრეთვე რესურსებამზოგველი ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ ეკონომიკის რეალურ სექტორს, განსაკუთრებით მრეწველობას, სახე შეუცვალა. ცივილიზებულ სამყაროში მომსახურების სფერომ თვალსაჩინო ადგილი დამტკიცირა და მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში აღმოჩნდა. საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი სოციალურ ინფრასტრუქტურას დაეკისრა. ამის პარალელურად საწარმოო მოხმარების სტრუქტურაში საგრძნობლად იმატა წარმოებრივი ინფრასტრუქტურის წილმა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ განაპირობა ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის (სახელმწიფო

აპარატი, საფინანსო, საკრედიტო სფერო, დაზღვევა და სხვ.) განვითარება. ტექნოლოგიურმა ბუმმა აუცილებელი გახდადა ეპოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაც. საბაზრო ურთიერთობების რთულმა სისტემამ მოითხოვა საბაზრო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება. საზოგადოებამ თავის განვითარებაში განვლო შემდეგი სტადიები: სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაცია, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ერა. სწორედ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულ ერაში, დააჩქრა გლობალიზაციის პროცესი. კაცობრიობის განვითარების ამ თვისობრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მან ეპონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა.

გლობალიზაციას ახალი იმპულსი შესძინა 90-იან წლებში ელვისებურად განვითარებულმა კატაკლიზმება, რაც სწრაფად დასრულდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლით, რაც დროის მოთხოვნა იყო და მსოფლიო პროცესების გამოძახვით.

დღეს გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა და, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს. საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალურ პროცესებზეა დამოკიდებული. იგი რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოების არა მხოლოდ ცხოვრების შინაარსს, არამედ განაპირობებს ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებსაც. ამიტომაცაა დიამეტრალურად განსხვავებული განვითარებული, არასაკმაოდ განვითარებული (ახალი ინდუსტრიული) და განვითარებადი (მესამე სამყაროს) ქვეყნებია. სწორედ ეს არის მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა, განვითარების გენერალური კურსი, რაც სამყაროს კიდევ უფრო დიფერენცირებულს და კონტრასტულს ხდის. ერთი რამ კი ცხადია, — დღეს მსოფლიოში არ არსებოს წინააღმდეგობა მაღალ ტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტიანი პროდუქცია

განაპირობებს.

თანამედროვე პირობებში საზოგადოებაში გლობალიზაციას უფრო ნეგატიური დატვირთვა აქვს, ვიდრე პოზიტიური. იგი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შევასდეს. იგი ორივეს მოიცავს, მისგან გვერდზე გადგომა არ შეიძლება, რადგანაც ეს ქვეწის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს.

გლობალიზაცია მიზეზშედევობრივ კავშირშია ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესთან. იგი არამატელოდ აახლოვებს ქვეწის ერთმანეთან, არამედ ურთიერთდამოკიდებულსაც ხდის. შესაბამისად, იგი აჩქარებს ცალგულ ქვეწის და საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმს და ეკონომიკას. ხელს უწყობს პარტნიორულ ურთიერთობებს, რესურსების ეფექტურ გამოყენებას, გამოგონებების მოკლე დროში დანერგვას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას და მრავალი სხვა.

21-ე საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკის განვითარების ახალ მოდელს, სადაც წინა პლანზეა წამოწეული ცოდნის დაგროვება, ინოვაციური ეკონომიკა, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ინტელექტუალური კაპიტალი, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები. ცნობილია, რომ ბაზარი კონკურენციის გარეშე არ არსებობს. კონკურენცია გასცდა ერთი ქვეწის ფარგლებს, იგი გახდა განვითარების ინდიკატორი და განსაზღვრავს თითოეული ქვეწის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. უახლოეს წარსულში ქვეწის კონკურეტულ უპირატესობას განსაზღვრავდა მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, იაფი სამუშაო ძალის სიჭარე, ბიუჯეტი, ვალუტის სიმყარე, მენეჯმენტი და სხვა. თუმცა ეს ფსქულობები ამჟამდაც მნიშვნელოვანია, მაგრამ გავლენას ვერ ახდენს ქვეწის კონკურენტუნარიანობაზე. მსოფლიო პრაქტიკაში არ დაადასტურა ასეთი მიდგომის უტყუარობა და ამის მკაფიო მაგალითებია რესურსებით დაფიციტური იაპონიის და კორეის წარმატებები, სამუშაო

ძალის სიმცირის პირობებში – გერმანის, შვეციის, შვედეთის და ა.შ. განვითარება.

21-ე საუკუნე აღიარებულია ინოვაციების, ცოდნის, ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში შედარებითი უპირატესობის თეორია ადგილს უთმობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორიას, რომელიც გასცდა წარმოების ხარჯების ანალიზს და აქცენტს აკეთებს ისეთ ფასულობებზე, როგორებიცაა: ნოუ-ჰაუ, ხარისხი, ბაზრისადმი ახლებური მიღვომა, ახალი დიზაინი და ა.შ. გლობალიზაცია ახდენს თავისუფალი ვაჭრობის რეალიზაციას. საქართველო ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული.

გლობალიზაციის ძლიერი ტენდენციები დღეს გარდაუვალია, რომელსაც ბევრ პოზიტიურთან ერთად, ახლავს საემაოდ გამოკვეთილი ნეგატიური შედეგები. გარკვეული თვალსაზრისით იგი საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყნებსა და ერებს, უარყოფით გავლენას ახდენს ლოკალურ კულტურაზე. გართულებულია მცირე, სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება. ეს ქვეყნები ნაკლებად აგტონომიურია, შეზღუდულია მათი ეკონომიკური სუვერენიტეტი, ამასთან ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებების შენარჩუნების ნაკლები უნარი აქვთ, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ მსოფლიოს წესრიგის განსაზღვრაში.

საერთაშორისო დონეზე მართული პოლიტიკური გადაწყვეტილებები უმეტესად კონტროლდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სავაჭრო ბლოკებს, მსოფლიო სააგენტოებს და მთავარ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით. თანმედროვე პირობებში ბაზრის გაზსილობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, მას თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არ ჰყავს. არც ეპროკავშირს და არც იაპონიას არ შეუძლია ამ როლის შესრულება. დღეს მცირე ქვეყნების

ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ბაზრების ძალებმა დაჩრდილა. მათ აღარ შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა.

მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მნელდება. ამიტომ ეროვნული ეკონომიკების ეფექტიანი მართვის ფუნქციები მკვეთრად ეცემა, ინვესტიციები და ფინანსური წყაროები შეზღუდულია.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად თავს იჩენს განვითარებად ქვეყნებში. გლობალიზაციის პროცესი, ბუნებრივია, არ შეიძლება რომელიმე ერთი მოდელით (ამერიკულით, ევროპულით, იაპონურით, ჩინურით) განვითარდეს. მას ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც ქვეყნის მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონში, არამედ ცალკეულ ქვეყნებშიაც სპეციფიკურობით ხასიათდება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც მრავალი პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ თავისი ორიგინალობით მან მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება.

კვაზისოციალისტური სისტემის ნგრევის შედეგად საქართველო გლობალიზაციის მსოფლიო პროცესების მონაწილე გახდა და ახალი ამოცანები დაისახა თავის განვითარებაში. ის გარემოება, რომ საქართველო არის სატრანზიტო ქვეყანა, დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას – დაიკავოს საკუთარი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. ამ მიმართულებით გადადგმულია გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები, რაც ხელს შეუწყობს გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას. მიუხედავად ამისა, მანც აქტუალურია კითხვები, – რამდენად პასუხობს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიზაციის გამოწვევას? არის თუ არა ქვეყანა მზად, აითვისოს გლობალიზაციის პოზიტიური შედეგები და სწრაფად მოახდინოს ეკონომიკის

მოდერნიზაცია, ისე როგორც ეს გააკეთა ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის „აზიურმა ვეფხვებმა“, რომელსაც 10-15 წელი დასჭირდათ, რომ დაეძლიათ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სტატუსი მიეღოთ.

მიუხედავად პოზიტიური ძერებისა, საქართველო ჯერ კიდევ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ოცოდე წელი გავიდა და ამ წნის მანძილზე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიც კი არ დასრულებულა. კვაზიდებოკრატია აფერხებს ეკონომიკის განვითარებას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. საქართველომ ისიც ვერ შეძლო, რომ მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოების 1990 წლის ღონისათვის მიეღწია. უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა საქმიანი გარემო. ჯერ კიდევ ირლვევა კონტრაქტები, სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციისაგან ქვეყანამ თავი ვერ დააღწია. სათანადოდ არ არის კერძო საკუთრება დაცული. პრივატიზაცია, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობიდან საქართველოს გამოსვლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ათვლის წერტილია, ქვეყნისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ის „ველური კაპიტალიზმი“, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში, სწორედ პრივატიზაციის შედეგია, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას, ეკონომიკურ ზრდას. სწორედ მის შედეგია ის, რომ ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა.

გლობალიზაცია ზოგჯერ ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებს დაბალი ხარისხისა და ფალსიფიცირებული იმპორტირებული ნაწარმის გამსალებლად გადააქცევს. ეს საფრთხე სწორედ საქართველოსაც არ ასცდა. საქართველო ვერ გახდა ექსპორტზე ორიგინტირებული ქვეყანა, თავი ვერ დააღწია უარყოფით სავაჭრო ბალანსს, საქართველოში მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა. ეკონომიკურად აქტიურად მოსახლეობის მხოლოდ 59%-ია დასაქმებული, ამასთან დასაქმებულთა ნახევარზე

მეტი თვითდასაქმებულია, ისიც სოფლის მეურნეობაში. მთელი მოსახლეობის მეოთხედი უცხოეთშია საშოკარზე გადახვეწილი. უმუშევართა რიგების ზრდის ახალი ტალღა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ექსპერტების შეფასებით, უმუშევრობის შსხვერპლი მოსახლეობის მინიმუმ 25%-ია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა – მზად არის თუ არა საქართველო, რომ აღუდგეს წინ გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს, დაიცვას ეროვნული ტრადიციები, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, რელიგიურ-ზნეობრივ ფასეულობები, ეკოლოგია და, რაც მთავარია, მკვიდრი მოსახლეობა.

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლების და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. საქართველოში ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ გადარჩენაზე, ერის გადარჩენაზე.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის წინსვლა ეროვნული ფასეულობების დაცვისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარეშე, შეუძლებელია. სამწუხაროდ, საქართველო დღეს არ არის მზად, გამოიყენოს პოტენციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს. უცხოურ მოდელზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა, გარკვეულწილად იმ დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანიც არ არის მყარი ეკონომიკის შექმნა, პირიქით, იგი ქვეყნის ქრონიკული ჩამორჩენილობის საფუძველია.

მიუხედავად პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი – გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პოლიტიკები. უცილებელია გავიაზროთ პასუხისმგებლობა ზვალინდელი დღის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავერკვით – საით მივდივართ, როგორ ეკონომიკურ სისტემას ვაშენებთ და როგორი ქვეყნის აშენება დაგისახეთ მიზნად.

დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა – სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენი მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გაცემთ შთამომავლობას. ამათ გარეშე, ჩვენ „ჩვენ“ არ ვიქნებით და მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენგანის წმინდათა წმინდა ვალია.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკას წესების გარეშე ამ წესების დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელმაც მიზნად ასეთი ეკონომიკის შექმნა დაისახა. ამიტომ გლობალიზაციის პირობებში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფო ურივი დამოუკიდებლობა საკუთარი ეკონომიკის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიის განვითარების საფუძველზე და ეროვნულ ნიადაგზე ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- რ. ასათიანი, გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბ., 2010
- ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005
- ე. მექაბიშვილი, ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009

ნინო სანადირაძე,

**საქართველოს მოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

კულტურული იდეუსტრიის ფუნდაციონირების ეპონიმიკური და სიმრთლებრივი ფორმები

კულტურა, როგორც შეთანხმებათა სისტემა, მოიცავს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის, ტრადიციების დაცვასა და გავრცელების ხელშეწყობას, განათლებას, ხელოვნების და კულტურის საშუალებით სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებასა და სფეროს ორგანიზება-მართვას. სახელმწიფო, კულტურის სფეროს აქტიორებთან ერთად, წარმოადგენს პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს. სახელმწიფოს კულტურის სფეროში მონაწილეობის თანამედროვე ფორმა – გამოიხატება კულტურული მოღვაწეობის კოორდინაციასა და რეგულირებაში, რომელიც თითოეული მოქალაქისთვის კულტურაზე ხელმისაწვდომობასთან, ხელოვნებისა და შემოქმედების ყველა სხვა სახეობის მხარდაჭერასთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებში საკუთარი კულტურის გატანასა და გავრცელებასთან ასოცირდება. კულტურის ინდუსტრიის ფუნქციონირებისა და საქმიანობის შედეგების განხილვისას მკვლევრები, უპირველეს ყოვლისა, რაოდენობრივ (მოცულობა ფასის მიხედვით) და ხარისხობრივ შეფასებაზე ამახვილებენ ფურადღებას (კულტურული კეთილდღეობის მწარმოებელი კულტურული ინდუსტრიის სხვადასხვა ფორმის ურთიერთთანამშრომლობა) და სწორედ მის საფუძველზე კეთდება დასკვნა, თუ რამდენად ეფექტურია მათი საქმიანობა. აქვე აღსანიშნავია სივრცობრივი ასპექტი, რომელიც საშუალებას იძლევა, კულტურის სფეროს საქმიანობა განიხილოს როგორც განვითარების, ასევე მისი იმ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ კომპლექსთან კავშირის მიხედვით, სადაც ის არის გავრცელებული. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია ადმინისტრაციული ბარიერების

გადალახვის დროს, მოცემულ სივრცეზე შესვლის ან შემდგომი ოპერირებისთვის. მეწარმეობა კულტურაში ადამიანური საქმიანობის სპეციფიკური სფეროა, რომელიც კულტურისა და ბიზნესის ინტეგრაციის შედეგად წარმოიშვა. იგი დამახასიათებელია საბაზრო ურთიერთობის წარმოშობის, განვითარებისა და ტრანსფორმაციის პერიოდისთვის, რომელიც იქმნება და რეალიზდება საზოგადოებრივი განვითარების ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული მოდელის ჩარჩოებში. მეწარმეობას კულტურაში სხვადასხვაგვარი გავება გააჩნია, ამ საქმიანობის სპეციფიკა მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნის სასაზღვრო ზონაში წარმოშობა. მეწარმეობა უნივერსალური მოვლენაა და დამახასიათებელია ადამიანური საქმიანობის განსხვავებული სფეროებისთვის. მისი წყაროები უშაალო კავშირშია მატერიალურ და კომერციულ საქმიანობასთან. 90-იანი წლების ბოლოს, განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიული დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება, ვითარდება და შესაბამისად მაღალია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)¹ და მთლიანი დამატებითი ღირებულების მაჩვენებლები (დღგ), ასევე კულტურის ინდუსტრიული უზრუნველყოფებ მუდმივად შრომის ბაზაზე კადრების ცვლას, შესაბამისად, მუდმივად სტაბილური და მაღალია დასაქმების დონეც. კულტურა არა მარტო სხავადასხვა ტიპის სარგებლით (სოციალური), ირიბის სოციალური, ეკონომიკური და ირიბი ეკონომიკური) ახდენს ზეგავლენას, არამედ აუმჯობესებს ქვეყანათა იმიჯსა და საგარეო სავაჭრო პოზიციას. კულტურის სექტორს არა მარტო ეკონომიკის ზრდა შეუძლია, არამედ შესაძლებლობას იძლევა ხელი შეუწყოს შემოქმედებითობას და ინოვაციებს ეკონომიკის სფეროში. კულტურის სფეროს ინდუსტრიული სულ უფრო მეტად ხდება თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი. 21-ე სუკუნის

¹ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) - კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში გარკვეული დროის მანძილზე წარმოშოული (შექმნილი) საქნლისა და მომსახურების რაოდენობა;

პირველი ათწლეული მიჩნეულია, როგორც კულტურის მონაწილეობით ეკონომიკის განვითარებაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების ათწლეულად, რის შედეგადაც იგი გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურ სეგმენტად არის მიჩნეული. კულტურის პროდუქტების წვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) სახით მუდმივად იზრდება. ბოლო წლების მანძილზე დათვლილია, რომ შემოქმედებითი სექტორი წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკის მშპ-ს 7.3 %-ს, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის საშუალო მაჩვენებელი კი 2010-2012 წლებში იყო დაახლოებით 8.3 %, უახლოესი კვლებით კი ცნობილია, რომ მან შესაძლოა 10 %-საც მიაღწიოს.¹

მიუხედავად სამეცნიერო წრეებში გავრცელებული სხვადასხვაგვარი მოსაზრობებისა, შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ კულტურის 2 საქციფიური ინტერპრეტაცია:

1. კულტურა, როგორც ღირებულებებისა და ადაოების ერთობლიობა, რომელიც ახდენს ადამიანთა გაერთიანებასა და იდენტიფიცირებას სხვადასხვა ჯგუფად.

2. კულტურა, როგორც „შემოქმედებისა და საგნების სხვადასხვა სახეობათა ერთობლიობა“, რომელსაც ქმნიან და სარგებლობებ ადამიანები.

კულტურაზე საუბრისას კი მნიშვნელოვანია სფეროს მართვის საკითხების გაცნობიერება. კულტურის სფეროს მენეჯმენტი სფეროს მართვა-ორგანიზებას გულისხმობს და გამორიცხავს კულტურის, როგორც სისტემის ორგანიზების ცნებას. კულტურა თვითმართვადი პროცესია და გარდა კულტურის სფეროს მართვის საკითხებისა, სხვა სფეროებისა და საზოგადოებრივ საკითხებსაც გულისხმობს (როგორებიცაა განათლება, გემოვნება, სამოქალაქო ღირებულებები, სოციალური კონტექსტი, ეკონომიკური სისტემა და სხვა).

ცნებაში – „კულტურის სფერო“ – იგულისხმება საწარმოთა, დაწესებულებათა და არაკომერციულ

¹ Measuring the economic contribution of cultural industries. 2009 FRAMEWORK FOR CULTURAL STATISTICS HANDBOOK NO. 1 canada: UNESCO Institute for Statistics, 2012.pg 12 (ჩემი თარგმანი - ნ.ს.)

ორგანიზაციათა ერთობლიობა, ორმლებიც, ოფიციალური კლასიფიკაციის თანახმად, განეკუთვნება კულტურისა და ხელოვნების ქმნილებების, არამატერიალური მომსახურების მწარმოებელ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სექტორს. კულტურის სფეროს განვითარების დაგეგმვა უნდა წარმოადგენდეს მიზნობრივი ორიენტაციისა და აუცილებელი შედეგების მიღწევის, კულტურის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობის უფექტურობის ამაღლების, საზოგადოებისთვის კულტურის სფეროს მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას.

კულტურის სფეროს მენეჯმენტზე საუბრისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: კულტურის სფეროს მართვის პროცესები დამოკიდებულია არა მარტო სოციალურ-კულტურულ კონტექსტზე და სოციალურ-კულტურულ გარემოზე, არამედ, თავადაც იძენს სოციალურ-კულტურულ ნიშან-თვისებებს.

კულტურის სფეროს ინდუსტრიებზე საუბრისას კი გასათვალისწინებელია სფეროსა და პროდუქტის სპეციფიკური თავისებურებები, დღევანდელი თემის მთავარ საკითხს კი მომზარებლიოსა და პროდუქტების სივრცობრივი და ეკონომიკური მახასიათებლები წარმოადგენს, რადგანაც მომზარებლთა სეგმენტაცია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით წარმოებს და სეგმენტაციას კონკრეტული სფერო ან პროდუქტი განაპირობებს.

კულტურის სფეროს საწარმოო ბაზარზე პროდუქტი არის სარგებლისა და ფასეულობათა ნაკრები, რომელსაც სხვადასხვანაირად აღიქვამს მომზარებლი. პროდუქტი შეიძლება დავახასიათოთ მისი ტექნიკური ან სიმბოლური მახასიათებლების მიხედვით. რასაც მომზარებელი ყიდულობს, არის სარგებლის ნაკრები, რეალური იქნება ეს თუ წარმოსახვითი. მომზარებელი თანხმდება რომ გადაიხადოს ფული და მიიღოს გარკვეული პროდუქტი თავისი სურვილების ან თავისი საჭიროებების გათვალისწინებით.

პროდუქტი შედგება რამდენიმე დამატებითი ელემენტისგან, რომელიც მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის. პროდუქტების უმეტესობა ხასიათდება შემდეგი ძირითადი კომპონენტებით:

- ძირითადი პროდუქტი ან თვით ობიექტი.
- თანმხლები მომსახურება.
- სიმბოლური, ემოციური ან რაიმე სხვა ფასეულობა, რომელიც მომხმარებლებს ამ პროდუქტთან აკავშირებს.¹

კულტურის პროდუქტი არის საქონელი ან მომსახურება, რომელიც ღირებულია თავისი მნიშვნელობით და გააჩნია სხვადასხვა ფასეულობა. კულტურის პროდუქტის ღირებულება გამოიხატება იმაში, რომ თითოეული მომხმარებელი მას სხვადასხვანაირად აღიქვამს და სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციით წარმოიდგენს. ეს არის პროდუქტები, რომლებსაც მომხმარებელი მოიხმარს თავის წარმოდგენებას და აღქმებში და არა სხვადასხვა პრაქტიკულ მდგომარეობაში რომელიმე პრაქტიკული პრობლემის გადასაჭრელად.² კულტურის სფეროს პროდუქტების მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ისინი განსაკუთრებულ პროდუქტებად განიხილებიან და რთული პროდუქტების რიცხვს მიეკუთვნებიან. კულტურის სფეროს პროდუქტის სირთულე დამოკიდებულია თავად პროდუქტის სპეციფიკურ თავისებურებებზე, მომხმარებლის მიერ მინიჭებულ მახასიათებლებზე და მომხმარებლის მიერ პროდუქტის აღქმაზე. ზოგი პროდუქტი მიჩნეულია რთულ პროდუქტად მათი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რადგანაც მომხმარებლისგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას და ცოდნას, რომ აღიქას და შეაფასოს პროდუქტი. კულტურის პროდუქტები განსაკუთრებით მაშინ განისაზღვრება რთულ პროდუქტებად, როცა მომხმარებლისგან მოითხოვს

¹ Colbert, Francois. *Marketing culture and the Arts.Third Edition.* canada, ISBN 978-9808602; 2007. pg 31 (ჩემი თარგმანი – 6.ს.)

² Phillips, Thomas B. Lawrence and Nelson. "Understanding Cultural Industries", *Journal of Management Inquiry*, DOI: 10.1177/1056492602238852; 2002. p431, <http://jmi.sagepub.com/cgi/content/abstract/11/4/430> (ჩემი თარგმანი – 6.ს.)

სპეციფიკურ ცოდნას და განსაკუთრებულ შეფასების უნარს. სირთულე უფრო იზრდება, როცა მომხმარებელი არ იცნობს პროდუქტის თავისებურებას კარგად და ნაკლები გამოცდილება აქვს მასთან მიმართებაში. კულტურის სფერო ასევე მოიცავს ნაკლებად რთულ პროდუქტებს, რომლებშიც გამოყენებულია კონკრეტული, მარტივი იდეები. ამ პროდუქტებს ხშირად პოპულარულ პროდუქტებსაც უწოდებენ.

კულტურის პროდუქტები ასევე ხასიათდება სხვადასხვა განზომილებიან პროდუქტებად და განისაზღვრება კულტურის პროდუქტის მხატვრული ღირებულების სამი განზომილების სახელით, ესენია: შედარებითი, ტექნიკური და არაძირითადი ანუ მეორეხარისხოვანი განზომილებები.

შედარებითი განზომილება – მომხმარებელს საშუალებას აძლევს სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით (დარგი, ჟანრი, ისტორია, ა.შ) განიზილოს და აღიქვას პროდუქტი. შედარებითი განზომილების ზრდა ან დაპატარავება დამოკიდებულია მომხმარებლის ინდივიდუალურ ცოდნასა და გამოცდილებაზე პროდუქტის შესახებ. ეს განზომილება განსაზღვრავს პროდუქტს როგორც ამჟამად, ასევე ადრე არსებულ პროდუქტებთან შედარებით. შედარებათა სისტემის სირთულე აგრეთვე ხსნის, თუ რატომაა ზოგიერთი კულტურის პროდუქტი მეორეზე პოპულარული. მაგრამ იმისათვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ პროდუქტები, საჭიროა ვიცოდეთ სხვადასხვა ათვლის წერტილი, სწორედ ამიტომა კრიტიკოსების ამოცანაც ასეთი რთული.

ტექნიკური განზომილება შეიცავს პროდუქტის ტექნიკურ და მატერიალურ კომპონენტებს იმ სახით, რა სახითაც მომხმარებელი იღებს მათ. ეს შეიძლება იყოს თავად პროდუქტი ან ნაწარმოების შესრულების კომპონენტი. ნებისმიერ შემთხვევაში ტექნიკური განზომილება გავლენას ახდენს პროდუქტის ხარისხზე.

არაძირითადი ანუ მეორეხარისხოვანი განზომილება დაკავშირებულია წარმოსახვით გარემოებებთან, რომლებიც ახლავს პროდუქტის აღქმას. ხელოვნების ნაწარმოების

ორჯერ ერთნაირად ნახვა შეუძლებელია – ერთი და იმავე ადამიანისთვისაც კი. მომხმარებლის აღქმა კულტურის შეფასების ძირეულ და გარდაუვალ კომპონენტებს წამოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას იმ კონტექსტის აღქმაზეც, რომელშიც წარმოდგენილია პროდუქტი. ადამიანს, რომელიც აღიქვამს პროდუქტს, შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა განწყობა, ფიზიკური მდგომარეობა და ა.შ., რომელიც განსაზღვრულ როლს თამაშობს პროდუქტის საერთო აღქმაში და გავლენას ახდენს მომხმარებლის შეხედულებაზე. მომხმარებლის აღქმა კულტურის ყველა პროდუქტისთვის მნიშვნელოვანია და განსაზღვრულ როლს თამაშობს საშემსრულებლო ხელოვნებაში, სადაც მსახიობის განწყობილება, ფიზიკური მდგომარეობა და მის მეტ მაყურებლის თუ მსმენელის რეაქციის აღქმა, ასევე წარმოადგენს არაძირითად ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს პროდუქტის ხარისხზე და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კულტურის პროდუქტი შეუძლებელია ორჯერ არ მეტჯერ იყოს ერთნაირი.¹

კულტურის სფეროს მომხმარებელთა სეგმენტაცია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით წარმოებს, რომლებიც 4 ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ორი – აღწერითი ხასიათისაა (გეოგრაფიული და დემოგრაფიული სეგმენტაცია), მეორე ორი კი – ქცევითი (სეგმენტაცია სამომხმარებლო ქცევისა და ფინანსურული მიხედვით). რაც უფრო სრულყოფილადაა შესწავლილი და დახასიათებული სეგმენტი, მით უკეთ პროგნოზირებადია მისი სამომხმარებლო ქცევა.

კულტურის სფეროს მომხმარებლის ერთი პარამეტრით დახასიათება, როგორც წესი, საქმარისი არ არის. ერთნაირი დემოგრაფიული და ეკონომიკური მონაცემების მქონე ინდიკატორებს სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებები შეიძლება ჰქონდეთ და სრულიად განსხვავებულად იქცეოდნენ: ზოგი მათგანი ფუფუნების საგნებისაკენ იყოს მიღრეკილი, ზოგი

¹Colbert, Francois. *Marketing culture and the Arts.Third Edition.* canada, ISBN 978-9808602; 2007. pg 33-35 (ჩემი თარგმანი – ნ.ს.)

კი – პრაქტიკულისაკენ. ამიტომ მკვლევრები პროდუქტების პოზიციონირებისას ჯვარედინ სეგმენტაციას მიმართავენ: ერთი პარამეტრით სეგმენტირებულ მომხმარებელთა ჯგუფებში კიდევ გამოიყოფა სხვადასხვა სეგმენტი სხვა, მეორადი პარამეტრის მიხედვით. მაგალითად, 18-24 წლის მომხმარებლები ასაკით ერთ დემოგრაფიულ სეგმენტს წარმოადგენენ, თუმცა, სამომხმარებლო ბაზრის მკვლევარი (მარკეტერი), შესაძლოა, დაინტერესდეს, თუ როგორ იყოფა ეს ასაკობრივი ჯგუფი ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა შემოსავალი, სქესი და სხვა.

ბაზარზე ბრენდის სწორი პოზიციონირებისათვის და სარეკლამო კამპანიის ეფექტურიანად წარმართვისათვის აუცილებელია მომხმარებლის ფსიქო პროფილის დადგნა. ბრენდი მომხმარებლისათვის მიმზიდველი რომ გახდეს, ის ისეთი მახასიათებლებით უნდა გამოიჩინოდეს, რომლებიც ყველაზე ახლოს იქნება მის შინაგან სამყაროსთან ანუ ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემებთან. სწორედ მომხმარებლების ფასეულობათა სისტემა მიგვითითებს იმ მიმართულებებსა და შეტყობინებებზე, ხშირად სარეკლამო და საკომუნიკაციო გზაგნილებზე, რომლებსაც მომხმარებლის მოსაზღდად იყენებენ.

ბაზრის მრავალგანზომილებანი – ანუ რამდენიმე პარამეტრის მიხედვით – სეგმენტირების შემთხვევაში, ფსიქოგრაფია ძირითადი კომპონენტია. მომხმარებელი ჯერ ფსიქოტიპების მიხედვით ხასიათდება და შემდგომ ხდება მეორადი სეგმენტაცია – თითოეული ფსიქოტიპის დემოგრაფიული, გეოგრაფიული ან ქცევითი მახასიათებლების გამოვლენა.

კომპანიის ურთიერთობა მომხმარებელთან მით უფრო წარმატებულია, როცა ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ მეტნაკლებად ცნობილია. მომხმარებლის ქცევის, მოტივაციების და დამოკიდებულებების ცოდნა გვეხმარება მათვის მაქსიმალურად მიმზიდველი პროდუქტის წარმოებაში. მენეჯერმა, რომელსაც სურს კულტურის სფეროს სწორი

პოზიციონირება, უნდა განსაზღვროს მომხმარებელთა ზუსტი მოთხოვნილებები, უნდა იცოდეს სხვადასხვა ტიპისა და სოციალური ფენის წარმომადგენლების საჭიროებები, მოთხოვნილებები და ასევე თვისებები – რატომ ყიდულობს ესა თუ ის მომხმარებელი სხვადასხვა ტიპის კულტურის პროდუქტს.

მომხმარებელთა ქცევების ანალიზი თითქმის ყოველთვის დაფუძნებულია პროდუქტის შეთავაზების ტიპზე. მომხმარებლები ხშირად აფუნქციური თავიანთ გადაწყვეტილებებს გარკვეულ ინფორმაციაზე, ეს ინფორმაცია შეიძლება დაყოოროვნობით აუტეგორიად: შიდა ანუ წინა გამოცდილება და გარე ანუ პროდუქტის ტიპზე დამოკიდებული. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს ცვლადის სამი მთავარი ტიპი. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და განსაზღვრავენ მომხმარებლის შენაძენთან დაკავშირებულ მოტივაციას. ეს სამი ტიპია:

- დაკავშირებული უშუალოდ მომხმარებელთან;
- შენაძენის კონტექსტთან;
- სიტუაციასთან;

მომხმარებლის საქციელი ეფუძნება გარკვეული ინფორმაციის მოცულობას, რომელიც უკვე დამუშავებულია გადაწყვეტილებების მიღების კონკრეტულ პროცესებთან შეთავსებით. ეს პროცესები, თავის მხრივ, ეფუძნება ძირითად სამეულს: „ინდივიდუ-პროცესი-სიტუაცია“. სამეულის ანალიზისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორც ბაზრის დინამიკა და სეგმენტი, ასევე მომხმარებელი, შესყიდული პროდუქტი და შესყიდვის სიტუაციაც.

იმისათვის რომ გავიგოთ, მომხმარებლები რა მოტივით იქცევიან სხვადასხვანაირად, საჭიროა, შევისწავლოთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესები და კრიტერიუმები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ. ეს პროცესები ძნელი ასახსნელი იქნებოდა პროდუქტის ინდივიდუალური შესწავლის გარეშე.

მომხმარებელთა ქცევების შესწავლისას აუცილებელია

გავითვალისწინოთ, რომ მათთვის აუცილებელია მყარი საფუძველი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტივაცია, რომელიც მომხმარებელთა ქცევის საფუძველია. დაგეგმილი შეთავაზებებით შესაძლებელია პროდუქტის პრომოუშენის გაზრდა, რაც თავისთავად გაყიდვების გაზრდასც განაპირობებს. თუმცა, დიდი სიფრთხილეა საჭირო ამა თუ იმ პროდუქტის პრომოუშენისას,¹ რადგანაც არასწორმა შეთავაზებამ შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს და საერთოდ დააფრთხოს მომხმარებელი. შეთავაზების დაგეგმვისა და მზადებისას, ყველა უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ ამ შეთავაზებამ არცერთი მომხმარებელი არ დატოვოს გულგრილი და თითოეულ მათგანს აღუძრას ამ პროდუქტის ყიდვის სურვილი. პროდუქტის ყიდვის მოტივაცია ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მომხმარებლის გამოცდილებასთან. ჩართულობას და მოტივაციას, როგორც ორ მნიშვნელოვან ცვლადს, დიდი გავლენა აქვს მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. „მომხმარებლისთვის აუცილებელია მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანს ხდის გადაწყვეტილების პროცესს. რაც უფრო დიდია ინფორმაცია შეთავაზებულ პროდუქტზე, მომხმარებელი უკეთ ხედავს უპირატესობას კონკურენტ პროდუქტებთან შედარებით და მომხმარებლის ჩართულობა, თუ ასეთი არსებობს, რეალურად უპირატესი ხდება“.²

ტერმინს „ჩართულობა“ სხვადასხვაგვარი განმარტება აქვს და შეიძლება გავიგოთ, როგორც მნიშვნელოვანის ანდა პირადი დაინტერესების შეგრძნება, რაც დაკავშირებულია მოცემულ სიტუაციაში პროდუქტის მონაცემებთან. ჩართულობის ანალიზისას გასათვალისწინებელია რისკი და მისი ფუნქცია. მომხმარებლებზე საუბრისას განიხილება სამომხმარებლო

¹Promotion – მარკეტინგის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია და ბრენდის წარმოჩნდისათვის მიმართულ მოქმედებების ერთობლიობას აღნიშნავს. პრომოუშენის მიზანი მომხმარებლის შენარჩუნება და მოზიდვაა.

² სანადირაძე ნინო. კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმვარება. თბილისი, გამომცემლიბა „კენტავრი“, 2011. გვ. 33-34

რისკის რამდენიმე ტიპი, პროდუქტის ყიდვისას გავლენის
მომხდენი რისკის მთავარ ტიპებად სახელდება:

- ფუნქციური
- ეკონომიკური
- ფინანსური
- სოციალური

მოკლედ განვიხილოთ თითოეული რისკის ტიპი:

ფუნქციური რისკი – კულტურულ პროდუქტებთან
მიმართებაში ფუნქციური რისკი საკმაოდ დიდ ზეგავლენას
ახდენს მომხმარებელთა ქცევებზე. რისკის ეს ტიპი
შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმის შესაძლებლობა,
რომ პროდუქტი არ ამართლებს მომხმარებელთა მოლოდინს.
ეს რისკი ჩევულებრივია მომსახურების და კულტურის
სფეროში, სადაც, როგორც წესი, მომხმარებელს არ
შეუძლია პროდუქტის ტესტირება/გასინჯვა შეძნამდე. თუმცა
მომხმარებელს შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ფუნქციური
რისკი, თუ მიიღებს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას ამა თუ
იმ პროდუქტის, მაგალითად სპექტაკლის შესახებ, რომლის
ნახვასაც აპირებს, ან იმ წიგნის შესახებ, რომლის ყიდვაც
სურს. მეგობრის რჩევასა და მოსაზრებასაც შეუძლია ასევე
ამ რისკის შემცირება. ამ რისკის შემცირების სხვა მეთოდი
გამიზნულია პროდუქტის შემქმნელების რეპუტაციაზე. როცა
იცი, რომ მისი შემქმნელის რეპუტაცია მნიშვნელოვანია,
მაშინ გადაწყვეტილების მიღება არცთუ ისე რთულია და
ფუნქციური რისკიც არც ისე მაღალია. მაგალითად, როცა
საქმე ეხება რობერტ სტურუს სპექტაკლებს, მაყურებელი
დარწმუნებულია მის ხარისხში და ფუნქციური რისკიც თითქმის
მინიმუმამდეა დაყვანილი. შესაბამისად, გადაწყვეტილებაც
მარტივი მისაღებია.

ეკონომიკური რისკი – ყველაზე მარტივი გასაგებია. რაც
უფრო ძვირია პროდუქტი, გადაწყვეტილება მით უფრო რთული
მისაღებია. ასეთ დროს, მაყურებელი ხშირად აღტერნატიულ
ვარიანტს ირჩევს, რომელსაც შედარებით მისაღები ფასი
აქვს. სწორედ ამიტომ ხელოვნების სფეროში მოღვაწე

ორგანიზაციები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ საზოგადოების იმ ნაწილის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რომელზეცაა გათვლილი მათი პროდუქცია და ცდილობდნენ, რომ ბილეთის ფასი იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთათვის.

ფსიქოლოგიური რისკი – კულტურის პროდუქტის მოხმარებისას ფსიქოლოგიური რისკის ქვეშ ხვდება ნებისმიერი ტიპისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი. ფსიქოლოგიური რისკი შეიძლება განისაზღვროს, როგორც რისკი, დაკავშირებული შენაძენთან ან პროდუქტის მოხმარებასთან, რაც უთანხმოებაში მოდის საკუთარ თავზე მომხმარებლის სასურველ წარმოდგენასთან.

სოციალური რისკი – ფსიქოლოგიური რისკის მსგავსად, დაკავშირებულია საკუთარ თავზე მომხმარებლის ინდივიდუალურ წარმოდგენასთან. სოციალური რისკი კავშირშია იმასთან, თუ როგორი წარმოდგენა აქვთ სხვებს მასზე, როგორც ინდივიდზე და როცა მგრძნობიარენი არიან საზოგადოებრივი აზრისა და გარემოცვის შეხედულებების მიმართ. ასეთ შემთხვევაში, „ზოგიერთი ადამიანი დადის ამა თუ იმ თეატრში ან სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში მხოლოდ იმიტომ, რომ იყოს გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრი და შეიძლება ეს მისი ინტერესის სფეროს სულაც არ წარმოადგენდეს. ასეთი მაგალითები დღეისათვის მრავლადაა“.¹ გამოცდილება, ისევე როგორც ჩართულობა, ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას პროცესების სირთულეებზე. რაც უფრო დიდია გამოცდილება, მით უფრო მოკლეა გადაწყვეტილების მიღების პროცესი. უარყოფით გამოცდილებას ასევე შეუძლია დაჩქაროს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, თუმცა ნეგატიურად.

გადაწყვეტილების მიღების პროცესები – მარკეტინგის მქნევერისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ პროცესების გარკვევა, რომლითაც ხელმძღვანელობენ მომხმარებლები პროდუქტის შეფასებისას. რაც უფრო კარგად ესმის მენეჯერს

¹ Colbert, Francois. “Marketing culture and the Arts”. Third Edition. Canada, 2007. ISBN 978-9808602; p100-101 (ჩემი თარგმანი – ნ.ს.)

ეს საკითხები, მით უკეთესია კომპანიის მარკეტინგული სტრატეგია. გადაწყვეტილების მიღების პროცესები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე :

- დამოკიდებულება
- შემცნებითი პროცესი
- მეორეხარისხოვანი პროცესი
- ემოციური პროცესი
- ჩვევა
- იმპულსური შენაძენი
- ეკონომიკური კლიმატი
- ადგილი
- პერიოდი¹

დამოკიდებულება – გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც დაფუძნებულია დამოკიდებულებაზე, ითხოვს მნიშვნელოვან გამოცდილებას და მოცემულ კულტურულ პროდუქტში ჩართულობას. მომხმარებლის დამოკიდებულებაზე საუბრისას აღსანიშნავია კულტურული პროდუქტების მიმართ არსებული ერთიანი დამოკიდებულება და დამოკიდებულება კულტურული პროდუქტის კომპონენტების მიმართ. მსგავს იდეას კარგად უკეთებენ ექსპლუატაციას რეკლამაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროდუქტის სტიმულირების მიზნით გამოიყენება რომელიმე ცნობილი სახე. ემოციური მუსტი, რომელიც ასოცირდება სხვადასხვა ვარსკვლავთან, გადადის პროდუქტზე და უქმნის მას გარკვეულ რეპუტაციას. პროდუქტები, რომლებიც ასოცირდებიან განსაკუთრებულ მოვლენებთან – მშვენიერი მაგალითია დამოკიდებულების ასეთი გამოყენების, რათა მიაღწიო წარმატებას ან საზოგადოებრივ კეთილგანწყობას.

შემცნებითი პროცესი – იმ შემთხვევაში, როცა პროდუქტი ითხოვს ჩართულობის მაღალ დონეს, მომხმარებელი, როგორც წესი, იყენებს გადაწყვეტილების მიღების შემცნებით

¹ BIBLIOGRAPHY \| 1033 Colbert, Francois. “Marketing culture and the Arts”. Third Edition. Canada, 2007. ISBN 978-9808602; p103 (ჩემი თარგმანი – 6.ს.)

პროცესებს. შემეცნებითი პროცესის ანალიზისას მომხმარებელი ირჩევს პროდუქტს სხვადასხვა მონაცემის მიხედვით: სანახაობა, სანახაობის განსაკუთრებულობა, დამოკიდებულება ხარისხის მიმართ, ცნობილი პროდუქტი ან პროდუქტის ცნობილი კომპონენტები, რეპუტაცია, ფასი, ადგილი, დრო და სხვა.

ძალიან ხშირად კულტურის პროდუქტების და ხელოვნების შემთხვევაში, არჩევანის გაკეთება ხდება უნიკალურობის, ზოგიერთი კულტურული პროდუქტის ნოვატორობის ან მომხმარებლის მხრიდან კულტურის პროდუქტის შემეცნების შეფასების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში შემოქმედებითად მოაზროვნე მენეჯერს შეუძლია მიმართოს ინოვაციებს და მომხმარებლები ამით მოიზიდოს. შემოქმედებითი სამყარო ხომ ინოვაციურია და მენეჯერს უნდა შეეძლოს ამის თავის სასიკეთოდ გამოყენება. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ორგანიზაციები უნდა გახდნენ მასობრივი კულტურის გამავრცელებლები და მათი რეპერტუარი იქცეს მდარე მხატვრული ხარისხის მატარებლად. პირიქით, აუდიტორიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ერთად უნდა ხდებოდეს მისი მხატვრული გემოვნების თანდათანობითი დახვეწა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ორგანიზაცია მოიპოვოს პოპულარობა ხალხში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის მის მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებზე დასწრების სიხშირეს, რაც პირდაპირ პროპორციულია წლიური შემოსავლებისა. ანუ ორგანიზაციის შემოქმედება გახდება მოთხოვნადი და ის შეძლებს შემდგომ განვითარებას.

მენეჯერმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესების დამატებითი მექანიზმები, რათა გაიგოს მომხმარებელთა ქცევები. ამ დამატებით მექანიზმებს მეორეხარისხოვანი პროცესები და ემოციური პროცესები ეწოდება.

მეორეხარისხოვანი პროცესი – კულტურის პროდუქტების მომხმარებლები არჩევანისა და გადაწყვეტილების პროცესში ხშირად ირჩევენ გადაწყვეტილების ისეთ მეორეხარისხოვან პროცესებს, როგორებიცაა: მიბაძვა, რეკომენდაცია, დათმობა ან

სხვა. გადაწყვეტილების მიღების პროცესები ამ შემთხვევაში დამოკიდებულია მესამე მხარეზე, და აუცილებელია რომ ეს მესამე მხარე სარგებლობდეს მომხმარებლის ნდობით. კულტურისა და ხელოვნების პროდუქტების გაყიდვისას, მსგავსი როლი, უმეტეს შემთხვევაში, ჟურნალისტებს და კრიტიკოსებს ეკისრებათ ხოლმე.

ემოციური პროცესი – გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, განსაკუთრებით კულტურის სფეროს პროდუქტების მომხმარებლებში. ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესების უმეტესობა არ არის არც მთლიანად შემეცნებთი, არც მთლიანად ემოციური, პირიქით, ისინი წარმოადგენენ ორივე პროცესის ნაზავს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ეყრდნობა ემოციურ გამოცდილებას, რომელიც მომხმარებელს სიამოვნებას ანიჭებს. ასეთ დროს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია პროდუქტის შემადგენელი ელემენტები, მაგალითად, მომხმარებელი საქეტაკლზე შეიძლება იმის გამო მიღიოდეს, რომ საყვარელი მსახიობის ნახვა სურდეს და არა იმიტომ, რომ მისთვის ეს გარკვეული სპექტაკლი წარმოადგენს ინტერესის სფეროს.

ჩვევა – გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთი მექანიზმია, რომლითაც სარგებლობს მომხმარებელი. ნაწილობრივ ისევე, როგორც დამოკიდებულება, ჩვევა საშუალებას აძლევს მომხმარებელს, სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტთან დაკავშირებით. დამოკიდებულებასთან განსხვავებით, ჩვევას ჩართულობის უფრო დაბალი ხარისხი აქვს. ჩვევა მომხმარებელს აძლევს პროდუქტის არჩევის მსუბუქ და რუტინულ შესაძლებლობას.

იმპულსური შენაძენი – მომხმარებლის მიერ იმპულსურად მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხასიათდება ჩართულობისა და გამოცდილების დაბალი ხარისხით. ასეთი შენაძენი ყოველთვის დაუგეგმავად ხორციელდება. იმპულსური შენაძენისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მაპროცესირებელი დეტალები, როგორებიცაა: ფერი, ფასი, შეფუთვა, ნაცობი მელოდია, დამოკიდებულება და სხვა.

ეკონომიკური კლიმატი – ასევე განსაკუთრებულ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ მომხმარებელი შემოსავლების ნაკლებობას განიცდის და მარტივად რომ ვთქვათ, ეკონომიკურ კრიზისშია, ის ხშირად გადაწყვეტილების მიღების შემცენებითი პროცესით ისარგებლებს, ამ შემთხვევაში ფასი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

აღილი – კიდევ ერთი ელემენტია, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს ზეგავლენას. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ემოციური ან შეტყობინო სტიმულირების არსებობა ან არარსებობა განსაზღვრავს ამა თუ იმ პროცესების გამოყენებას.

პერიოდი – კულტურის სფეროს გაყიდვების პროცესზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს წელიწადის სხვადასხვა პერიოდი, რომლის განმავლობაში კეთდება შენაძენი.

როგორც უკვე აღნიშნეთ, კულტურის ეკონომიკასთან კავშირი არა მარტო თვალნათვლია, არამედ მნიშვნელოვანიც. ეკონომიკასთან კავშირი არათუ აქნინებს კულტურის სფეროს, არამედ პირიქით, მას უფრო ინტერაქტიულს, ცოცხალს ხდის და გამოყენების შესაძლებლობას მატებს. ხშირ შემთხვევაში, საუკეთესო შერწყმისათვის ერთიანდება ორი მიმართულება, კულტურა და კულტურის სფერო განიხილება, როგორც კულტურის რესურსები, როგორც შესაძლებლობები და აქტიურად ერთვება ეკონომიკისა და ტურიზმის მიმართულებაში.

ანა მარგველაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. ნინო სანადირაძე

კულტურის რესურსების აღმოჩენა – მუნიციპალური კულტურის განვითარების დაგეგმვისათვის

კულტურის დაგეგმვის საკითხებზე დასავლეთში¹ 70-იანი წლებიდან მიმდინარეობს მუშაობა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაც არსებობდა. მიიჩნეოდა, რომ კულტურა დაგეგმვას არ ეკვემდებარება და შეუძლებელია მისი ბიუროკრატიულ ჩარჩოებში მოქცევა.² აღნიშნულ მიდგომას განაპირობებდა კულტურის ტრადიციული გაგება, რომლის თანახმადაც „ხელოვნება და კულტურა პირველ რიგში ინდივიდს უკავშირდება, ხოლო საზოგადოება და განსაკუთრებით პოლიტიკა, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს მის განვითარებაში“.³ თუმცა, თანდათანობით, „კულტურა სულ უფრო მეტად განიხილებოდა, როგორც კონკრეტული ადგილის/ ადმინისტრაციული ერთეულის მიმზიდველობის, იმიჯისა და ეკონომიკური წინსვლის ფაქტორი“; მოხდა მისი დაკავშირება ეკონომიკასთან და მისი ჩართვა ქალაქ დაგეგმარებაში. დროთა ვითარებაში იცვლებოდა კულტურის დაგეგმვის მიმართ მიდგომები და მეთოდები, თუმცა კულტურის დაგეგმვა, განსაკუთრებით ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე, თითქოს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და საკმაოდ ფართო გამოყენება პპოვა: „საქმე ეხება არა კულტურული შემოქმედებითობის ბიუროკრატიულ ჩარჩოებში

¹ ქრძოლ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

² ბერნარდ ვაგნერი, კულტურის დაგეგმვა. კულტურის მენეჯმენტის მოკლე სახელმძღვანელო (Kompendium Kulturmanagement); გამომცემელი არმის ქლაინი. მიუნხენი 2004. გვ. 124

³ იქვე: გვ. 124

გამომწყვდევას და ხელოვნების პროცესებზე შინაარსობრივ ზეგავლენას, არამედ დაწესებულებებსა და ინსტიტუციებს, როგორც ამ კულტურული პროცესების მატარებლებსა და განხორციელების აღგილებს¹. ამგვარი დაგეგმვა, კულტურის სფეროს ექსპერტების აზრით, ქმნის გარეკონსტრუქციას კულტურის პროექტების განხორციელებისა და კულტურის პოლიტიკის მიზნების მიღწევისათვის.² სხვა საკითხებს შორის, მუნიციპალური კულტურის განვითარების გეგმისთვის, ხშირად ცალკე თავი ეთმობა კულტურის არსებული ინფრასტრუქტურის და ინვენტარის აღრიცხვებს.

სწორედ კულტურის, სხვადასხვა სერვისის, კულტურის ტურიზმის და ა.შ. დაგეგმვის ერთ-ერთ პირველად ღონისძიებად, ერთგვარ წინმსწრებ პროცესად შეიძლება მოვაზროთ მუნიციპალური კულტურული რესურსების აღწერა (ე. წ. მეფინგი) და რესურსების „რუკის“ შექმნა.

„მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსების აღწერა და ამ პროცესის შედეგად შემუშავებული დოკუმენტი (ე. წ. რუკა) – მუნიციპალური კულტურის პოტენციალის კატეგორიზაციის, კომპლექსური შესწავლისა და სისტემატიზაციის პირველადი, ერთგვარი მონაცემთა ბაზის შექმნას გულისხმობს, რომელიც ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურის მატერიალურ და არამატერიალურ ობიექტებს აღნუსხავს. იგი შეიძლება ემსახურებოდეს გამოყენებით მიზნებს და მკაცრად აღრიცხავდეს მატერიალურ, ხელშესახებ რესურსებს, ანდაც რუკა აერთიანებდეს უფრო სიღრმისულ, მრავალმზრივ სუბიექტურ გამოცდილებებს, განსხვავებულ სოციალურ აღქმებსა და ინტერპრეტაციებს“³.

კულტურის მეფინგის შედგენის პროცესი ორი განზომილებით ხასიათდება: რესურსებისა და საზოგადოების იდენტობის მეფინგი.

¹ იქვე: გვ. 124

² იქვე: გვ. 124

³ მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები. სათემო განვითარების ცენტრი, 2014. გვ. 34

1. რესურსების განზომილება გულისხმობს მატერიალური (ფიზიკური) კულტურის რესურსებს, რომლებიც ცნობილია თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და შესაძლებელია მათი საინფორმაციო სისტემებით იდენტიფიცირება.

2. საზოგადოების იდენტობის აღწერის განზომილება კი არამატერიალური კულტურის რესურსებს მოიცავს, რაც თავის თავში უნიკალურ ისტორიებს, ღირებულებებს, ტრადიციებს, ზეპირ ისტორიებსა და ა. შ. გულისხმობს, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავს საზოგადოების იდენტობას და დამოკიდებულებას ადგილის მიმართ.

ადგილობრივი კულტურის რესურსების აღმწერი საბაზისო დოკუმენტის არსებობა სამომავლოდ სისტემური, გრძელვადიანი მუშაობის და მუნიციპალური კულტურის დაგეგმვის საფუძველი ხდება. „კულტურის განვითარების დაგეგმვის პროცესების ამოცანაა, კულტურული შემოთავაზებებისა და არსებული სიტუაციის ანალიზი გაიტანოს კულტურის პოლიტიკის მიზნების განხილვაზე და ამის საფუძველზე, დაასაბუთოს და დაგეგმოს კონკრეტული საქმიანობები, ასევე კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარების შემდგომი პროცესები“.¹

სამეცნიერო და პრაქტიკულ ლიტერატურაში ხაზგასმულია მოსაზრება, რომ კულტურის გეგმის, განვითარების სტრატეგიის და კონცეფციის დოკუმენტის არსებობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი თავად დაგეგმვის პროცესი და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული პირის მონაწილეობაა. აღწერის და შემდგომ უკვე დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს რაც შეიძლება მეტი მოქალაქის, დაინტერესებული ჯგუფების ჩართვას კულტურის სფეროს განვითარებაში, ვლინდება თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები, საფუძველი ეყრება ქსელურ მუშაობას. ჩართულობა, თავის მხრივ, კულტურის პოლიტიკის შემუშავების

¹ ბერნარდ გაგინერი, კულტურის დაგეგმვა. კულტურის მენეჯმენტის მოგლე სახელმძღვანელო (Kompendium Kulturmanagement); გამომცემელი არმის ქლაინი. მიუნხენი 2004. გვ. 124

პროცესს უფრო მეტად გამჭვირვალეს ხდის; ჩართულობა და თანამშრომლობა დემოკრატიული თანამონაწილეობის შესაძლებლობაა.

მუნიციპალური კულტურის რესურსი – მუნიციპალურ კულტურის რესურსში შეიძლება მოიაზრებოდეს ისტორიულ-კულტურული რესურსები, რომელიც მოიცავს არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს, მატერიალური კულტურის საგნებს (შრომის იარაღები, ყოველდღიური ცხოვრების ნივთები, ხალხური რეწვის ნიმუშები, ადგილობრივი სამოსი), ეროვნულ, კუთხურ სამზარეულოს, სასულიერო კულტურის ელემენტებს; მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებს, ტერიტორიის ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს. ასევე მუზეუმებს, თეატრს, გამოფენებს და სხვა.¹ ანუ ის მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს ფუნქციონირებასა და განვითარებას შეიძლება უწყობდეს ხელს;

ლიტერატურასა და პრაქტიკაში ვხვდებით ასევე ისტორიულ-კულტურული და ტურისტული რესურსების ცნებას, რაც გულისხმობს „განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ისტორიული განვითარების პროცესში შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების ერთობლიობას, რომლებიც ტურისტული ინტერესის ობიექტს წარმოადგენენ“.²

ესა თუ ის რეგიონი, ქალაქი, მუნიციპალიტეტი საკუთარი კულტურის რესურსების აღწერის პროცესში თავად განსაზღვრავს, თუ რა ობიექტები შეიძლება მოხვდეს კულტურის რესურსების დოკუმენტში. ეს დიდ წილად დამოკიდებულია საზოგადოების იდენტობასა და აღქმაზე საკუთარი გარემოს მიმართ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალური კულტურული რესურსების აღწერა გულისხმობს ადგილზე არსებული

¹ http://boycottcreative.com/index.php?option=com_content&view=article&id=457&Itemid=71

² http://uchebnikionline.ru/turizm/mizhnarodniy_turizm_i_sfera_poslug_-_malska_mp/istoriko-kulturni_turistichni_resursi.htm

კულტურის მატერიალური და არამატერიალური რესურსების იდენტიფიკაციასა და აღრიცხვას სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. რესურსების აღწერა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური, ფაქტობრივი მონაცემებით ამა თუ იმ რესურსის შესახებ, არამედ მოიცავს ნარატიულ ნაწილსაც. კულტურული რესურსების მეფინგის საშუალებით ადგილობრივი თემი და ინტერესთა ჯგუფები მოაწილეობას იღებენ კულტურული პრაქტიკისა და რესურსების აღნუსხვის, ისევე როგორც სხვა არა ხელშესახები კულტურული რესურსების, მაგალითად, ადგილოთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული აღქმების აღწერაში.

კულტურის ტურიზმის სტრატეგიების შემუშავებისას, სოციალურ-კულტურული აღქმების გაერთიანებით, შესაძლებელია, უფრო ფართო და მრავალმხრივი ინფორმაციის მოპოვება კონკრეტული ადგილის შესახებ და ამ ინფორმაციის ეფექტურად გამოყენება კულტურის დაგეგმვის პროცესში, რაც ხელს შეუწყობს თემატური ინფრასტრუქტურულ დაგეგმარებასა და კულტურის ინდუსტრიის განვითარებას.

აღწერის პროცესი და მეთოდოლოგია / სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაგალითი

კულტურის რესურსების აღწერის პროცესი და მისი თავისებურებები, მოხსენებაში, განხილულია 2014 წელს განხორციელებული პროექტის „სიღნაღი – კულტურისათვის“¹ გამოცდილებისა და ასევე საერთაშორისო მაგალითების

¹ პროექტი „სიღნაღი - კულტურისათვის“ 2014 წელს, ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების: სათემო განვითარების ცენტრი, სათემო კავშირი ნუკრინი და კონსულტაციასა და ტრენინგის ცენტრი მიერ, EWMI G-PAC / USAID ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსების აღწერის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ როგორც ქალაქ სიღნაღის მაცხოვრებლები, სხვადასხვა კულტურის დაწესებულების თანამშრომლები, მოწვევული ექსპრტი (თამარ ბრეგაძე), ასევე პროექტის გუნდი (ნინო სანადირაძე, ანა მარგველაშვილი, ირინა სანთაძე, მაია ბიძინაშვილი).

გათვალისწინებით.

სათემო განვითარების ცენტრი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მრავალი წელია მუშაობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა და, მათ შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით. ცენტრის მიერ კულტურის მხარდაჭერის მიმართულებით შეძენილმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ერთჯერადი პროექტების მეშვეობით მდგრადი განვითარება და შედეგები ძნელად მიიღწევა. მუნიციპალიტეტში კულტურის ცხოვრების განვითარების საკითხი კომპლექსურ მიდგომას, უწყვეტი კულტურის სერვისების დაწერგვასა და მიწოდებას საჭიროებს. პროექტი „სიღნაღი – კულტურისათვის“ ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია.

რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ინიცირებული პროექტი „სიღნაღი – კულტურისათვის“, სიღნაღში საინიციატივო ჯგუფის სურვილის საფუძველზე შემუშავდა, რაც გულისხმობდა მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში უფრო კონკრეტული სამოქმედო გეგმის არსებობას. მუნიციპალურ დონეზე, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის არსებობა კი მსგავსი ტიპის განვითარების პროექტების წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურული რესურსების აღმწერი დოკუმენტი მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული პოტენციალის კატეგორიზაციის, კომპლექსური შესწავლისა და სისტემატიზაციის პირველი მცდელობაა. პროექტი სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება: კულტურის რესურსების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტის (რუკის, ანგარიშის) მოზადება, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და კულტურის რესურსების ძირითად კატეგორიებზე რეკომენდაციების შემუშავება სამომავლოდ მუნიციპალური კულტურის პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

უშუალოდ, კულტურული რესურსების აღწერის მეთოდოლოგია, თავის მხრივ, სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

1. პირველი კომპონენტი რესურსების კლასიფიკაციის

კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებას გულისხმობს. ამ ეტაპზე ძირითად ამოცანას წარმოადგენს კულტურული რესურსების ძირითადი კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების გამოყოფა, რომელთა მიხედვით შემდგომში ხდება იდენტიფიცირებული რესურსების გაერთიანება და სტატისტიკური ანალიზი. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში, კულტურის აღგილობრივი (სიღნაღის) დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად განისაზღვრა ის სავარაუდო რესურსები, რომელთა შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და საჭიროებების კვლევა, კულტურის რესურსების აღწერის დოკუმენტში უნდა გაერთიანებულიყო. წინასწარ გამოვლენილი რესურსები, სპეციალისტების მიერ კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად დაჯგუფდა.¹ თითოეული კატეგორია, თავის მხრივ, აერთიანებს რამდენიმე ქვეკატეგორიას.

2. მეორე კომპონენტის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ფორმების მიხედვით, გროვდება ინფორმაცია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. საველე სამუშაოებს წინ უძღვის მონაცემების შეგროვებისათვის ინსტრუმენტების (კითხვარებისა და ანკეტების) შემუშავების პროცესი. მატერიალური რესურსების აღწერისათვის იქმნება სპეციალური საინფორმაციო ველების ნუსხა; ხელშესახები რესურსების აღრიცხვის ანკეტები შესაძლებლობებს უნდა ქმნიდეს რესურსების სივრცითი აღწერისათვის; ხოლო არახელშესახები რესურსების აღწერისათვის იქმნება კითხვარები ჩაღრმავებული ინტერვიუებისათვის. არახელშესახები რესურსების აღწერისათვის მნიშვნელოვანია შთაბეჭდილებებისა და შეხედულებების, ისევე როგორც მათ შესახებ ინფორმაციის წყაროების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. თვისებრივი კომპინენტის ფარგლებში გროვდება ზეპირი ისტორიები, ხდება სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტების შინაარსობრივი

¹ სქემა № 1 (დანართი) ასახვს სიღნაღის კულტურული რესურსების კატეგორიზაციის კონცეპტუალურ ჩარჩოს (რესურსების ძირითად და ქვეკატეგორიებს)

ანალიზი, ტარდება თემატური ინტერვიუები.

3. რესურსების რუკის შემუშავების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მონაცემების GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) პლატფორმაში ინტეგრირება წარმოადგენს. კულტურული პოტენციალი მუნიციპალიტეტის ფარგლებში მუდმივად იცვლება და ვითარდება, შესაბამისად, კულტურული რესურსების კარტოგრაფია მოიაზრება როგორც მუდმივმოქმედი პროცესი, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მონაწილეობის მიღება – მონაცემთა განახლება, დაზუსტება და გაფართოება.¹

დოკუმენტის ძრითადი დანიშნულება მუნიციპალური კულტურის განვითარების დაგეგმვისათვის საინფორმაციო ბაზის შექმნაა. ამასთანავე, კულტურული რესურსების რუკა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა სხვადასხვა დაინტერესებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პირთათვის, – ტურისტებისათვის, რიგით მოქალაქეებისათვის. რუკის ელექტრონულ ფორმატში არსებობა უზრუნველყოფს მასალის ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ისევე როგორც პირობებს ქნის რუკის დახვეწისა და განახლების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობისათვის.

დღისათვის კულტურის რესურსების აღმწერი დოკუმენტი, სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებულ სამასამდე რესურს საღწერს, თუმცა რესურსების აღწერა მუდმივი, დინამიკური პროცესია და რუკა მუდმივ განახლებასა და შევსებას საჭიროებს, რამდენადაც შეუძლებელია ერთბაშად ყველა რესურსის მოცვა.

¹ ამ ეტაპზე, პროექტის „სიღნაღი კულტურისათვის“ ფარგლებში GIS სისტემაში მონაცემების გადაყვანის შესაძლებლობა არ იყო და პროცესი შემდგომი ეტაპისათვის გადაიდო

შეჯამება

საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელ პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივ დონეზე განვითარების სტრატეგიებისა და მართვის ეფექტური მოდელების ამოქმედების საკითხი, მათ შორის კულტურის სფეროში. ადგილობრივი რესურსების იდენტიფიკაციის, აღნუსხვისა და განახლების სისტემის არსებობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის დონეზე კულტურის დაგეგმვისათვის და კულტურის სფეროში, მათ შორის კულტურის ტურიზმის მიმართულებით, სხვადასხვა სერვისის განვითარებისათვის.


სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურული რესურსების რუკის არსებობა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს: მუნიციპალურ დონეზე კულტურის განვითარების საკითხის წინ წამოწევასა და კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის ფორმირებისათვის პრიორიტეტებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიკაციას. ასევე, სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული რესურსების მდგომარეობის ანალიზს, მათი განვითარებისა და მართვის სისტემის გაუმჯობესებას, მათ პოპულარიზაციას; კულტურის ტურიზმის მიმართულებით სერვისების განვითარებას და ალტერნატიული ტურების შემუშავებას.

„სამომავლოდ წარმოუდგენელია ქალაქი კულტურის განვითარების დეტალური გეგმის გარეშე, რომლის განახლება უნდა ხდებოდეს დადგნილი სიხშირით. კულტურის სფეროს მნიშვნელოვანი მოთხოვნების განსახორციელებლად სწორედ დაგეგმვაა აუცილებელი პირობა, რათა – ა) უფრო თანაბარი იყოს შანსები ყველასათვის, ბ) თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად და გ) რაც არ უნდა ხშირად გამოიყენებოდეს ეს ცნება – მეტი დემოკრატიისათვის“.

აღნიშნული მიდგომით მუშაობა არა მარტო სიღნაღის, არამედ ნებისმიერ მუნიციპალიტეტს დაეხმარებოდა საკუთარ ტერიტორიაზე კულტურის რესურსების იდენტიფირებას და

სამომავლოდ კულტურის განვითარების გეგმის შემუშავებაში.

სიღნალის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსების აუგორიების სქემა



გიორგი ფხავაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულების ღოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. მირონ ტულაშვილი

**ვადერგაიზინგი - არასავაჭალებო
(არაპომერციული) ორგანიზაციების
ფინანსური უზრუნველყოფის საინტერესო
ინსტრუმენტი**

საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც
წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, სოციალურ,
პოლიტიკურ თუ სხვა ჭრილში, საშუალება მისცა ბევრ
საერთაშორისო ორგანიზაციას, ემუშავა და დღესაც მუშაობს
საქართველოში სხვადასხვა მისის შესასრულებლად, იქნებოდა
ეს ჰუმანიტარული, უფლებადამცველი ან სხვა მიმართულება,
მაგრამ ყველა ცდილობდა სამუშაოები განეხორციელებინა
გადამზადებული ადგილობრივი ადამიანური რესურსის
გამოყენებით. ამ მიღომის ხარჯზე საქართველოში მომწიფედა
გარემო, შექმნილიყო ორგანიზაციები, რომლებიც იზრუნებდნენ
იმ ინდივიდებზე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დახმარება.
შეგვიძლია კოქვათ, რომ საქართველოში ბევრი სფეროა,
სადაც მესამე სექტორს ურიად მნიშვნელოვანი (უფლებათა
დაცვა, ეკოლოგია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
პირების რეაბილიტაცია და სხვა) როლი ენიჭება სამოქალაქო
საზოგადოების განვითარებაში. ძალიან დიდი გამოცდილებიდან
გამომდინარე, ჩვენ დღეს საქართველოში არ ვიყენებთ იმ
რესურსებს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საზოგადოებას არ
აქვს ინფორმაციული უზრუნველყოფა ამ სექტორის როლის
სახელმწიფოს განვითარებაში.

ცნობილია, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაცია (ააიპ) სხვა იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, არ არის კომერციული საქმიანობის საწარმოებლად და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით

შექმნილი ორგანიზაცია. მათი მიზნები ემთხვევა საზოგადებრივი აზრით განსაზღვრულ მოთხოვნილებებსა და „სოციალურ დაკვეთებს“. მიუხედავად ამისა, არასამეწარმეო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით აკრძალული არ არის, მათ შორის დამსმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობაც, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მიღებული მოგება მხოლოდ ამავე ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას მოხმარდება. არაკომერციული ორგანიზაცია სხვა ორგანიზაციებისაგან არსებითად განსხვავდება თავისი მისითა და საზოგადოების განვითარებაში (განსაკუთრებით კი სოციალური და ინტელექტუალური მიმართულებით) შეტანილი წვლილით. არაკომერციული ორგანიზაციების მეშვეობით პიროვნებას შეუძლია მოაწესრიგოს და დაიცვას თავისი უფლებები. ხშირად ამბობენ, რომ არასამთავრობო სექტორი არის საზოგადოების სული და გული, რადგან იგი კავშირს ამყარებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან და ცვლის მათ ცხოვრებას. ეს სექტორი წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს ახალი იდეების გაფრცელებისათვის, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — იგი არის სოციალური სერვისების მიმწოდებელი, აგრეთვე ჩვენი გარემოს, ღირებულებებისა და მემკვიდრეობის დაცვის ერთგვარი ეფექტური ინსტრუმენტი.

გარდა სხვა მრავალი ვალდებულებისა, არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს, აქვს უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობა — იყოს ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე. ანგარიშვალდებულება ნიშნავს — ორგანიზაციის საქმიანობა იყოს ღია, გამჭვირვალე და ყოველთვის შეეძლოს ადექვატური პასუხი გასცეს მათ, ვინც მოცემულ ორგანიზაციაში მოახდინა თავისი ნდობის, რწმენის და ფულის ინვესტირება. არაკომერციული ორგანიზაციები ანგარიშვალდებულები არიან როგორც დონორებისა და დამფუძნებლების, ასევე მოხალისების, პროგრამაში ჩართულებისა და ზოგადად, მთელი საზოგადოების წინაშე.¹ ორგანიზაციაში გაერთიანებული ყველა

¹ ჯერად ლ. გორდონი, სტრატეგიული დაგენტი ადგილობრივი მმართველობისათვის, 2003, ICMA

პირი უნდა იზიარებდეს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ორგანიზაციის მუშაობის მიზნებისა და შედეგების თანხვედრას უზრუნველყოფს, მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მეტი სახსრების მოზიდვა მხოლოდ საზოგადოების ნდობის მოპოვებითა და შენარჩუნებით (რომელსაც, ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება), საქმიანობის მაღალი ეფექტიანობით და მისის შესრულებაზე ფოკუსირებით შეიძლება. რა თქმა უნდა, ეს ვლინდება მათი ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკაზე, რომელიც მაღალი მოლოდინებისა და ანგარიშვალდებულებების პირობებში უწევთ. როგორც ყველა სფეროში, განსაკუთრებით ამ სექტორშიც რეპუტაციას ძალიან დიდი როლი ენიჭება, რაც არის ორგანიზაციის სრულფასოვნად მუშაობის გარანტი. მარცხის შემთხვევაში ორგანიზაცია განწირულია ამ სექტორში მოღვაწეობაზე, ხოლო ხწორი მენეჯმენტის პირობებში ის ქმნის გარემოს, სადაც ბენეფიციარები სარგებლობენ ამ ორგანიზაციის ინიციატივებით და ქმნიან ერთობლივ მხარდაჭერას მისიის შესასრულებლად. საქართველოს მაგალითზე სხვა მრავალი ორგანიზაციიდან მინდა გამოვარჩიო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, რომელმაც შეძლო „გალოს ეფექტის“ გამოყენებითა და საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობით შეექმნა ერთანი გარემო, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად.

კულტურა საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელსაც მრავალი თავისებურება ახასიათებს. თავისებურებათა მრავალფეროვნების გამო, კულტურა, ერთი მხრივ, გამორჩეულ სფეროდ გვევლინება, მეორე მხრივ კი, აღნიშნული მრავალფეროვნება მისი განვითარების სირთულის განმაპირობებელიც არის. საქართველოში კულტურის განვითარების შემაფერხებელ პრობლემითა შორის უმთავრესია სფეროს კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდებიდან ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა, რომლის შექმნაც, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა და ამით კულტურის სფეროს

ბევრ ორგანიზაციას უძნელდება საქმიანობის წარმართვა
განვითარების კუთხით.

თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს კულტურისა
და ხელოვნების დაფინანსების უნივერსალური რეცეპტი,
არც სახელმწიფოსა და არც ბიზნესს არ აქვს ამომწურავი
პასუხი არსებულ კითხვებზე. მაშასადამე, ეს პრობლემა
აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი
მსოფლიოსთვის. წლების განმავლობაში თითქმის ყველა
ევროპული სახელმწიფო კულტურას ფინანსურად სრულად
უზრუნველყოფდა. უკანასკნელ პერიოდში, დამძიმებული
ეპონიმიური სიტუაციის გამო განვითარებულმა ევროპულმა
ქვეყნებმა – ზოგან მნიშვნელოვნად, უმეტესად კი ნაწილობრივ,
შეამცირეს კულტურის ფინანსური მხარდაჭერა, პიერ-მიშელ
მენუეს სტატიაში, რომელიც მან ჩრდილოეთ, სამხრეთ
და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების შესახებ
ანალიზში მოიყვანა,¹ აღწერს დეცენტრალიზაციის პოლიტიკას
კულტურის სფეროში. თან ბოლო წლებში გაძლიერებული
ფინანსური კრიზისი საერთაშორისო მასშტაბით საქმაოდ
ართულებს ბიზნესის სფეროდან დაფინანსების მოზიდვას.
როგორც ამბობს ბრიტანული საკონსულტაციო სააგენტო „Arts
and Business“-ს ექსპერტი ენდრიუ მაკ-ელროი – ხელოვნებად
არის ქცეული კულტურის სფეროს ორგანიზაციებისათვის
ფინანსური სახსრების მოძიება.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, გარედან თანხების
მოზიდვით, ანუ ფანდრაიზინგით, საქართველოში საგრძნობლად
გაიზარდა კულტურის სფეროში განსახორციელებელი
პროექტებისა და პროგრამების რიცხვი. ფანდრაიზინგი,
როგორც მიმართულება, საქართველოში, ბოლო პერიოდია
ძლიერდება, ბევრი მოწინააღმდეგებული გამოუჩნდა, კულტურის
სფეროს ზოგიერთი მკვლევარი მას მეცნიერებად ან სახსრების
მოძიების ხელოვნებადაც ასახელებს, რაც, ვფიქრობ, შეცდომაა,
რადგან ფანდრაიზინგი, როგორც პროცესი, მასში ჩადებული

¹ <http://www.socialistinfo.ru/socialXXI/2922.html> - ОТ ГОСУДАРСТВА К
ГОРОДУ: ЭВОЛЮЦИЯ КУЛЬТУРНОЙ ПОЛИТИКИ В ЕВРОПЕ

პრინციპების გამო, მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ იგი მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს დაემყარება. ენდრიუ მაკ-ელროისა და დუგლას ალექსანდერის აზრით, ფანდრაიზინგი არის პროცესი, რომელსაც მისი მწარმოებელი ჯგუფის უნარებისა და გამოცდილების კომბინიცია ქმნის, და რაც ფანდრაიზინგს ერთდროულად მეცნიერებადაც და ხელოვნებადაც წარმოაჩენს.¹

ამჟამად, ისევე როგორც სხვა განვითარებად სახელმწიფოებში, საქართველოშიც აქტიურად ფიქრობენ კულტურის სფეროს დაფინანსების გაზრდის ღონისძიებების შესახებ, რომლის მიზანია აღნიშნული სფეროს ძირეული რგოლების მისისა და ორგანიზაციული სტრუქტურული განვითარება, თუმცა, შედეგები არცთუ სახარბიელოა. ამჟამად საქართველოში არ არის გამოკვეთილი სახელმწიფო პოლიტიკა კულტურის სფეროში, როგორც ეროვნულ, აგრეთვე რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კულტურა, როგორც სახელმწიფო მართვის პრიორიტეტული სფერო, საზოგადოების განვითარების მიზნით განსახორციელებელ საქმიანობაში მოსახლეობის მობილიზებასა და ჩართულობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და, რაც მთავრია, ამ შემთხვევაში მხოლოდ კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების გააქტიურება არ იგულისხმება.

ამჟამად, საქართველოში კულტურის სფეროს ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის წყაროებში (საკუთარი შემოსავლები, საბიუჯეტო და გარედან მოზიდული სახსრები) უმეტესი წილი არის წარმოდგენილი ფანდრაიზინგული საქმიანობის შედეგად, ანუ გარედან

¹ Мак-Илрой Э. Культура и Бизнес. путеводитель по Фандрейзингу. пер. с анг. – издательский дом «Классика ХХI», 2010; Дж. Дуглас Александер, Кристина Дж. Карлсон, Основные принципы Фандрейзинга, секреты привлечения денежных средств для неприбыльных организаций. пер. с анг. – balance Business Books. 2007

მოზიდული თანხები (რიგ შემთხვევაში იგი 80 პროცენტსაც კი აღწევს).

ამდენად, სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული კულტურის პოლიტიკა უნდა ასტიმულირებდეს კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისა და კერძო პირების საქმიანობას არასაბიუჯეტო სახსრების მოპოვების მიმართულებით. საქართველოში ამ ტიპის საქმიანობას კულტურის სხვადასხვა ორგანიზაცია დღესაც ატარებს, მაგრამ ისმის კითხვა: სად არის ეს დამატებითი რესურსები? როგორ მოვიზიდოთ ფინანსები? რა ფაქტორები შეუწყობს ხელს ან შეაფერხებს ამ პროცესის განვითარებას?

მნიშვნელოვანია, დამატებითი შემოსავლების წყაროდ განვიხილოთ ის ჯგუფი, რომელიც დღეს კერძო სექტორის წარმომადგენელია. იმისათვის, რომ შევძლოთ მივიღოთ დამატებითი ფინანსები, პირველ რიგში, კერძო სექტორს (ბიზნეს ინიციატივები, ფონდები, და სხვა წყარო) უნდა ჰქონდეს ამ თანხების გაცემის სურვილი; რა მოტივაცია სჭირდებათ ამ მსარდაჭერის გამოხატვისთვის?

დღეს ფანდრაიზინგი კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კულტურის ორგანიზაციებს სჭირდებათ ახალი მექანიზმების მოვიქრება დამატებითი სახსრების მოსაზიდად. იმისათვის, რომ სახელმწიფოში არ შეიქმნას ფსიქოლოგიური ბარიერები (რაც განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი პრობლემაა, სხვა ინფრასტრუქტურულ თუ საკადო პრობლემების ჩამონათვალში), იქმნება ერთიანი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია მთავარი პრიორიტეტები. კულტურა, სხვა სფეროების მხრიდან (განათლება, ჯანდაცვა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, ეკოლოგია და ა.შ.) სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან კონკურენციას განიცდის. ფინანსების დეფიციტი ყოველთვის იკვეთება, როდესაც მიმდინარეობს კულტურის სფეროს წლიური ბიუჯეტის განსაზღვრა. სახელმწიფო მკაფიოდ ავლენს თავის ნებას კულტურის სფეროს დაფინანსებით, როცა მტკიცდება ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველი

ორგანოების ბიუჯეტი.

საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს კულტურის სფეროში აღტერნატიული დაფინანსების ხელშეწყობის სტრატეგია. სახელმწიფოს შეუძლია გახდეს უმნიშვნელოვანესი რგოლი კულტურისა და ბიზნესის ურთიერთანამშრომლობაში, იგულისხმება საგადასახადო შედავათების დაწესების მიზნით განხორციელებული საკონონდებლო ცვლილებები, წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილების გავრცელება, სპონსორული და თანადაფინანსებადი პროექტების ხელშეწყობა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეფექტური ფანდრაიზინგული გარემოს შექმნა.¹ პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს კულტურის ორგანიზაციების მენეჯმენტის მაღალი და საშუალო როლის თანამშრომლებს, შეიძინონ ცოდნა ფანდრაიზინგის მეთოდებსა და ტექნიკაში.

კულტურა და ხელოვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაში. კულტურის ორგანიზაციები არიან დამსაქმებლები, იხდიან გადასახადებს, საინტერესოდ და დინამიკურად ზემოქმედებენ ქალაქის, რეგიონის სოციალურ გარემოზე, სადაც ყველა მოქადაქე ცხოვრობს და საჭმანობს. მათი შემოქმედების შედეგები პროდუქტიულად მოქმედებს რეკლამის ინდუსტრიაზე, დიზაინზე, გაყიდვებზე და ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაციაზე. რა თქმა უნდა, კულტურა მნიშვნელოვანია, მაგრამ დღითიდღე როულდება დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა ამ მნიშვნელობის ფინანსებით გასამყარებლად. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია ცვალებადია, საზოგადოების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით, მათ, ვინც გეგმავს და აკონტროლებს ფინანსების ხარჯვას, სრულად არა აქვთ გაცნობიერებული კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელობა.

¹ Мак-Илрой Э. Культура и Бизнес. путеводитель по Фандреизингу. пер. с анг. – издательский дом «Классика XXI», 2010

1999 წლის ოქტომბერში, ფლორენციაში, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარდა კონფერენცია თემაზე – „კულტურა – მნიშვნელოვანია“, სადაც კულტურის სფერო – სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეფასდა.¹ წარმოგიდენთ ამ არგუმენტებს მცირე კომენტარებით:

არგუმენტი 1 - განვითარება

კულტურა დღი როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. კულტურა და ხელოვნება დადებით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და განათლებაზე. კულტურის ძეგლების არსებობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და ამით რეგიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ემსახურება. აქტიური კულტურული ცხოვრება (ფესტივალების, კონკურსებისა და სხვა) გულისხმობს რესტორნების, ბარების გახსნას, იზრდება ღამის გასართობი აღილების რიცხვი და სხვა. რეგიონებში კულტურული ტრადიციების სრულფასოვნად წარმოჩენა საშუალებას იძლევა მოიზიდონ ვიზიტორები და ამჟამდეს სასუვენირო ინდუსტრია, რომელიც აგრეთვე იმ კუთხის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. კომერციული ორგანიზაციები და ფონდები, რომლებიც აფინანსებენ ამ ტიპის პროექტებსა და ღონისძიებებს, თანხებს აპარატებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

არგუმენტი 2 - საზოგადოების გაერთიანება

ეს არგუმენტი ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მისი ღირებულებების გაზიარებას. კულტურა იძულებულს ხდის საზოგადოებას, იუუქციონიროს, ქმნის სივრცეს, სადაც ადამიანები, ეთნიკური განსხვავებების მიუხედავად, ერთმანეთთან ურთიერთობებს სანდო და უსაფრთხო გარემოში. თეატრალური სცენა და ფილმი საშუალებას აძლევს საზოგადოებას, არსებული სატეატრო ათეჭვების ხელოვანს, მუსიკა და ცეკვა ქმნის მათი თანაარსებობის საფუძველს,

¹ Дж. Дуглас Александр, Кристина Дж. Карлсон, Основные принципы Фандрейзинга, секреты привлечения денежных средств для неприбыльных организаций. пер. с анг. – balance Business Books. 2007

თუნდაც პოლიტიკური დაბაბულობის ფონზე. კულტურა და ხელოვნება არა მხოლოდ ბავშვების განათლებას უწყობს ხელს, არამედ ზრდასრულ ადამიანებსაც ეხმარება – შეიცნოს თავისი თავი და მოქმედნოს მისი ადგილი საზოგადოებაში. კულტურული პროექტების დაფინანსებით სახელმწიფო, კომერციული სტრუქტურები და ფონდები ხელს უწყობენ ჯანმრთელი და პოზიტიური გარემოს შექმნას.

არგუმენტი 3 - მარკეტინგი

კულტურა და ხელოვნება შესაძლებელია ქვეყნის ნებატიური აღქმის შეცვლის უძლიერესი ფაქტორი გახდეს, განსაკუთრებით, როლესაც ეს გამოწვეულია ეკონომიკური კრიზისით თუ საომარი მოქმედებით. ევროპულ ქვეყნებს ბევრჯერ მიუმართავთ ისეთი ხერხისათვის, როგორიცაა კულტურის საშუალებით თვითრეკლამის კეთება. ბიზნეს საზოგადოება აგრეთვე მიმართავს ისეთ მარკეტინგულ ხერხებსაც, სადაც მათ ავტორიტეტზე იგრძნობა ხელოვნებისა და კულტურის ზეგავლენა. ბიზნესმენები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ამ არასტანდარტული გზით არამხოლოდ სახელმწიფოს იმიჯის განვითარება, არამედ ამ სფეროში სერიოზული წარმატებების მიღწევაც კი შესაძლებელია.

არგუმენტი 4 - განათლების ეკონომიკა

კულტურული მრავალფეროვნება სახელმწიფოს სამომავლო განვითარების უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს. მომავლის ინდუსტრიები (ტურიზმი, გართობის ბიზნესი, მაღალი ტექნოლოგიები და სხვა) საჭიროებს საინტერესო და პროდუქტიულ იდეებს, რომელთა წარმოშობაზე ზეგავლენას ახდენს კულტურის სექტორი. სახელმწიფოდან ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერებისათვის (რომელმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება), საჭიროა მათ პქონდეთ შესაძლებლობა, შექმნან ტრადიციული და თანამედროვე, ნაციონალური და უცხოური კულტურული პროდუქტების კომპლექსური ნაზავი. მომავალში საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის ამოქმედება ბევრად არის დამოკიდებული დღევანდელ აქტივობაზე კულტურის სფეროში.

მიმდინარე პროცესები ნათლად ასახავენ საქართველოში არსებულ მდგომარეობას კულტურის სფეროს მიმართ, დღითიდლე მიმდინარეობს კულტურის ორგანიზაციების ინფრასტრუქტურული განვითარება. ხელოვნებს, საინიციატივო ჯგუფებსა და კულტურის არაკომერციულ ორგანიზაციებს შეაქვთ პროექტები დაფინანსებაზე სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და კომერციულ ორგანიზაციებში, მაგრამ უმეტესი ნაწილი უარს ღებულობს. ზოგჯერ უარს არასრული საპროექტო განაცხადის გამო ღებულობენ, ზოგჯერ კულტურის სფერო არ არის პრიორიტეტი საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებში. ფაქტობრივად, საქართველოში ეკონომიკურ-სოციალური პრობლემატიკა ხელს უშლის სახელმწიფოს, სრულად დააფინანსოს კულტურის სფერო, მაგრამ მას აქვს შესაძლებლობა, დაეხმაროს სფეროს ფინანსური სახსრების მოზიდვის გარემოს შექმნით, გადაამზადოს კადრები (თუნდაც მხოლოდ სახელმწიფო კულტურის ორგანიზაციებისათვის) თანამედროვე ფანდრაიზინგული კამპანიის წარმოებისათვის, რათა მათ შეეძლოთ, თვითონ შეიმუშაონ ის სტრატეგიული ხედვები, რომლებიც დაეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში.

კულტურის ორგანიზაციები ყოველთვის უნდა ეძებდნენ ახალ გზებს იმის დასამტკიცებლად, თუ რა მთავარი როლი უკავია კულტურას საზოგადოების ფორმირებაში. მათი ამოცანაა – დაარწმუნონ ფინანსური წყაროები, რომ ფინანსები საზოგადოების ფუნდამენტში იდება და არა მის გართობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Мак-Илрой Э. Культура и Бизнес. путеводитель по Фандрейзингу. пер. с анг. – издательский дом «Классика XXI», 2010.
- Дж. Дуглас Александр, Кристина Дж. Карлсон, Основные принципы Фандрейзинга, секреты привлечения

- денежных средств для неприбыльных организаций. пер.
с анг. – balance Business Books. 2007.
- ჯერარდ ლ. გორდონი - სტრატეგიული დაგეგმვა ადგილობრივი
მმართველობისათვის - 2003 ICMA;
 - <http://mosiashviliblog.wordpress.com/2012/11/27>
 - www.socialistinfo.ru/socialXXI/2922.html

ნაირა ღვედაშეიღლი,

საქართველოს მოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს რეგიონული პოლიტიკა ტურიზმის სფეროში

თითოეულ ქვეყანაში ტურიზმის სფეროში არსებული სახელმწიფო და სამეწარმეო ორგანიზაციული სტრუქტურები ამ ქვეყნების კონკრეტულ პირობებს უნდა შეესაბამებოდნენ და ვითარების შეცვლის კვალობაზე ისინიც უნდა იცვლებოდნენ. მანამ სანამ შეიქმნება ზემოაღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურები, რეგიონულ დონეზე პრინციპულად უნდა განისაზღვროს ტურიზმის რეგიონული პოლიტიკა და ასევე, ტურიზმის ეკონომიკის განვითარებასა და მართვაში ქვეყნის მთავრობის და კერძო სექტორის შესაბამისი ფუნქციები.

ტურიზმის სფეროში სახელმწიფო სტრუქტურები, როგორც წესი, შემდეგ ფუნქციებს ასრულებენ:

1. ტურიზმის პოლიტიკის ფორმირება, დაგეგმვა და მართვა;
2. სტატისტიკა და კვლევითი საქმიანობა;
3. სტუმარმასპინძლობის სექტორის საქმიანობისათვის წესების და ნორმატივების შემუშავება;
4. ინვესტიციური სტიმულების შექმნა;
5. მარკეტინგის განხორციელება;
6. ტურიზმის სფეროს კადრების პროფესიული სწავლების მოწყობა და მათოვის სასწავლო სტანდარტების და პროგრამების შემუშავება;
7. ძირითად ტურისტულ სანახაობათა და საბაზო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

რაც შეხება კერძო სრტუქტურებს, ისინი პასუხს აგებენ ტურიზმის კომერციულ განვითარებაზე, განთავსების საშუალებათა ექსპლუატაციაზე, ტურისტების კვებაზე,

ტრანსპორტირებაზე და ა.შ. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ რეკორდებში ტურიზმის კერძო სექტორი იქმნება როგორც უშუალოდ ტურისტულ მომსახურებებში, ისე სასტუმრო, კვებით, სატრანსპორტო და ა.შ. მომსახურებებში. ასე შექმნილი კერძო საწარმოები ერთიანდებან და რეგიონულ დონეზე ქმნიან ასოციაციებს. თუ რეგიონი დიდია, იქ რამდენიმე ასოციაციაც კი შეიძლება არსებობდეს. ასოციაციები არსებობენ მათი წევრი საწარმოებიდან მიღებული საწევრო ანარიცხების ხარჯზე. ასოციაციების არსებობის მიზანი არის ტურიზმის კერძო სექტორის უფლებების დაცვა სამთავრობო დონეზე და ზრუნვა მათი პრობლემების ერთობლივად მოგვარებისათვის.

იმ რეგიონებში, კი სადაც ტურიზმი ახლად იწყებს განვითარებას, სახელმწიფო ხელს უწყობს მის ეკონომიკურ განვითარებასაც და რეგიონული პოლიტიკის სრულყოფასაც. კერძოდ, საქართველოში ტურიზმის რეგიონული პოლიტიკა მიმართულია როგორც შემომწყვან, ისე გამყვან ტურიზმის განვითარებაზე და ასევე, შიგა ტურიზმის განვითარებაზე. ამ საქმეში დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს შიგა რეგიონების როლს, განსაკუთრებით კი ველური ბუნების მქონე რაჭას, სვანეთს, თუშეთს, ფშავს, ხევსურეთს და სხვას. ტურიზმის რეგიონული პოლიტიკა საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფციასთან და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მისი ორგანული ნაწილია. საქართველოს ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკა ითვალისწინებს:

1. ტურიზმის მართვის ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომელიც შეძლებს რეგიონების ეკონომიკისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი უკავებით გამოიყენოს მათთან არსებული ტურისტული რესურსები და მატერიალური ბაზა;

2. რეგიონის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურული პოტენციალის დაცვის პირობებში კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნას, რომელიც დაკმაყოფილებს მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ და ესთეტიკურ

მოთხოვნებს;

3. შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმის შექმნას;

4. ტურისტულ საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

5. მსოფლიო სტანდარტების დონეზე ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას;

6. მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის სოციალური ტურიზმის განვითარებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნას.

ყველა ზემოქმამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად ტურიზმის საქართველოს რეგიონულ პოლიტიკაში გათვალისწინება:

- არსებული ტურისტული რესურსების გამოყენების ეფექტურიზაციის ამაღლება. ამ მიზნით გადაწყვეტილია გზაში ტურისტების მომსახურე სერვისის (მოტელები, ოტელები, „ბისტროები“ და სუვენირების გასაყიდი ჯიხურები) განვითარება, სანატორიუმ-საკურორტო ორგანიზაციების მომსახურების მოწესრიგება, აგროტურისტული კომპლექსის შექმნა და ამისთვის სასოფლო-სამურნეო კოოპერატივების მატერიალური ბაზის გამოყენება, შემცენებითი, სპორტული, გამაჯანსაღებელი და აგრო-კომუნიზმის განვითარების უზრუნველყოფა, ერთ, ორ, სამ, ოთხ და ხუთვარსკვლავიანი ოტელების განვითარება იმ სასტუმროების რეკონსტრუქციით, რომლებიც საბჭოთა დროიდან დარჩნენ, მონადირეთა და მეთევზეთა ქოხების შექმნა-განვითარება, კვების ობიექტებში მომსახურების მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, გასტრონომიული ტურების მოწყობა, ნაციონალური და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქრძების შეთავაზება, ტურისტულ-სპორტული კომპლექსების მოწყობა, ახალი აკვაპარკების, ბოულინგების გახსნა, ხალხური რეწვის ცენტერების და დამზადებული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვების მოწყობა;

- რეგიონებში ტურისტული ზონების მოწყობა (მაგალითად, სვანეთში შეიძლება ორი ტურისტული ზონის

მოწყობა. ერთს შეიძლება დაერქვას ალპინისტური ზონა და იქ შესული ტურისტები იმოგზაურებენ თეთნულდსა და უშბაზე, მეორეს შეიძლება დაერქვას შემეცნებითი ზონა და იქ მოხვედრილი ტურისტები დათვალიერებენ სვანურ კოშკებს, სვანურ პატრიარქალურ ოჯახებს, გაეცნობიან მათ ადათ-წესებს, დაესწრებიან რელიგიურ დღესასწაულებს და ა. შ;

• რეგიონულ დონეზე საერთაშორისო კავშირების განვითარება, როგორც რეგიონების და ქალაქების დონეზე, ისე ქვეყნების დონეზე, საქართველოს შიგა რეგიონებისათვის განსაკუთხებით ეს მოსახერხებელია მეზობელ ქვეყნებთანაც – აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, სომხეთთან და ირანთან და ა.შ. განსაკუთრებულად პერსაექტიულად წარმოგვიდგება კახეთის რეგიონის ტურისტული კავშირები ირანთან, კერძოდ, ფერეიდანთან, რადგან ფერეიდნელი ქართველების წინაპრები კახეთიდან გადაასახლა შაპ-აბასმა.

ასევე პერსპექტიულად გვესახება აჭარის რეგიონის ტურისტული კავშირების განვითარება თურქეთთან. ამჟამად ეს კავშირები არსებობს, მაგრამ საქართველოდან თურქეთში გასული ტურისტების რიცხვი 2-3 ჯერ სჭარბობს შემოსულებს. ამით თურქეთი რჩება მოგებული და არა საქართველო.

ასევე პერსპექტიულად გვესახება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტურისტული კავშირის განვითარება ბულგარეთ-რუმინეთთან. ეს შეიძლება მოხერხდეს ფოთის პორტის გამოყენებით, საბორნე კავშირით.

ასევე პერსპექტიულია ქვემო ქართლის რეგიონის ტურისტული კავშირები სომხეთთან, სამცხე-ჯავახეთის თურქეთთან, მცხეთა-მთიანეთის რუსეთთან, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის რუსეთთან (მამისონის უღელტეხილის გამოყენებით და ა. შ).

ამ და სხვა ღონისძიებების გატარება გამოიწვევს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარებას, კერძოდ გაიზრდება შემოსულ ტურისტთა რიცხვი, რომელთაც სჭირდებათ სათანადო ტრანსპორტირება, კვება, ღამის გათვეა და ა.შ. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაერთვება ამ საქმეში და ამაღლდება მათი მატერიალური კეთილდღეობა.

მალხაზ ღვინჯიშვილია,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მცოდლიო ტურიზმის ორგანიზაცია და მისი როლი საერთაშორისო ტურიზმი

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია წარმოადგენს იმის მიზანს, რომელიც ემსახურება ტურიზმის განვითარებასა და ტურისტული პოლიტიკის საკითხების განხილვის საქმეს.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შექმნის ისტორია იწყება 1925 წლიდან ეროვნებათა ლიგის საქმიანობის სფეროში, რომელმაც პირველმა მოგვცა „ტურისტის“ ცნების ოფიციალური განმარტება. 1925 წელსვე პაკაში შედგა ტურიზმის პროპაგანდის ოფიციალური ასოციაციების პირველი საერთაშორისო კონგრესი 14 ევროპული ქვეყნის წარმომადგენლობით. 1925 წელს მოწევულ იქნა ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი. 1930 წელს კი შეიქმნა ტურისტული ორგანიზაციებისა და პროპაგანდის საერთასორისო კავშირი. 1947 წელს ზემოთ ხსენებული სამი ორგანიზაცია გაერთიანდა და შეიქმნა ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი – არასამთავრობო ორგანიზაცია 116 ქვეყნის მონაწილეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე 1946 წლიდან ანუ გაეროს დაარსებისთვის გაეროს საქმიანობაში ტურისტული გაცვლის საკითხებს, საკიაოდ განსაზღვრული ადგილი უკვე არასაც იგი ძირითადად ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დახმარებით ახორციელებდა. გაეროს ეგიდით, 1963 წელს, რომში ჩატარდა გაეროს პირველი კონფერენცია ტურიზმისა და მოგზაურობის შესახებ. კონფერენციამ განიხილა ტურიზმთან დაკავშირებული საკითხები და დაამუშავა მისი განვითარების რეკომენდაციები. რომის კონფერენციის მნიშვნელოვანი შედეგი იყო ცნებების – „დროებითი მომსკლელი“, „ტურისტი“,

„ექსკურსანტი“ ოფიციალური განსაზღვრების მიღება განსაზღვრული უნიფიკაციისა და ტურიზმის სფეროში სტატისტიკური აღრიცხვის უზრუნველსაყოფად. კონფერენციის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სასაზღვრო და საბაჟო ფორმალობების გამარტივებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განიხილეს, აგრეთვე, ტურიზმის განვითარების საერთო მიმართულებები, შესაბამისი მატერიალური ბაზის, კადრების მოზადების სისტემის განვითარების საკითხები.

1966 წელს გაერომ დაიწყო ტურიზმის სფეროში განვითარებადი ქვეყნებისადმი ტექნიკური დახმარების გაწევა. 1967 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1967 წელი გამოცხადდა საერთაშორისო ტურიზმის წელიწადად. 1968 წელს ბერნში ჩატარდა ტურიზმის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი გაეროს რეგიონთაშორისი სემინარი, განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის პრობლემების შესახებ. 1969 წელს სოფიაში მოიწვიეს ტურიზმის სამთავრობათაშორისო კონფერენცია, რომელზეც მიიღეს რეზოლუცია ტურიზმის სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელსაც შემდგომში მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია ეწოდა. ამგვარად 1947 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი“ გარდაიქმნა „სამთავრობათაშორისო მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციად“.

საერთაშორისო ტურიზმის საკითხებში შედის აგრეთვე გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონცეფციები. მის მესამე სესიაზე, რომელიც 1972 წელს ჩატარდა, მიიღეს რეზოლუცია „ტურიზმის განვითარება“, სადაც აისახა საერთაშორისო ტურისტული გაცვლის სტატისტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.

გაეროს ფარგლებში მოქმედი ყველა რეგიონული ექონომიკური კომისია, განსაკუთრებით კი ეკოსისის ევროპული კომისია, დიდ ყურადღებას უთმობს ტურიზმის განვითარებას. მაგალითად: 1975 წელს იუგოსლავიის ქალაქ დუბრივნიკში ჩატარდა დიდი კონფერენცია ევროპული საერთაშორისო

ტურიზმის განვითარების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დიდი ტურისტული კომპლექსების შექმნისას გარემოს დაცვის პრობლემებს.

მსოფლიოში ამჟამად მოქმედებს რამდენიმე ათეული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამა თუ იმ სახით დაკავებულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პრობლემებით. და მანც, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია წარმოადგენს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული პოლიტიკის საკითხების განხილვის საქმეს. მისი მთავარი მიზანია ტურიზმის განვითარება საერთაშორისო მშვიდობისა და ურთიერთობაგების, ეკონომიკური განვითარების, სიღარიბის მინიმუმამდე დაყვანის და მსოფლიო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციაში მუშაობა ხორციელდება მადრიდში ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებული გენერალური ასამბლეის სახით და ექვსი რეგიონული კომისიის: აფრიკის, ამერიკის, ევროპის, შუა აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ აზიისა და ოკაენეთის ფარგლებში.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეგიონული წარმომადგენლები თანამშრომლობენ თავიანთი რეგიონების ტურიზმის დარგის მუშაკებთან, რომ გამოავლინონ, გააანალიზონ, აღმოფხვრან პრობლემები და მონახონ გზები ტურიზმის განვითარებისათვის. მონაწილეობენ ტურისტული პროექტების შემუშავებაში, ატარებენ პრაქტიკულ სემინარებს სხვადასხვა ქვეყნის ტურიზმის აქტუალურ საკითხებზე, წარმოადგენენ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ინტერესებს ტურიზმის რეგიონულ და ეროვნულ ღონისძიებებში, წევრ ქვეყნებს ეხმარებან კონტაქტის დამყარებაში, ტურისტული სექტორის ხელმძღვანელობასა და საერთასორისო ორგანიზაციებთან.

მტო-ს ძირითად მიზანს წარმოადგენს ტურიზმის, როგორც საერთასორისო ურთიერთობებისა და მშვიდობის ხელშეწყობის განსაკუთრებული რეჟიმის ჩამოყალიბება, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვა და

პატივისცემა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია თავის პრაქტიკაში ნერგავს ე.წ. ტურიზმის „გლობალურ-ეთიკურ კოდექსი“, იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახადოს, წევრი ქვეყნების და დაწესებულებების მუშაობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისთვის.

„ტურიზმის გლობალურ-ეთიკური კოდექსი“ კანონთა ქრებულია. ეს დოკუმენტი შექმნილია მრავალი მარტივი დეკლარაციის შთაგონებით, რომელიც იყო წინათ და რომელსაც დაგმატა ახალი მოსახრებები.

„ტურიზმის გლობალურ-ეთიკური კოდექსი“ განეკუთვნება თანამედროვე დოკუმენტს. „წაიკითხე და მონაწილეობა მიიღე მის შესრულებაში,,. მხოლოდ მასთან თანამშრომლობით შეგიძლიათ ტურიზმის ინდუსტრიის და სექტორის გაფართოებაში დახმარება, მისი მომავლის უზრუნველყოფა და მსოფლიოს ხალხთა შორის ურთიერთობაგება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგრამას წარმოადგენს:

დახმარება განვითარებისთვის. მტო-ში არის ე.წ დახმარების დეპარტამენტი, რომლის მისა არის ტურიზმის სექტორის განვითარება, ეკონომიკის ზრდა და სიღარიბის შემცირება სამუშაო ადგილების შექმნის წყალობით.

კონკურენციისა და ვაჭრობის გაუმჯობესება:

მსოფლიო ბაზარზე, რომელიც სწრაფად იცვლება კონკურენციის დაძლევის უნარი არის დიდი ძალისხმევა ქვეყნებისთვის, იმისთვის, რომ მოიზიდონ საკუთარი თუ სხვა ქვეყნის ტურისტი.

საწარმო და კომერცია ქმნის ტურისტულ გამოცდილებას და პროდუქტს და ხელს უწყობს განვითარებას, რაც ბოლოს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. უნდა ითქვას, რომ ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია უშუალოდ პროგრესის ევოლუციასთან სოციალური მიზნებისთვის.

მტო-ს პირველი რიგის ამოცანებია:

ტურიზმის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების განვითარებისთვის.

ტურისტული კადრების პროფესიული მომზადებისა და სწავლების ხარისხის ამაღლება. იგი ახორციელებს პროგრამებს მეცნიერებისა და განათლების განვითარებისთვის. საეციალურად მისთვის განკუთვნილი განყოფილება ემსახურება სტუდენტთა დაფინანსებას გარკვეული სახის სტიპენდიებით.

გარემოს დაგეგმვა:

გარემოს რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ზომების შემუშავება, რეალიზაცია და დაგეგმვა. კონკურენცია დამოკიდებულია ინვესტიციებზე, რამდენად კარგი გარემოს დაგეგმვა შეუძლია ტურისტულ დაწესებულებას ტურისტისათვის.

ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლება და სერვისის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სტატისტიკა და მარკეტინგული კვლევები. ტურისტული ბაზრის შესწავლა, სტასტიკური მონაცემების შეკრება, სისტემატიზაცია და ანალიზი. მსოფლიოში ტურიზმის განვითარების პროგნოზირება.

კომუნიკაცია და დოკუმენტაცია. ტურიზმის განვითარებაში მონაწილე ქვეყნებისა და რეგიონებს შორის კავშირის უზრუნველყოფა. ტურისტული დოკუმენტაციის შემუშავება და გავრცელება. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია მსოფლიოს ყოფს რეგიონებად: უცხოელი ტურისტების მიღების რაოდენობის მიხედვით ლიდერი ევროპაა. მსოფლიო ტურიზმში, ევროპის წილი შესამჩნევად ეცემოდა. ტურისტთა რაოდენობის მიხედვით 63.5-დან 58.7%-მდე, ხოლო შემოსავლები 51.6-დან 50.7%-მდე. მოუხედავად ამისა, ამ პერიოდში ევროპაში შემოსავლ ტურისტთა რიცხვი 174-დან 347 მილიონამდე გაიზარდა. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლმა შემოსავლებმა კი დახლოებით ორჯერ მოიმატა.

საერთაშორისო ტურიზმიდან მსოფლიო ბაზარზე ევროპის

წილის შემცირების მიუხედავად, რეგიონში შემოსავლები და, შესაბამისად, ტურიზმიდან შემოსული შემოსავლები იზრდება. ტურისტული ნაკადები ძირითადად მიმართულია დასავლეთ და სამხრეთ ევროპის დასასვენებელი ცენტრებისაკენ.

უცხოელ ტურისტთა მიღების რაოდნობის მიხედვით, ამერიკის რეგიონი მეორე ადგილზეა. რეგიონში შედის: ჩრდილოეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა, სამხრეთ ამერიკა და კარიბის აუზის კუნძულები. 1996 წელს ეს რეგიონი მოინახულა 115.5 მილიონმა ადამიანმა, რაც შეადგენს მსოფლიო რეგიონების ტურისტთა 19.5%-ს, შემოსავლებმა კი საერთაშორისო შემოსავლების 25% შეადგინა.

ჩრდილოეთ ამერიკიდან ტურიზმით პოპულარული ქვეყნებია: აშშ, კანადა და მექსიკა, რომლებიც წარმოადგენს ყველაზე მიმზიდველ ტურისტულ ცენტრებს, სადაც საერთაშორისო ტურიზმის გარდა, განვითარებულია შიდა ტურიზმიც.

კარიბის კუნძულები ყოველწლიურად 12 მილიონ ტურისტს დებულობს. 1993 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებმა საერთო საექსპორტო შემოსავლების 11.5% შეადგინა, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია მსოფლიოში.

აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი, ტურიზმის განვითარების დონის მიხედვით, ევროპისა და ამერიკის რეგიონების შემდეგ ადგილზე დგას. ამ რეგიონების ზოგიერთმა ქვეყანამ სულ ახლახან დაიწყო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება. ძირითადად ესენი არიან რეგიონის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები – საქონლის ექსპორტიორები: ჰონკონგი, მალაიზია, სინგაპური, სამხ. კორეა, ტაილანდი, ინდონეზია და ტაივანი. ამ ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ერთმანეთს აგსებს, მათი განვითარება კი ტელეკომუნიკაციების, საერთაშორისო ტრანსპორტის და საბანკო მომსახურების სფეროების სწრაფ განვითარებას ეყრდნობა. ამ ქვეყნებში საქონლის ექსპორტი საქმიანი მოგზაურობების რიცხვს ზრდის, რომელიც მასტიმულირებლად მოქმედებს სასტუმრო ბიზნესსა და გასართობ ინდუსტრიაზე. საბოლოო ჯამში კი შემომყვანი

ტურიზმის გავითარებაზე. შესაბამისად, ქვეყანაში ხელი ეწყობა ეკონომიკის განვითარებას.

ბოლო წლებში რეგიონში შემოვიდა 90 000 000 ტურისტები მეტი, შემოსავლების წილმა მსოფლიოში ტურიზმიდან შემოსავლების 15.2% შეადგინა.

ახლო არმოსავლეთის რეგიონში, ბაპრეინში, ეგვიპტეში, ერაყში, იორდანიაში, ლიბანში... ლიბანში კონფლიქტის მიუწვდოვად, 70-იან წლებში, იზრდებოდა საერთაშორისო ტურიზმის ხვედრითი წილი. 1970-1980 წლებში ტურისტთა რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა 1.8-დან 6 მილიონამდე, შესაბამისად, მათგან მიღებული შემოსავლები – 0.4-დან 3.5 მილიარდ დოლარამდე, მაგრამ ეს შემოსავლები არასტაბილური იყო, რაც რეგიონში პოლიტიკური არასტაბილურობით აიხსნება.

ტურიზმის მიმართ ინტერესის შესუსტება განსაკუთრებით შეეხმ ეგვიპტესა და იორდანიას, რომელიც რეგიონში მთავარ ტურისტულ ცენტრებს წარმოადგენს.

აფრიკის რეგიონში შემსვლელი ტურისტების რაოდენობა და შესაბამისად – ტურიზმიდან შემოსავლები დაბალია და შეადგენს მსოფლიო 1.8%-ს. 1996 წელს შემოსულმა რიცხვმა შეადგინა 19.5 მილიონი ადამიანი ანუ გაიზარდა ტურისტების რაოდენობა, შესაბამისად შემოსავლებიც.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას რეგიონში ტურისტულ ბაზარზე აფრიკული ტურისტული პროდუქტის მაღალი ფასები ამჟარუჭებდა. რეგიონი ბოლო წლებში, განსაკუთრებით კონტინენტის ჩრდილოეთში, იაფეთისან, მასობრივ ტურიზმზე ორიენტირებული.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, ექსპორტი საერთო შემოსავლებში, აფრიკის რეგიონის ტურიზმიდან შემოსავლის წილი თითქმის გაორეცდა (80-იან წლებში 5% იყო, 90-იანში – 10%). მოუწვდია ასეთი მონუცემებისა, აფრიკას, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სიმრავლის გამო, საერთაშორისო ტურიზმში მცირე ხვედრითი წილი აქვს.

სამხრეთ აზიის რეგიონი, მოსახლეობის რაოდენობის

მიხედვით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი რეგიონია (1 მილიარდი ადამიანი). მისი ქვეყნებია: ავღანეთი, ბანგლადეში, პაკისტანი, ბუტანი, ინდოეთი, ირანი, მალის რესპუბლიკა, ნეპალი და შრი-ლანკა.

სამხრეთ აზიაში ტურიზმი ნელი ტემპით ვითარდება. ამ რეგიონში ტურისტთა შემოსავლები და შესაბამისად შემოსავლები საერთო მსოფლიო დონეს საკმაოდ ჩამორჩება. მიზეზი კი რეგიონის ხშირი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისებია. ევროპა რეგიონისათვის ყველაზე დიდი ბაზარია, საიდანაც 12% ბრიტანელ ტურისტებს უჭირავთ. რეგიონში შიდა ტურიზმი სუსტადაა განვითარებული. მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ტურისტები მთელი შემოსავლების 28% შეადგენს.

ზრდის ტენდენციის მიუხედავად, სამხრეთ აზიის ქვეყნებს, რეგიონში, ჯერ არ გამოიყენებიათ მთელი პოტენციალი ტურიზმის განვითარებისთვის. ხელისშემმლელ ფაქტორებთაგან უპირველესია ცუდი ინფრასტრუქტურა და არასაკმაოდ განვითარებული სატრანსპორტო სისტემა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურიზმის განვითარებას რეგიონში, რაც უშეალოდ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

რეგიონში ტურიზმის განვითარებით:

1. ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.
2. განვითარდება ადგილობრივი ინდუსტრია (სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო სისტემა და სხვ.).
3. მოხდება როგორც შიდა, ისე გარე ინვესტიციების მოზიდვა.
4. მრავალფეროვანი გახდება ადგილობრივი ეკონომიკა, მაღალმთიან რეგიონებში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. რეგიონში ტურიზმის განვითარება შესაძლოა საჩვენებელი გახადოს კონკრეტული რეგიონი,

აქედან გამომდინარე, მთავრობა ეცდება დამატებითი რესურსი გამოყოს ამ და მიმდებარე ტერიტორიების განვითარებისთვის.

5. ხელი შეეწყობა იმ მიწების პროდუქტიულად ათვისებას, რომლებიც ნაკლებად ვარგისიანია სოფლის მეურნეობისათვის.

6. რეგიონი შეძლებს თვითდაფინანსებას.

7. შეიქმნება რეკრეაციული ობიექტები, რომლებითაც სარგებლობის საშუალება ექნებათ არა მარტო ტურისტებს, არამედ მოსახლეობასაც.

8. ადგილობრივი მოსახლეობის საერთო კულტურული ღონე ამაღლდება.

მტო ცხადყოფს მოსალოდნელ უარყოფით შედევებსაც, ტურიზმის არასწორად და ქაოტურად განვითარების შემთხვევაში. ამას შეიძლება მოყვეს:

1. პოტენციური ეკონომიკური მოგების კარგვა.

2. უარყოფითი განწყობა ადგილობრივ მოსახლეობაში.

3. დისპროპორცია ეკონომიკასა და დასაქმებაში.

4. ობიექტების კონცენტრაცია შეიმჩნევა მხოლოდ ცალკეულ ადგილებში.

5. ეკონომის სხვა დარგებიდან ადგილობრივი მოსახლეობის გადასვლა ტურიზმის სფეროში.

6. ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება სხვა რაიონებში.

7. კულტურის ჭეშმარიტი თვითმყოფადობის კარგვა ზედმეტი კომერციალიზაციის პირობებში.

8. სხვადასხვა სოციალური პრობლემის – ნარკომანიის, კრიმინალური დანაშაულის და სხვათა წარმოშობის შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტურიზმის როლი მკვეთრად იზრდება ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში.

ტურიზმის, როგორც საგადუტო შემოსავლების წყაროს, საერთაშორისო კონტაქტების გამფართოებლის, მოსახლეობის დასაქმებულობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა დღითიდღე

იზრდება. ბოლო წლების მონაცემების საფუძველზე, მსოფლიო მომსახურების ექსპორტი შეადგენდა 54,2 მილიარდ აშშ დოლარს. ხოლო საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 15.9 მილიარდ აშშ დოლარს, რაც მთლიანი მომსახურების შემოსავლების 12% შეადგენს. 1996 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 7.6%-ით გაიზარდა და შეადგინა 401 მილიარდი დოლარი. წინა წლებთან შედარებით, შემოსავლები 1996 წელს 25-ჯერ გაიზარდა, რაც შესაბამებოდა საშუალო წლიური ტემპების 12.7%-ით ზრდას. ამასთან წლიური ტემპები 1970-1980 წლებში შეადგენდა 18.1%-ს, 1981-1996 წლებში – 9.1%-ს, შემოსავლებმა 2000 წელს 621 მილიარდი დოლარი შეადგინა, საშუალო წლიური ზრდის ტემპები შესაბამისად 1996-2000 წლებში იყო 10.7%. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის უკანასკნელი პროგნოზების მიხედვით, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 2010 წელს 1500 მილიარდი დოლარი იქნება. საშუალო წლიური ზრდის ტემპები კი შესაბამისად 2001-2010 წლებში – 9.2%.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიშვილი ხ. საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი. თბ., 2012
- ქათამაძე დ. ქათამაძე გ. საერთაშორისო ტურიზმი. ბსუ., 2013
- Александрова А.Ю. Международный Туризм. М., 2000
- www.unwto.org

დოლო ჭუმბურიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნინო სანადირაძე

შარმოვადის პროცესები და კულტურის სფეროს თავისებურება

ნებისმიერი ორგანიზაციის თუ მწარმოებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეკონომიკური ზრდაა, რაც უფრო მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას – ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთვის ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების გზით. ეკონომიკური ზრდის ფენომენი კარგადაა ცნობილი და იზიდავს არა მხოლოდ ეკონომიკური სფეროს ექსპერტებსა და წარმომადგენლებს, არამედ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების ინტერესსაც იწვევს. ამიტომ ეკონომიკის სფეროს მკვლევრებმა უფრო სრულყოფილი ზრდის პროცესების მოდელების შესამუშავებლად სხვა სფეროებშიც გადაინაცვლეს ახალ-ახალი იდეების გენერირებისათვის. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს კულტურის სფერო იკავებს, რასაც თავისი საკუთარი წარმოება და წარმოების თავისებურები ახასიათებს.

ზოგადად ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროდუქტების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის ბაზარზე დაბალანსებული მოთხოვნა და მიწოდება. არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი სხვაობა წარმოებული და რეალიზებული საქონლის რაოდენობას, ასევე თვითდირებულებასა და ფასს შორის.

კულტურის სფეროს პროდუქტის თავისებურება იმაში ძვირმარეობს, რომ იგი თავად ქმნის მოთხოვნას. იგი ვერ დაექვემდებარება საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნას

და დამოკიდებულებებს, – კულტურის სფეროს ფასეული პროდუქტები მას-კულტურის ელემენტებს შეიცავს.

შეუძლებელია კულტურის სფეროს ფასეული პროდუქტების ფასის განსაზღვრა და თვითღირებულების სტანდარტული წესით გაანგარიშება. კულტურის სფეროს პროდუქტი – ესაა არა მარტო სულიერი საზრდო, არამედ ღირებულებების მატარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებაშიც იღებს მონაწილეობას.

„გასათვალისწინებელია ისიც, რომ კულტურას რამდენიმე თვისება გააჩნია: კულტურა ადამიანების სოციალური დახსასიათებაა და მისი მიზანია საზოგადოების წევრების მოთხოვნილებებს ემსახუროს. იგი აკუმულაციურია (დაგროვების ეფექტი), რადგანაც თაობიდან თაობაში გადადის და ხშირად ისტორიული დასაუთება მოეპოვება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კულტურა უცვლელი რჩება. კულტურა ადაპტირებადია, მხოლოდ მისი რამდენიმე ინსტიტუტი არის უცვლელი. დანარჩენი ფასეულობები: რელიგია, პოლიტიკა, კანონები და სხვა შეიძლება შეიცვალოს საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად.¹ კულტურის სფეროს მენეჯმენტი, გარდა სხვადასხვა სპეციფიკური მახასიათებლებისა, ერთი განსაკუთრებული ნიშნითაც ხასიათება – მატერიალური წარმოების პროდუქტები გამოყენების პროცესში ცვდება, კულტურის სფეროში წარმოებისას მიღებული პროდუქტები გამოყენებისას სულ უფრო მეტ ღირებულებას (ფასეულობას) იძენს.

„ბიზნესისა და კულტურის ურთიერთთანამშრომლობას საზოგადოების განვითარებისა და გარდაქმნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სამოქალაქო საზოგადოების რეალიზაციის საშუალებას წარმოადგენს, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია გამოვყოთ კულტურისა და ხელოვნების ზეგავლენის რამდენიმე ასპექტი თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე: კულტურის

¹ რაიონი ქ. შევიცნოთ მომხმარებლი (მომხმარებლის ქცევა), თბ., 2001, გვ. 79

უშუალო გავლენა ეკონომიკაზე გამოიხატება შემდეგში:

- კულტურისა და ხელოვნების სფერო ქმნის კონკრეტულ სამუშაო ადგილებს, აქვს საკუთარი ავტონომიური გასაღების ბაზარი და საინვესტიციო პოტენციალი, უშუალო წვლილი შეაქვს კონკრეტული რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში;

- კულტურა და ხელოვნება განათლების, მასმედიის, ტურიზმის, გართობის ინდუსტრიის განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს“¹

კულტურის სფეროში შექმნილმა „პროდუქტმა“ წარმატებით რომ გაართვას თავი ღირებულებათა ნაკრების ფორმირების (ბრენდად) ქცევის ურთულეს ეტაპს, საჭიროა მიზნობრივი ჯგუფებისათვის იყოს გასაგები და შეძლოს უპეკავშირის გამოწვევა.

ზოგადად წარმოების პროცესის შემადგენლობა შემდეგნაირად განისაზღვრება – შენატანი პროცესი და შედეგი. კულტურის სფეროს პროდუქტის შემთხვევაში პროცესი და შედეგი ერთიანდება, რაც გარკვეულწილად კულტურის სფეროს სპეციფიკურობით და მომსახურების სფეროს თავისებურებით აიხსნება.

კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციის მენეჯერებს საჭიროა პქონდეთ პასუხი შემდეგ კითხვაზე: როგორ გავზარდოთ გაყიდვები და როგორ აღვზარდოთ მაყურებელი? უფრო ზუსტად კი – როგორ დავხვეწოთ მოშემარებლის, დამთვარიელებლის და ა.შ. გემოვნება, რათა ორგანიზაციის არსებობა მხოლოდ ბიზნეს ინტერესებით არ შემოიფარგლებოდეს და უწყვეტად გაგრძელდეს ღირებულებათა ნაკრების ფორმირების პროცესი.

კულტურის სფეროს მართვისას უმთავრეს ამოცანას კულტურის სფეროს პოპულარიზაცია წარმოადგენს. სწორედ ამ საკითხის გადაჭრის ეფექტური საშუალებაა სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და მართვა. კულტურის სფეროს პროდუქტის განსაკუთრებულობა იმაშიც გამოიხატება,

¹ სანადირაძე ნ. კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმვარება, თბ., 2011, გვ. 46

რომ მისდამი ინტერესი და მასზე მოთხოვნა წლების პირდაპირობორციულად იზრდება მაშინ, როცა პროდუქტის ხარისხი ეჭვგარეშეა. „დღეს, როდესაც პროდუქტები და მომსახურებები სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება, ბევრი კომპანია საკუთარი მომხმარებლისათვის ახალ ფასეულობებს ქმნის, რათა მათი შეთავაზებები განსხვავებული იყოს, მაშინ, როდესაც პროდუქტი მატერიალურია, ხოლო მომსახურება – არამატერიალური (შთაბეჭდილება, მოგონება), რომელიც იმავდროულად პერსონალურია და მომხმარებლის გონიერაში ინდივიდუალურად მკვიდრდება. პროდუქტი – ეს არის რაღაც, რაც შეგძლება ბაზარს მიეწოდოს ყურადღების მისაქცევად, შესაძენად, გამოსაყენებლად ან მოხმარებისათვის, რომელიც სურვილს ან საჭიროებას აქმაყოფილებს. პროდუქტი მოიაზრებს უფრო მეტს, ვიდრე რეალურ საქონელს. იგი მოიცავს ფიზიკურ ობიექტებს, მომსახურებებს, მოვლენებს, ადამიანებს, ადგილებს, ორგანიზაციებს, იდეებს ან ამ ყველაფრის სხვადასხვა კომბინაციას. მომსახურება არის პროდუქტის ფორმა, საქმიანობა ან სარგებელი, რომელსაც ერთი მხარე მეორეს სთავაზობს. ასეთი გარიგება რაიმე მატერიალურის ფლობას არ გულისხმობს“.¹

კულტურის სფეროს პროდუქტის აღქმის პროცესი ქმნის სიტუაციას, სადაც ცალკეულ ინდივიდებს შორის მყარდება ფსიქოლოგიური კავშირი. იგი განაპირობებს მსგავს განცდებს. სწორედ ამის შემდგომ იქმნება გარკვეული ერთიანი სისტემა. აღნიშნული სოციალური ჯგუფი შეიძლება განვიზილოთ, როგორც კულტურის სფეროში შექმნილი პროდუქტების მომხმარებლები. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია მსგავსი ინტერესები, მოლოდინი და განცდა. საგულისხმოა ისიც, რომ „ხელოვნების ყოველი ნაწარმოები თავისთავში ორ ძირითად მოქმნებს – ნაწარმოების შექმნისა და აღქმის მოქმნებს შეიცავს. ყოველი ხელოვანი, იქნება ის მხატვარი თუ მუსიკოსი, მწერალი თუ მსახობი, ქმნის არა თავისთვის,

¹ Котлер Ф., - Маркетинг менеджмент (9-е международное издание), Санкт-Петербург, 1999, стр. 39

